CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 16 დეკემბერი, 2008 წელი. №281 (2025) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ვიქტორ იუშჩენკო: ნატო-ს უკრაინის მისაწვევად სიმამაცე არ ეყო

A7

ფილმი გუშინდელ ქართველებსა და დღევანდელ აფხაზებზე

A11

კალაძის "მილანი" ტურინში დამარცხდა

A13

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI
ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი
ვანის საადაზღვევო ჯგუფი

მივატოვება საარჩევნო კოდექსზე სამუშაოდ

დათო გამისონია

საარჩევნო კოდექსზე მუშაობა უახლოეს პერიოდში დაიწყება. შესაცვლელია კანონის ძირეული მუხლები და პრინციპები. ამ საკითხზე ოპოზიციას მმართველი ძალის წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ საკითხს დეტალური შესწავლა ესაჭიროება. შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ამ თემაზე ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს ერთიანი სამუშაო ჯგუფის შექმნას სთავაზობს.

ოპოზიცია გარკვეულწილად ეთანხმება ბაქრაძის შეთავაზებას, მაგრამ მხარეებს განსხვავებული მიზნები აქვთ. ძირითადი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით გამოდიან, ხოლო ბაქრაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უახლოესი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება 2010 წლის შემოდგომაზე და სწორედ ამისთვის იგეგმება სარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები.

გაგრძელება A3 გვერდზე

დავით ბაქრაძე ოპოზიციას ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნას სთავაზობს.

მომავალი ექვსი თვის გასაძლებად

"ქვეყანა რთული ვითარებიდან გამოსვლას შეძლებს"

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ, ავლაბრის რეზიდენციაში, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში მიმდინარე და მოსალოდნელ მოვლენებზე ისაუბრა.

"საქართველომ იმდენად მძლავრი საფინანსო სისტემა შექმნა, რომ მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, იგი არ ჩამოიშლება და ამ ეტაპზე მთავარია, სამეწარმეო და სოციალური სისტემის შენარჩუნება," - აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ყველა მინისტრი გაწეული საქმიანობის მიხედვით განისჯება. ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, ასევე არ ჩამოიშლება საქართველოს საბანკო სისტემაც, რადგან ქართული ბანკები მომავალი წლისთვის საერთაშორისო დახმარებას მიიღებენ.

რაც შეეხება კრიზისიდან გამოსვლის გეგმას, პრეზიდენტის განცხადებით, მისი დავალებით საქართველოს ხელისუფლება შეიმუშავებს საქართველოს ეკონომიკის გადარჩენისა და შენარჩუნების პაკეტს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ფინანსური პაკეტის ნაწილი იქნება მომავალი წლის ბიუჯეტიც. **"ვავალებ მთავრობას, საქართველოს ეკონომიკის გადარჩენისა და შენარჩუნების საკანონმდებლო ფინანსური პაკეტის შემუშავებას. ამ პაკეტის ნაწილი ახალი ბიუჯეტი უნდა იყოს, რომელსაც სერიოზული გამოწვევები ელის. უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი გეგმები და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მოსალოდნელ სირთულეებს,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას ევროკავშირთან და აშშ-სთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმება შეუწყობს ხელს. **"თუ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას შევძლებთ, ეს საქართველოში ინვესტიციათა მოზიდვისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.**

გაგრძელება A2 გვერდზე

შესანარჩუნებელი და შესაცვლელი

ოპოზიცია ხელისუფლების დადებით და უარყოფით ნაბიჯებზე მსჯელობს

დღევანდელი ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი თავის დროზე რევოლუციური დროშის ქვეშ იდგა. არის თუ არა 2003 წლის შემდეგ ანუ დღევანდელი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და პრინციპებს შორის ისეთები, რომლებსაც დღეს ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაშიც ვერ შეელევიან? გრძნობენ თუ არა ისინი საზოგადოებაში რევანშისტული განწყობების მომძლავრებას და რამდენად მზად არიან მათზე საპასუხოდ? ამ კითხვებით "24 საათმა" ნოემბრის რევოლუციის შემოქმედებს, ამჟამად სხვადასხვა პოლიტიკური სიმპათიების მქონე პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს მიმართა.

თამარ ხორბალაძე

"რესპუბლიკელი" დავით ზურაბიშვილი, ცხადია, შესაცვლელს მეტს ხედავს, ვიდრე შესანარჩუნებელს, თუმცა მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, მაგალითად, პროდასავლური კურსი. **"ეს არ გამორიცხავს რუსეთთან დიალოგს, მაგრამ კურსი დასავლეთისკენ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს,"** - ამბობს იგი. ამასთან, დავით ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ მომავალში არ დადგება საჯარო სამსახურის საშუალო და დაბალი რგოლის შეცვლის აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ ამ რგოლებში კორუფციის დაძლევა ბოლო წლებში, პრაქტიკულად, მოხერხდა.

მისთვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნდეს საერთო ეროვნული გამოცდების პრინციპი განათლების სისტემაში და ხარისხების მინიჭების ახლად დამკვიდრებული პრინციპები - მიუხედავად განხორციელების დროს დაშვებული ხარვეზებისა. მისთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნდეს პატრულის სისტემა, გაგრძელდეს კრიმინალური სამყაროსთვის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე ზეგავლენის ჩამორთმევა და ზოგი სხვა რამ. **"საერთოდ, იყო ბევრი სწორი ნაბიჯი, რომლებიც კანონისა და პროცედურების უგულებელყოფით გადაიდგა, ეს კი დაუშვებელია.**

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

ორი სიტყვით

თბილისი. დღეს სასტუმრო "სიმპათიაში" ევროპისა და საქართველოს მწვანეთა პარტიების ორგანიზებით გაიმართება კონფერენცია თემაზე - "რუსეთ-საქართველოს ომი და სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული და ეკოლოგიური უსაფრთხოება". **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ბაქოში იმყოფება, სადაც აზერბაიჯანელ კოლეგებთან მოლაპარაკებებს მართავს. **ინტერპრესნიუსი**

ქუთაისი. ქუთაისში სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ნაწილმა ახალი სამარშრუტო ხაზების გახსნა გაფიცვით გააპროტესტა. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრნენ. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. დღეს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისში ხელი მოეწერება სამმხრივ შეთანხმებას, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. **ინტერპრესნიუსი**

ოზურგეთი. "რესპუბლიკური პარტიის" ოზურგეთის ორგანიზაციის წევრები არჩევნების დროს წევრის უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო პარტიიდან დაითხოვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

დავით სიხარულიძემ პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა

გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრის რანგში დავით სიხარულიძემ პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურისა და მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელი პირები საქართველოს თავდაცვის უწყებას ეწვივნენ. სტუმრებმა მინისტრს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული თავდაცვის კონსულტაციების დროს განსაზღვრული ამერიკა-საქართველოს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს. მინისტრმა საქართველოს თავდაცვის სფეროში განათლების, პირადი შემადგენლობის მართვის, სამხედრო დოქტრინის და კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებაში დახმარების იმედი გამოთქვა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსგავსი სახის შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

ახალი ელჩები ამერიკასა და გაერო-ში

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ბათუ ქუთელია იქნება. რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივან კახა ლომაიას, იგი გაერო-ში საქართველოს მუდმივმოქმედი ელჩის თანამდებობას დაიკავებს. **ინტერპრესნიუსი**

პოლონეთის ელჩმა გრიგოლ ვაშაძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა

გუშინ პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ურშულა დოროშევსკამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. ცერემონიალის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოში მიმდინარე მოვლენები განიხილეს. მინისტრმა პოლონეთის ელჩს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, ელჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლონეთის მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ჩვენი ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

პან გი მუნი უშიშროების საბჭოს რეკომენდაციებს წარუდგენს

გაერო-ს გენერალური მდივანი პან გი მუნი მომდევნო წლის თებერვალში გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენას აპირებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მომავალ როლს ეხება. აფხაზეთის ირგვლივ სიტუაციის შეფასებისას გაერო-ს ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ "ცეცხლის შეწყვეტის დაცვის რეჟიმის არარსებობის პერიოდში ესკალაციის დაძაბულობის მაჩვენებელი გაიზარდა და ნდობის მანდატის გარეშე გაერო-ს მისიას გაურთულდება თავისი საქმიანობის წარმოება. ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს ყველა შესაბამის მხარესთან და იმედი მაქვს, რომ ამ საკითხის შესახებ რეკომენდაციებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს თებერვლისთვის წარვუდგენ," - აცხადებს პან გი მუნი.

გაერო-ს გენერალური მდივანი ასევე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი გაერო-ს სადამკვირვებლო მისია ამ რეგიონში დარჩება, იგი ისეთი მნიშვნელოვანი მანდატით უნდა იყოს აღჭურვილი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მომავალი ექვსი თვის გასაძლებად

პირველი გვერდიდან

ასევე ვმუშაობთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საკითხზეც. ყველაფრის მიუხედავად, ბევრი სირთულე არსებობს, თუმცა ყველაფერი მოგვარებადია," - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, სახელმწიფოს თითოეული თეთრი სამუშაო ადგილების შექმნას მოხმარდება. გარდა ამისა, წარმოების გაზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნის მომავალში ჩადებული ინვესტიციაა. **"დღეს საქართველოს ეკონომიკა შედარებით რთულ ვითარებაშია, მაგრამ ჩვენ, ყველანი ერთად, ერთიანი მუშაობითა და ძალისხმევით, არსებულ პრობლემებს დავძლევთ. ჩვენი პრიორიტეტი წარმოების აღორძინება და მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ძლიერი ეკონომიკა ქვეყნის მთლიანობისა და სიძლიერის საფუძველია,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის განცხადებით, თუ ეკონომიკის ზრდის პიროებებში მთავრობა პრიორიტეტად სამუშაო ადგილების შექმნასა და წარმოების განვითარებას დაისახავს, ქვეყანა რთული ვითარებიდან გამოსვლას შეძლებს.

მისივე თქმით, კრიზისიდან გამოსვლას მოახერხებს ამერიკის შეერთებული შტატები, შემდეგ ევროპა და შემდეგ საქართველოც დაძლევს ეკონომიკურ პრობლემებს, ყველაზე რთული პერიოდი კი საქართველოს მომავალი ექვსი თვის განმავლობაში ელოდება.

როგორც ქვეყნის პირველი პირი ამბობს, მომდევნო წლებში საქართველოს მოსახლეობისთვის ბუნებრივ აირზე გადასახადი არ გაიზრდება. **"რაც შეეხება ელექტროენერგიას, საქართველოს ენერგეტიკის მაქსიმალიზაციაში 300 მილიონ დოლარამდე ჩავდეთ. ეს ნიშნავს, რომ ძირითადი ხაზები შეკეთებულია, ახალი ჰიდროელექტროსადგურები გამართულია. საბოტაჟის შემთხვევაში, გვაქვს მაზუთის მარაგიც, რომელიც ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ მოგვცა. ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ მზად ვართ ზამთარს თბილად და განათებულად შევხვდეთ,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

პროვოკაციის საფრთხე

ნათია მსხილაძე

სოფელი პერევი კვლავ ოკუპირებულია. რუსი სამხედროების რაოდენობამ სოფლის შესასვლელში გახსნილ საგუშაგოზე 150-ს მიაღწია. მობილიზებულია ჯავშანტექნიკაც. სოფელში გუშინ სწავლის პროცესი ვადაზე ადრე შეწყდა. პერევის პარალელურად, ვითარება დაძაბულია გალის რაიონში და ენგურის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, რუსებს აფხაზეთში დიდი რაოდენობით დამატებითი ჯავშანტექნიკა და ცოცხალი ძალა შეჰყავთ, სტრატეგიულ სიმაღლეებზე კი საზენიტო დანადგარებს ამონტაჟებენ. ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში, რუსი ოკუპანტები აცხადებენ, რომ მათი მიზანი საახალწლოდ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შეჭრაა. პოლიტიკოსები და ექსპერტები ოკუპირებული რაიონებიდან, ახალი პროვოკაციების საფრთხეზე საუბრობენ.

ოკუპირებულ რაიონებში რუსი სამხედროების რაოდენობა იზრდება.

რუსმა ოკუპანტებმა, კონფლიქტის რეგიონში 6 თვის წინ აღდგენილი რკინიგზით, ტ-72 ტიპის და ბმპ-ს ტიპის ასობით ჯავშანმანქანა შეიყვანეს. ტექნიკის ჩამოცლა ოჩამჩირეში ღამის 11 საათზე დაიწყო. პარალელურად, ცნობილია, რომ გალში განლაგებულია 65 ერთეული ტანკი და 3 ათასამდე ბოევიკი.

რუსმა აგრესორებმა სოფელ ჭუბურხინჯის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიმაღლე "სათანჯო" და დასახლება ნალამუც დაიკავეს, რომლებიც ორი საარტილერიო დანადგარით და 25 რუსი ჯარისკაცით გაამაგრეს.

"სათანჯოს" სიმაღლიდან ოკუპანტებს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სატრანსპორტო მაგისტრალის, ასევე თავად სოფელ რუხის, ახალი აბასთუმნისა და მისი მიმდებარე სოფლების გაკონტროლება შეუძლიათ.

როგორც საპარლამენტო ოპოზიციის წევრმა პაატა დავითაიამ განაცხადა, გალის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანით თავად აფხაზებიც შეშფოთებულები არიან. რუსული ჯარის მიერ მაღალი წერტილების დაკავების ფაქტს კი დავითაია ზუგდიდის წინააღმდეგ მოსალოდნელი პროვოკაციის წინაპირობად აფასებს.

დეპუტატმა მოითხოვა, რომ პარლამენტმა ევროკავშირი დაუყოვნებლივ ჩააყენოს საქმის კურსში და პარლამენტში დახურულ ფორმატით ძალოვანი მინისტრები მოიწვიონ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც შექმნილ ვითარებას შემაშფოთებელს უწოდებს. თუმცა, სპიკერის აზრით, ძალოვან მინისტრებთან დახურულ ფორმატში შეხვედრა საზოგადოებაში მეტ ინტერესს და შესაბამისად შეშფოთებას და პანიკას გამოიწვევს. **"კონსულტაციების გზით გადაწყდება, თუ რა ფორმატში მიიღებენ დეპუტატები მინისტრებისგან ინფორმაციას. ამ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოა რაიმე პროვოკაციის და უმართავი სიტუაციის დაწყება. ინფორმაცია შემაშფოთებელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე სიტუაციის გართულება ნაკლებ სავარაუდოა. ვითარება ახლა უფრო დაბალანსებულია, ვიდრე სამი-ოთხი თვის წინ იყო,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ექსპერტი კახა გოგოლაშვილი აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ ვითარებას სახიფათოს უწოდებს და არ გამორიცხავს, რომ ეს შესაძლოა მორიგი პროვოკაცია იყოს. **"ქართულმა მხარემ ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ პროვოკაციაზე არ წამოეგოს. ასევე, აქ ძალიან მნიშვნელოვანია ევროპელი დამკვირვებლების როლი. მათ, რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა გაამკაცრონ მონიტორინგი სეპარატისტებისა და რუსი ჯარის გადაადგილებაზე, რათა საერთაშორისო საზოგადოება ზუსტად იყოს ინფორმირებული,"** - აღნიშნა გაზეთ "24 საათთან" საუბრისას კახა გოგოლაშვილმა.

აფხაზეთში რუსული საოკუპაციო ჯარების რაოდენობის გაზრდაზე საუბრობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაიაც. ის გალის რაიონში მძიმე ტექნიკის დემონსტრირებას უპრეცედენტო შემთხვევად აფასებს.

"რეგიონი სეპარატისტების კონტროლის ქვეშ არის. ეს ძალის უპრეცედენტო დემონსტრირებაა. ამ პროცესის შეჩერება საერთაშორისო თანამეგობრობასა და ქართულ დიპლომატიას შეუძლია. სეპარატისტები და რუსული საოკუპაციო ჯარები ყველანაირად ცდილობენ, დაამტკიცონ თავიანთი ლეგიტიმურობა," - განაცხადა მალხაზ აქიშბაიამ.

მისივე თქმით, პრობლემის მოგვარების საუკეთესო ფორმატი ჟენევის მოლაპარაკებებია.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მიპატიჟება საარჩევნო კოდექსზე სამუშაოდ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩატარდება უახლოესი არჩევნები, ერთი რამ ცხადია - საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე მუშაობის დაწყებას ალტერნატივა ფაქტობრივად არ აქვს. ოპოზიციის ინიციატივით, შესაცვლელია არამხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი, არამედ საარჩევნო დავების განხილვის პროცედურები.

პარლამენტის თავმჯდომარე ამ საკითხის გადასაჭრელად სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის. **"მასში, უმრავლესობასთან ერთად, გაერთიანდებიან, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. ჩვენ ვეპატიჟებით ყველა იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დაინტერესებულია სამომავლოდ საქართველოში ჩასატარებელ არჩევნებში მონაწილეობაში. ჯგუფი იმუშავებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პატრონაჟით,"** - განმარტა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს დიდი ხნის წინათ მისცეს რეკომენდაცია, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არჩევნებამდე, სულ ცოტა ერთი წლით ადრე უნდა შევიდეს. ამიტომ ამ ჯგუფს საკმარისი დრო აქვს იმისთვის, რომ დინჯად და მშვიდად, სამუშაო ვითარებაში მოიფიქროს და გააანალიზოს ყველა ის ცვლილება, რომელიც აუცილებელია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი მინაშვილიც ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობს. **"როგორც უმრავლესობა, ასევე ოპოზიცია კარგად ხედავს, რომ არსებობს კოდექსში არსებული ხარვეზების გამოსწორების საჭიროება. საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესთან ერთად, მოსაგვარებელია სხვა ტექნიკური საკითხებიც,"** - აღნიშნავს მინაშვილი

პოლიტიკური ოპონენტები ითხოვენ, რომ ახალი საარჩევნო კანონმდებლობის შექმნისას, ნებისმიერი თემა იყოს მსჯელობის და მეტ-ნაკლებად კონსენსუსის მიღწევის საგანი. მთავარია, რომ პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ **"ეჭვის თვალით უყურებს თავად ამ პროცესის განხორციელებას და მის შედეგიანობას".** შესაბამისად, "რესპუბლიკელები" მოვლენების განვითარების მიხედვით გადაწყვეტენ, ჩაერთონ თუ არა ამ პროცესში. **"საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გამო არის დღის წესრიგში. ამიტომ ის ფუნდამენტურ ხასიათს უნდა ატარებდეს,"** - განმარტა ხიდაშელმა.

საარჩევნო კანონმდებლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლს მიესალმებიან "ახალი მემარჯვენეები". მანანა ნაჭყებიას თქმით, **"პარტიას საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების საკუთარი ვარიანტი უკვე მომზადებული აქვს და ის საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთი კვირის წინათ გადასცეს".**

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელ პაატა დავითაიას აზრით, კოდექსში ცვლილებების შეტანასთან ერთად, ჯგუფში მომუშავე ადამიანები საკუთარი არჩევნების თარიღზეც უნდა შეთანხმდნენ.

პარლამენტში ახლადშესული ედპ-ს წევრი გურამ ჩახვაძე რიგგარეშე არჩევნებზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს. რადგან სამართლიანი და კონკურენტუნარიანი არჩევნების დანიშვნა შესაბამისი საარჩევნო სისტემის შექმნის გარეშე მნიშვნელობას კარგავს.

თავის მხრივ, "კონსერვატიული პარტია" საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. კახა კუკავას თქმით, **"საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით, ოპოზიციურმა ძალებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა ვადამდელი არჩევნებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია."**

რუსული "აუდიტი"

რუსეთი ჟენევის მოლაპარაკებების ახალი რაუნდის წინ, საგანგებოდ აყენებს ახალ პირობებს და საქართველოს პროვოკაციებში "გაღმა შეედავეს" პრინციპით ადანაშაულებს. იმავდროულად, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი თავის საპროგრამო სტატიაში, საქართველოში განხორციელებულ აგრესიას ამართლებს, მომხდარში დასავლეთს ადანაშაულებს, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობს და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან რუსეთის "პრივილეგიური" კავშირის აღიარებას მოითხოვს.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ხვალიდან ჟენევაში, აშშ-ს, ევროკავშირის, ეუთო-სა და გაერო-ს შუამავლობით, საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებები განახლდება, რომელშიც სოხუმისა და ცხინვალის მთავრობების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ჟენევის კონსულტაციების მესამე რაუნდის დღის წესრიგში ორი მთავარი საკითხი დგას - უსაფრთხოება რეგიონში და დევნილთა დაბრუნება.

მოლაპარაკების დაწყების წინ მოსკოვი საკუთარი მოთხოვნებით გამოვიდა და თბილისი პროვოკაციებში დაადანაშაულა. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის გუშინდელ განცხადებაში აღნიშნა, მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის **"უსაფრთხოების მყარი გარანტიების"** მოთხოვნით გამოდის და ქართულ მხარეს **"საშიშ ქმედებებში"** ადანაშაულებს. კერძოდ, რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ **"საზღვრისპირა რაიონებში"** საქართველოს ჯარების და პოლიციის კონცენტრაცია მიმდინარეობს. გარდა ამისა, საგარეო უწყება საუბრობს ახალ საშიშ პროვოკაციებზე **"სააკაშვილის მონაწილეობით"** (როგორც ჩანს, აქ საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟის მახლობლად რუსი სამხედროების მიერ ატეხილი სროლა იგულისხმება).

რუსეთის აზრით, აუცილებელია **"კონკრეტული მექანიზმების შემუშავება"** უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ - ინციდენტების თავიდან აცილებისა და გამოძიების მექანიზმის შექმნა, ევროკავშირის გარანტიების დაფიქსირება საქართველოს მხრიდან ძალის გამოუყენებლობის თაობაზე და საერთაშორისო ემბარგოს შემოღება საქართველოსთვის შეტევითი შეიარაღების გადაცემაზე.

კრემლი ასევე ადასტურებს ყველა დევნილის უფლებას საკუთარ სახლებში ნებაყოფლობით, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე - **"ამისთვის საჭირო პირობების შექმნის ნიადაგზე."**

გუშინვე სპეციალურ გამოცემაში "დიპლომატიჩესკი ეჟეგოდნიკ" გამოქვეყნდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის საპროგრამო სტატია, სათაურით - **"რუსეთის საგარეო პოლიტიკა და გეოპოლიტიკური სიტუაციის ახალი სახე,"** რომელშიც რუსული დიპლომატიის ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება აგვისტოს მოვლენებს და რუსეთის "ახალ" გეოპოლიტიკურ როლს დაუთმო.

"ქვეყანა საერთაშორისო არენას დაუბრუნდა, როგორც პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია დაიცვას საერთაშორისო სამართალი და საკუთარი მოქალაქეები. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარებოდა, საქართველოს აგრესიის საპასუხოდ ჩვენმა გაბედულმა ქმედებებმა ეს ეჭვები უნდა გაფანტოს," - აღნიშნავს ლავროვი.

მას მიაჩნია, რომ საქართველოში განხორციელებული ქმედებებით **"რუსეთმა დააწესა რეაგირების სტანდარტი, რომელიც საერთაშორისო სამართალს სრულად შესაბამება."**

"რუსეთის ქმედებებს არ ჰქონია სხვა მიზანი, გარდა იმისა, რაც აგრესიის განუახლებლობისთვის ქმედითი გარანტიების შექმნით იყო ნაკარნახევი," - აღნიშნა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. მან არაერთი მინიშნება გააკეთა საქართველოს "აგრესიაში" დასავლეთის ნეგატიურ როლზე. **"ვიღაცას "გაყინული კონფლიქტების" გალღობა სურდა. ახლა შეგვიძლია, შედეგებზეც ვიმსჯელოთ,"** - აღნიშნა მან.

ლავროვი ამტკიცებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ერთადერთი გამოსავალი იყო ამ ხალხების **"ეფექტიანი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად"** და **"ახლანდელი ნათელი სიტუაცია ნებისმიერ გაურკვევლობაზე უკეთესია."** მისი აზრით, **"სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს სურდათ არა საკუთრივ დამოუკიდებლობა, არამედ დამოუკიდებლობა იმ საქართველოსგან, რომლის ხელისუფლებაში მუდმივად ჭარბობს შოვინისტური ტენდენცია ეროვნული უმცირესობების მიმართ."**

სერგეი ლავროვის აზრით, **"სააკაშვილის რეჟიმმა დანაშაული ჩაიდინა, მათ შორის - საკუთარი ხალხის წინაშე,"** ხოლო თავად რეჟიმი **"ვიღაცის მიერ იყო სერტიფიცირებული, როგორც დემოკრატიული."**

იგი კვლავ ვრცლად შეეხო იმ საკითხს, თუ როგორი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს საქართველოს და მინიშნება გააკეთა დასავლურ "პროექტებზე" უარის თქმის აუცილებლობაზე.

"უნდა მივცეთ ქართველ ხალხს შესაძლებლობა, ოპოზიციის მონაწილეობით, დღეს აკრძალული მასმედიის ამოქმედებით, თავად გაარკვიოს, რა მოხდა სინამდვილეში," - აღნიშნავს ლავროვი.

"ჩვენ ღრმად ვცემთ პატივს ქართველ ხალხს, დარწმუნებულნი ვართ მის სიბრძნეში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაში მოიყვანს მმართველებს, რომლებიც იხელმძღვანელებენ ხალხის ძირეული ინტერესებით და არა ცხრა მთას იქით მომზადებული ვირტუალური გეოპოლიტიკური პროექტებით. მაშინ ისინი შეძლებენ იმის უზრუნველყოფას, რომ საქართველომ კავკასიის ყველა ხალხთან მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად იცხოვროს," - აღნიშნავს რუსული დიპლომატიის ხელმძღვანელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც მინისტრი თავის სტატიაში შეეხო და რაც საქართველოს მოვლენებს უკავშირდება, არის რუსეთის **"პრივილეგიური ურთიერთობა"** პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. სტატიაში ლავროვმა **"პრივილეგიური"** და **"ურთიერთპრივილეგიური"** ურთიერთობები არაერთხელ ახსენა.

"გლობალიზაციის ინტეგრაციული იმპერატივი თავს იჩენს აქ (პოსტსაბჭოთა სივრცეში) **არანაკლები ძალით, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში,"** - წერს მინისტრი და აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება იმ აზრს, თითქოს **"ისტორიულად განპირობებული"** ურთიერთობები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის **"გავლენის სფეროს"** შექმნას უკავშირდება. **"ამ ლოგიკით იგივე ითქმის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე, აღმოსავლეთის პარტნიორობაზე და ევროკავშირის სხვა პროექტებზე, რომ არაფერი ვთქვათ ნატო-ზე,"** - აღნიშნავს ლავროვი.

მან დიდი ადგილი დაუთმო პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან **"პრივილეგიური"** კავშირის ისტორიულ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა თვალსაზრისით დასაბუთებას და მინიშნება გაკეთა, რომ ამ ყველაფრის **"დანგრევის"** მცდელობა **"ისტორიის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს."**

მან ასევე აღნიშნა, რომ დასავლეთში ობიექტური მიდგომის არსებობას **"წარსულის გადმონაშთები"** უშლის ხელს და ყურადღება გაამახვილა **"წარსულში გაჭედილი სოვეტოლოგების"** ნეგატიურ როლზე რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის შემუშავებისას.

ევროპაში უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის იდეას მინისტრი სწორედ საქართველოს მოვლენებით ასაბუთებს. **"სააკაშვილის რეჟიმზე უკეთ ძნელად თუ ვინმე შეძლებდა ევროპის უსაფრთხოების მთელი არქიტექტურის არაეფექტურობის დამტკიცებას,"** - აღნიშნავს ლავროვი.

მან ევროპას უსაფრთხოების დღეს არსებული სისტემების **"აუდიტისკენ"** მოუწოდა.

ჯონ ტეფტი რუსი ოკუპანტების ქმედებით შეშფოთებულია

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯონ ტეფტი სოფელ პერევში რუსი ოკუპანტების ქმედებით შეშფოთებულია. გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ტეფტმა პერევში რუსი სამხედროების დაბრუნების გამო უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა.

"ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ყველა მხარემ უნდა შეასრულოს. ამ საკითხის განხილვა ჟენევის მოლაპარაკებებზე გაგრძელდება. ამერიკის შეერთებული შტატები ამ მოლაპარაკებების ერთ-ერთი მონაწილეა და მასში მონაწილეობას სახელმწიფო მდივნის მოადგილე მიიღებს," - განაცხადა ტეფტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

არასაპარლამენტო ოპოზიცია აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან შეხვედრას მარტში გეგმავს

არასაპარლამენტო ოპოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან შეხვედრას მარტში გეგმავს. ვაშინგტონში დაგეგმილი ვიზიტი "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა მოამზადა. "საქართველოს გზის" პრესსამსახურის ინფორმაციით, ზურაბიშვილმა შეხვედრები გამართა ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ქართულ ოპოზიციურ სპექტრთან შესახვედრად მზადყოფნა გამოთქვეს. კონკრეტულად რომელი ლიდერები გაემგზავრებიან ვაშინგტონში, ეს საქართველოში გამართული კონსულტაციების შემდეგ გაირკვევა. **ჯი-ეიჩ-ენ**

"პირველი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს მოუწევს"

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას ამბობს, რომ რუსეთის ფედერაცია მიესალმება საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ პირველი ნაბიჯები ამ ურთიერთობათა ნორმალიზებისთვის სწორედ საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გროიგოლ ვაშაძე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზებას სამთავრობო დონეზე არ გამორიცხავს. ვაშაძემ განაცხადა, რომ დროთა განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, რის შემდეგაც გაჩნდება საშუალება რუსეთთან ურთიერთობების აღდგენისა პოლიტიკურ, დიპლომატიურ და კულტურულ დონეზე.

ლავროვის მოადგილე აცხადებს, რომ პირველმა სწორედ საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და ამიტომაც პირველი ნაბიჯის გადადგმა სწორედ მას მოუწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

თარგამაძის აზრით, საუბნო კომისიაში სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელიც უნდა შევიდეს

"ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერ გიორგი თარგამაძის აზრით, საუბნო კომისიის შემადგენლობაში სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლიც უნდა შევიდეს. თარგამაძის თქმით, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი გარანტია იქნებოდა, რადგან კომისიაში მყოფ ოპოზიციის წარმომადგენელთა დაცვა ზეწოლისგან, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ამასთან, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი საარჩევნო კანონმდებლობით წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვის უზრუნველყოფას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

"შვილად აყვანის შესახებ" კანონში ცვლილებები შევა

შვილად აყვანისას უპირატესობა დას, ძმას, დედინაცვალს და მამინაცვალსაც მიენიჭებათ.

ამის შესახებ ცვლილების შეტანა "შვილად აყვანის შესახებ" კანონში ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ინიციატივით იგეგმება.

კანონის მოქმედი რედაქციით, გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს მის ნათესავს, ნათესავად კი ამ შემთხვევაში მიიჩნევა პირი, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერი ძმისშვილი, გერი დისშვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან მათი შვილები. კანონპროექტის თანახმად, ნათესავების აღნიშნულ ჩამონათვალს და-ძმაც ემატება. ამას გარდა, შვილად აყვანის უპირატესობას დღეს მოქმედი კანონმდებლობა ბავშვის მიმღებ ოჯახს, დედობილს ან მამობილს ანიჭებს, კანონპროექტით კი ეს უპირატესობა დედინაცვალს ან მამინაცვალსაც ენიჭებათ. კანონპროექტის განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება.

გარდა ამისა, იმავე კანონის თანახმად, მშობლის უფლების ჩამორთმევაც გამარტივდება. მოქმედი კანონმდებლობით, თუ პირველადი ფორმის შევსების მიუხედავად, დაახლოებით მშობელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში თავისი საბოლოო გადაწყვეტილების დასადასტურებლად 12 კვირაში არ გამოცხადდა და ბავშვი მზრუნველობის გარეშე იმყოფება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უადრეს მშობიარობიდან 6 კვირისა, მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით. კანონპროექტით კი, აღნიშნული 6 კვირის შეზღუდვა იხსნება და მზრუნველობის ორგანოს სასამართლოსთვის მიმართვა დაუყოვნებლივ შეუძლია. **ინტერპრესნიუსი**

შესანარჩუნებელი და შესაცვლელი

პირველი გვერდიდან

ამიტომაც გაჩნდა უსამართლობის გრძნობა, ხოლო როცა უსამართლობის გრძნობა ჩნდება, იქ უკვე ყველას - მათ შორის ქურდებს თუ სხვებსაც, ვისაც დღეს შესაძლოა, რევანშისტები ვუწოდოთ, უჩნდებათ გრძნობა, რომ მათი დროც შეიძლება დადგეს," - ამბობს ზურაბიშვილი. "რესპუბლიკელმა" პოლიტიკოსმა იცის, რომ ყოველთვის არსებობენ რევანშისტები, რომელთაც ძველი დრო ურჩევნიათ, თუმცა 2003 წლამდე საქართველოში დაბრუნება ზურაბიშვილისთვის წარმოუდგენელია.

დავით ზურაბიშვილის მსგავსად, განათლების სისტემის რეფორმირების პირველ ეტაპზე გადადგმული ნაბიჯების სწორ მიმართულებას აღნიშნავს ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური თანამოაზრე, "დემოკრატიის განვითარების ფონდის" წევრი გიორგი მარგველაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სკოლების თვითმმართველობის სისტემა (ცხადია, ლოტოტრონის გამოკლებით) მომავალშიც უნდა შენარჩუნდეს. თუმცა "24 საათის" კითხვაზე პასუხისას, პირველ რიგში, ანტიკორუფციული ტენდენციები ახსენდება: **"უნდა შენარჩუნდეს ანტიკორუფციული ტენდენციები. მართალია, მაღალ ეშელონებში კორუფცია დარჩა, თუმცა ის ყოველდღიური ცხოვრებიდან აღმოიფხვრა და ეს მცდელობები უნდა გაგრძელდეს. შესანარჩუნებელია სახელმწიფო სტრუქტურებში, განსაკუთრებით შსს-ში განხორციელებული ეფექტური სისტემური ცვლილებები. უნდა გაგრძელდეს კრიმინალური სამყაროსთვის მართვის ბერკეტების ჩამორთმევის ტენდენცია, შენარჩუნდეს საბიუჯეტო სისტემის სიმყარე, ორიენტაცია საგადასახადო ლიბერალიზაციისკენ,"** - აცხადებს გიორგი მარგველაშვილი. თუმცა მიიჩნევს, რომ რევანშიზმზე და რევანშისტებზე საუბარი და საზოგადოების განსხვავებული ღირებულებების მატარებელ ჯგუფებად დაყოფა დღევანდელი ხელისუფლების სენია, რამაც ის ამ საზოგადოებას მაქსიმალურად დააშორა. **"არ არსებობენ პოლიტიკოები, რომელთაც წარსულში შეცდომები არ დაუშვიათ. ამაზე აქცენტის გაკეთება არასწორია, ისევე როგორც არავის აქვს უფლება, განსაზღვროს, ვის აქვს კულტურის ფანჯარაში შეძრომის უფლება და ვის არა, ვის აქვს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების უფლება და ვის არა,"** - აღნიშნავს გიორგი მარგველაშვილი.

ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკური პარტნიორი, "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" დამფუძნებელი, ყოფილი პარლამენტარი შოთა გვენეტაძე "24 საათის" კითხვაზე პასუხისას აქცენტს ეკონომიკურ რეფორმებზე აკეთებს: **"უნდა გაგრძელდეს პრივატიზაციისა და კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბების პროცესი. აუცილებელია ეკონომიკური ლიბერალიზაციისკენ აღებული კურსის შენარჩუნება, საგადასახადო ცვლილებების განხორციელება, საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგების გაგრძელება,"** - ამბობს იგი. ასევე ეჭვშეუვალია გვენეტაძისთვის, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ევროპული ორიენტაცია - როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. **"ამ კურსის გატარება ქართველი ხალხის ნებაა, რომელიც მან მკაფიოდ გამოხატა. თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ომი ნატო-სთან არ გვაახლოებს,"** - აღნიშნავს გვენეტაძე. გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ თუ თავის დროზე პოპულარული გადაწყვეტილებების, მაგალითად ქონების ჩამორთმევის, შედეგების გადახედვა მომავალში სასამართლოს გზით, კანონის შესაბამისად მოხდება, ეს მოვლენათა განვითარების მისაღები და ცივილიზებული ფორმაა.

2003 წლის შემდეგ მიღებული თითქმის მთელი კანონმდებლობის რევიზიის განხორციელება სურს "კონსერვატორ" კახა კუკავას. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმირების პირველ ეტაპზე კუკავა სახელისუფლებო გუნდში იყო, დღეს მისთვის მიუღებელია თითქმის ყველა რეფორმა, რომელიც ოპოზიციასთან კონსენსუსის გარეშე განხორციელდა. **"ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელზეც პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსი იქნა მიღწეული, ნატო-ში ინტეგრაციის თემაა. თუმცა, თავად ნატო-ში ინტეგრაციის სტრატეგიაც თავიდან არის გადასაწერი - ჩვენ გასაგებად გვითხრეს, რომ საქართველო ვერ ასრულებს აიპაპს. რა თქმა უნდა, არის ლოკალური საკითხები ცალკეულ რეფორმებში, მაგალითად ერთიანი ეროვნული გამოცდები ზოგადად უვარგის განათლების რეფორმაში, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის,"** - ამბობს კუკავა.

არათუ რეფორმების, არამედ ნოემბრის რევოლუციის განხორციელების მიზანშეწონილობაზეც კი უჩნდება კითხვები რევოლუციის კიდევ ერთ მონაწილეს, ამჟამად ოპოზიციური პარტია "ხალხის პარტიის" ლიდერ კობა დავითაშვილს. მას დღევანდელ ფონზე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია რევანშისტული განყობების გაძლიერება და ვერ იხსენებს წარმატებულ რეფორმას ან პრინციპულ ცვლილებას, რომლის შენარჩუნების სურვილიც გაუჩნდებოდა: **"ავიღოთ თუნდაც პატრული - ეს რეფორმა, იდეაში, დადებითი იყო. თუმცა გავიხსენოთ თუნდაც ვაზაგაშვილის და სხვა საქმეები. რამდენჯერ დაირღვა კანონი, რათა პატრულის დანაშაული დაფარულიყო. მე არ ვსაუბრობ მაინცდამაინც რიგით პატრულებზე - გახსოვთ, ალბათ, გამოსვლები "ნულოვანი ტოლერანტობის" შესახებ და ის, რომ ვანო მერაბიშვილმა, პრაქტიკულად, თავად მისცა პატრულებს მკვლელობის უფლება,"** - აცხადებს დავითაშვილი. საკანონმდებლო დონეზე მიღებული ერთადერთი დადებითი რეფორმა, რომელიც "ხალხის პარტიის" ლიდერს ახსენდება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტია, თუმცა **"ერთადერთი პოზიტიური, რასაც ვეღოდით, ჩაიკარგა - როცა რეალურ ცვლილებებზეა საუბარი, მათი აღსრულებისთვის ამ ხელისუფლებისთვის ყოველთვის იწელება დრო,"** - ამბობს კობა დავითაშვილი.

პოსტ-მოდერნული საქართველო

დახვეწილი ფილმის სწორხაზოვანი ალეგორია

გიგა ზედანია

თუ არსებობს საბჭოთა მითი, რომელსაც ბოლომდე ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ელვარება, ესაა მითი კოსმოსის დაპყრობის შესახებ. დიდი სამამულო ომი? დღეს ჩვენ უკვე ზედმეტად ბევრი ვიცით მის შესახებ იმისათვის, რომ ბრმად გვჯეროდეს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების მონაყოლისა - სუვოროვის "ყინულის მჭრელმა", მიუხედავად ბელეტრისტულობისა, სერიოზული ეჭვები გააჩინა იმდროინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის გულწრფელობაში; სულ ცოტა ხნის წინ თბილისს ესტუმრა ლატვიელი რეჟისორი ედვინს სნორი ცნობილი ფილმით "საბჭოთა ისტორია", სადაც საკმაოდ დეტალურადაა დოკუმენტირებული, რამდენად მჭიდრო იყო ომამდე საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ნაცისტურ გერმანიასთან.

მაგრამ იური გაგარინი - პირველი ადამიანი, რომელმაც დედამიწას შემოუფრინა, პირველი ადამიანი, რომელმაც გარედან დაინახა ჩვენი პლანეტა, მოიცვა ის თავისი მზერით, როგორც ერთიანი და მთლიანი - ეს დღემდე მიმზიდველი ისტორია და იდეაა. სწორედ მას ეძღვნება ალექსეი გერმან-უმცროსის ფილმი "ქაღალდის ჯარისკაცი", რომელმაც "ვერცხლის ლომი" დაიმსახურა 2007 წლის ვენეციის ფესტივალზე და რომელიც თბილისის მე-9 საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნა ნაჩვენები რამდენიმე დღის წინ.

საბჭოთა კოსმოსურ მითს პირველი დარტყმა ახალგაზრდა ვიქტორ პელევინმა მიაყენა, 1992 წელს გამოაქვეყნებული რომანით "ომონ რა", სადაც ეჭვის ქვეშ აყენებდა თავად საბჭოთა ადამიანების კოსმოსში გაფრენის ფაქტს. მაგრამ პელევინის მიერ განხორციელებული შეტევა "საბჭოთა კოსმოსზე", მისთვის დამახასიათებელი ცინიზმისა და სენტიმენტალობის ნაზავით, საერთო თემატიკის მიუხედავად, სრულიად განსხვავდება გერმანის მიერ ნაკლები ენერგიით, მაგრამ შეუდარებლად უფრო დახვეწილი ესთეტიკით შესრულებული დარტყმისაგან.

ფილმში მოქმედება 1961 წელს ვითარდება. ცენტრში ქართული წარმოშობის ექიმია, დანიელ პოკროვსკი, რომლის როლსაც - როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად შესანიშნავად - ასრულებს მერაბ ნინიძე. ექიმი საბჭოთა კოსმონავტების პირველ თაობას ამზადებს გაფრენისათვის მიუხედავად იმისა, რომ სინდისის ქენჯნას განიცდის - რისკი ადამიანთა სიცოცხლისათვის გაუმართლებლად დიდია. ფილმის სათაური ბულატ ოკუჯავას სიმღერიდანაა აღებული, რომელიც მოგვითხრობს ქაღალდის ჯარისკაცის გადაწყვეტილებაზე, გაეკეთილშობილებინა სამყარო. ჯარისკაცი სიმღერაში იწვის, ისევე როგორც იწვის ახალგაზრდა კოსმონავტი ფილმის ბაროკამერაში ტექნიკური შეცდომის გამო. ექიმი ცდილობს დაარწმუნოს საკუთარი გუნდის წევრები, განსაკუთრებით კი - მეუღლე (განუმეორებელი ჩულპან ხამატოვას შესრულებით) იმაში, რომ კოსმოსის ათვისება ღირს ადამიანების სიცოცხლედ, თუმცა ამისი თავადაც არ სწამს და ეწირება კიდევაც ამ შინაგან კონფლიქტს. რჩებიან ექიმის მეუღლე და ექიმისავე ახალგაზრდა საყვარელი, რომლებიც პოკროვსკის გარდაცვალებიდან ათი წლის გასვლის შემდეგაც ერთად ცხოვრობენ - წარსულის მოგონებებით.

გარემო, რომელშიც კოსმოსში გასაფრენად ემზადებიან, მოულოდნელია. აქ ვერსად ნახავთ კოსმონავტების სკაფანდრების ლაპლაპს, ყველგან ტალახიანი პეიზაჟები და განვითარებაშეფერხებული სუბიექტებია, რომლებიც სრულ ჰარმონიაში მოდიან ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდის ორკესტრის ხსენებისას იოსელიანის "იყო შაშვი მგალობელზე" მითითება დავლანდე, მიუხედავად იმისა, რომ "გიორგობისთვეს" გერმან-უმცროსი მართლაც შესანიშნავად იცნობს და ფილმის საუნდტრეკი ექსკლუზიურად ქართულ მელოდიებზეა აგებული, ფილმში ყველაზე დიდი გავლენები მაინც ჩეხოვისგან და ტარკოვსკისგან მოდის. დომინანტური ნაცრისფერი, თოვლის მელანქოლია, პათოსსმოკლებული ფინალური უიმედობა - ეს რუსული ესთეტიკაა at its best.

ფილმში ორი ეპიზოდია - პროლოგი და ეპილოგი - ორივე გამორჩეული ფილმის მთავარი ნაწილისაგან მთხრობელის voice-over-ით, რომლებიც გასაგებად - შეიძლება ითქვას, ზედმეტად გასაგებადაც კი - უხსნის მაყურებელს, თუ რაზეა ფილმი. პროლოგში ლაპარაკია იმ იმედებზე, რომლებიც უკავშირდებოდა 1961 წელს კოსმოსში გაფრენას. ეპილოგში ნაჩვენებია ამ იმედების გაქრობა 1971 წლისთვის. ფილმში ნაჩვენებია იდეალისტური აზროვნების, მგრძნობელობისა და ქცევის ნამდვილი აფეთქება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იანი წლების ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენტებში. თუ მოგეჩვენათ, რომ ფილმის დიალოგები ზედმეტად ხელოვნური და ზეაწეულია, გაიხსენეთ, რომ 60-იანები მართლაც ენთუზიასტების ეპოქა იყო, რომლებიც სრული სერიოზულობით მსჯელობდნენ სამყაროსა და საზოგადოების მოწყობის ფილოსოფიურ საკითხებზე. ეს იყო თაობა ჯერ კიდევ თავისუფალი იმ სრული აცილებისგან შინაგან ცინიზმსა და ფასადურ რწმენას შორის, რომელიც განმსაზღვრელი გახდა საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულებისათვის. აი, ამ თაობის სიკვდილს ეძღვნება ფილმი. ზოგი, როგორც პოკროვსკი, თავს შეგნებულად სწირავს ნათელ მომავალს (შემთხვევითი არაა ფილმში ტარკოვსკის "მსხვერპლშეწირვიდან" ციტატები), ზოგი - როგორც ფილმის ეპილოგიდან ჩანს - უბრალოდ თვითმკვლელობას ჩადის, დანარჩენები კი სრულიად კარგავენ რწმენას და ემიგრაციასა ან კომფორტულ ცხოვრებაზე იწყებენ ფიქრს. გაგარინიც ისევე დაიწვება მორიგი გაფრენისას, როგორც ქაღალდის ჯარისკაცი. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლები აგებული იყო სტალინიზმის უარყოფაზე, რისი ხაზგასმაც ფილმში მუდმივად ხდება, ვერც ამ ახალმა ეპოქამ მოახერხა ჰუმანური და საზრისის მქონე პროექტის შეთავაზება ადამიანებისათვის. პოზიტიური საბჭოთა პროექტი, რომლისაც ლამის რელიგიური გრძნობით სჯეროდათ, რომელსაც თავს სწირავდნენ საბჭოთა მრავალეროვანი ხალხის წარმომადგენლები - რუსები, ქართველები, ყაზახები - ათი წლის გასვლის შემდეგ ამავე ადამიანებში მხოლოდ და მხოლოდ სინანულის განცდას იწვევს.

მე კი, უნდა გამოვტყდე, ამ დახვეწილი ფილმის ნახვის შემდეგ ვერა და ვერ მოვიშორე თავიდან ერთი სწორხაზოვანი ალეგორია, რომელიც მთლიანად პოლიტიკური ვითარებითაა გამოწვეული და რომელსაც რეჟისორის განზრახვასთან საერთო არაფერი აქვს - ქართველი, ვინც საკუთარ თავს რაღაც უფრო დიდთან აიგივებდა, ვიდრე საქართველოს საზღვრებია, ისევე მოკვდა, როგორც დანიელ პოკროვსკი. ფილმში იური გაგარინი პასტერნაკის მიერ თარგმნილ ბარათაშვილს კითხულობს და შემდეგ ექიმთან ბედისწერაზე საუბრობს. "ბედი არ არსებობს", ამბობს პოკროვსკი. გაუგებარია, ზუსტად რომელი ლექსი იგულისხმება - "ნაპოლეონ"? "მერანი"? - მაგრამ ფაქტია, რომ "ბედი ქართლისა" და არჩევანი, რომელსაც ის გვთავაზობდა, დღეს უბრალოდ გაქრა. რუსული საფრთხე კიდევ არსებობს, მაგრამ არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ - აღარ (ეს იმიტომ, რომ ბარათაშვილის დროს არსებობდა რაღაც რუსეთზე უარესი, დღეს რუსეთთან ყოფნა ყველაზე ცუდი შესაძლებლობაა, რომელსაც საკუთარი ნებით არავინ აირჩევს). ქართული და რუსული ინტელიგენცია კი ისევე უნუგეშოდ გლოვობს 60-იანი წლების ქართველის გაქრობას, როგორც ფილმში მეუღლე და საყვარელი გლოვობენ ექიმის გარდაცვალებას, მაგრამ ეს წარმავალთა გლოვაა. ერთადერთი პოზიტიური, რისთვისაც ის ეპოქა შეიძლება გამოდგეს - ესაა ინსპირაცია "ქაღალდის ჯარისკაცის" მსგავსი ხელოვნებისათვის. ხოლო თაობა, რომელიც ასეთი ხელოვნების ნაწარმოებებს ქმნის, უმცროსების თაობაა, ალექსეი გერმან-უმცროსის თაობა.

მკვლელობაში ბრალდებულ პატრულ-ინსპექტორის პროცესი გრძელდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

გაურკვეველი მიზეზების გამო რამდენჯერმე გადადებული სასამართლო პროცესი, რომელზეც პატრულ-ინსპექტორ ვახტანგ აბუაშვილს ასამართლებენ, გუშინ ბრალდების მოწმის დაკითხვით განახლდა. საუბარია, 2008 წლის 8 მაისს, ზანდუკელის ქუაჩაზე მომხდარ ინციდენტზე. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა - ასეთია მუხლი, რომლითაც ვახტანგ აბუაშვილს ასამართლებენ და რომელიც, საქმის წინასწარი გამოძიებისას, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლიდან გადაკვალიფიცირდა. პატრულ-ინსპექტორი, რომელსაც 32 წლის გიორგი გამცემლიძის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა ედება ბრალად, კვლავ დუმილის უფლებას იყენებს.

ანგა ალიერგანიძის ნახატი

პატრულ-ინსპექტორი, რომელსაც 32 წლის გიორგი გამცემლიძის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა ედება ბრალად, კვლავ დუმილის უფლებას იყენებს.

"არ ვიცი, რა ვითარებაში და როგორ მოხდა გასროლა, როგორ დაიჭრა და გარდაიცვალა გიორგი გამცემლიძე. როგორც სხვადასხვა წყაროებიდან გავიგე, მან მოძრაობის წესები დაარღვია და არ დაემორჩილა პატრულს," - განაცხადა სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულმა განსასჯელის თანამშრომელმა, პატრულ-ინსპექტორების ოცეულის წევრმა ვლადიმერ ადამიამ.

ვლადიმერ ადამიას მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება, წინასწარ გამოძიებაში მის მიერ მიცემული ჩვენების იდენტური აღმოჩნდა.

"2008 წლის 8 მაისს, ვასრულებდი ოცმეთაურის მოვალეობას დავით ამაშუკელთან ერთად. ვმოძრაობდით რუსთაველის გამზირზე. ვიმყოფებოდით ფოსტის პირდაპირ, რესტორან "შხარასთთნ". დაახლოებით ღამის პირველ საათზე, რაციაზე გაისმა

ეკიპაჟ 104-ის ხმა - ხართ თუ არა ვინმე რუსთაველზეო? ეს რომ გავიგეთ, გავჩერდით ფოსტის მოპირდაპირე მხარეს. ველოდებოდით სწრაფად მოსიარულე ავტომანქანის გამოჩენას. 3-4 წუთში იმავე რაციით გაისმა კვლავ 104-ის ხმა - პატრულები რადიოგადამცემ "რიონს" ატყობინებდნენ, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა ესაჭიროებოდათ, რადგან ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი იყო მოქალაქე. მოვაბრუნეთ ავტომანქანა და "მაკდოლადსისკენ" წავედით," - განაცხადა პატრულ-ინსპექტორმა ვლადიმერ ადამიამ. მისივე განმარტებით, ზანდუკელის ქუჩაზე, "მაკდონალდსის" პირველივე ეზოს შესასვლელთან, მან და დავით ამაშუკელმა დაინახეს ბორდიურზე ავარდნილი "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა, რომლის მარცხენა კარი გამოღებული იყო. მოწმის ჩვენებით, ოდნავ ზევით, ნაგებობის სახურავზე, რომელიც, სავარაუდოდ ავტოფარეხი იყო, იდგა პატრულ-ინსპექტორი ლევან ჯინიყაშვილი, რომელსაც რაცია ეჭირა ხელში. მის ფეხებთან კი ცეცხლსასროლი იარაღი - პისტოლეტი ეგდო.

"მეორე თანამშრომელი ვახტანგ აბუაშვილი ქვევით იყო და როგორც დავინახე, დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცის თავი ეკავა ხელში. ლევან ჯინიყაშვილმა, რომელიც ავტოფარეხის სახურავზე იდგა, მთხოვა, დავმდგარიყავი იარაღთან და დამეცვა შემთხვევის ადგილი. როგორც გაირკვა, იარაღი, რომელიც ჩემი კოლეგის, ჯინიყაშვილის ფეხებთან, ავტოფარეხის სახურავზე ეგდო, დაჭრილ ახალგაზრდას ეკუთვნოდა. როგორ მოხვდა იქ იარაღი, არ ვიცი, არ იყო სიტუაცია, დეტალურად გამეგო ყველაფერი. ლევან ჯინიყაშვილი სახურავიდან ჩავიდა, მე კი შემთხვევის ადგილს ვიცავდი, ეს იყო ადგილი, სადაც დაჭრილის იარაღი ეგდო," - განუცხადა სასამართლოს პატრულ-ინსპექტორმა ვლადიმერ ადამიამ.

დაზარალებულის ინტერესების დამცველი დაინტერესდა, რა უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული იყო პატრულ ვლადიმერ ადამიასთვის - დაჭრილისთვის დახმარების გაწევა, თუ იმ იარაღის დაცვა, რომელიც ავტოფარეხის სახურავზე ეგდო და საერთოდ, რომელი ადგილი აღიქვა მან შემთხვევის ადგილად - ავტოფარეხის სახურავი, თუ ადგილი, სადაც დაჭრილი ეგდო.

"მე შემთხვევის ადგილს ვიცავდი. ვიდექი ავტოფარეხის სახურავზე. იქიდან არაფერი ჩანდა. რა გააკეთა ქვემოთ ჩასულმა ლევან ჯინიყაშვილმა, არ ვიცი," - განაცხადა მოწმემ.

გარდაცვლილის ოჯახის ინტერესების დამცველი იმითაც დაინტერესდა, რატომ არ გასცეს პასუხი პატრულ-ინსპექტორებმა ვლადიმერ ადამიამ და დავით ამაშუკელმა კოლეგების მიერ რაციით დასმულ შეკითხვას, იყო თუ არა ვინმე რუსთაველის გამზირზე, რაზეც მოწმისგან ასეთი პასუხი მიიღო: **"რაციას ხან ვპასუხობთ, ხან - არა. რატომ არ ვუპასუხეთ, ამის მიზეზს ვერ გეტყვით. ეს იყო სტანდარტული შემთხვევა. რაციას ექსტრემალურ სიტუაციაში ვპასუხობთ ხოლმე,"** - ასე ახსნა მომხდარი მოწმე პატრულმა. თუმცა, მან ის ვერ ახსნა, რატომ არ ითვლებოდა ეს შეტყობინება ექსტრემალურ სიტუაციად.

"მე შემთხვევის ადგილს ვიცავდი, ვიცავდი იარაღს, მარტო ვიდექი ავტოფარეხის სახურავზე. ეს ადგილი გადავაბარე იქ მოსულ კრიმინალისტებს და ქვემოთ ჩავედი. ადგილზე ძალიან ჩქარა მოვიდა ჩვენი ხელმძღვანელობა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაადგინა, რომ დაჭრილი მოქალაქე უკვე გარდაცვლილი იყო და ის პროზექტურაში გადაიყვანეს," - განაცხადა მოწმემ.

მოწმე პატრულ-ინსპექტორ ვლადიმერ ადამიას არ ახსოვს, როდის დაიკითხა საქმის წინასწარი გამოძიების პროცესში. ახსოვს მხოლოდ ის, რომ დაიკითხა პოლიციის სამმართველოში, ისევე, როგორც მისი კოლეგა დავით ამაშუკელი.

როგორც "24 საათთან" საუბრისას მოკლულის ოჯახის ინტერესების დამცველმა ინგა არახამიამ განაცხადა, გამოძიებისთვის ოთხი პატრულ-ინსპექტორის მიერ მიცემული ჩვენება ქსეროასლეზე გადაღებულს ჰგავს. დაზარალებულის ინტერესების დამცველის თქმითვე, იარაღი, რომელიც პოლიციამ საქმეში ჩადო და განაცხადა, რომ ის გარდაცვლილ გიორგი გამცემლიძეს ეკუთვნოდა, პროკურატურამ არ ცნო გიორგი გამცემლიძის იარაღად.

"რა თქმა უნდა, განსასჯელ აბუაშვილისთვის წარდგენილ ბრალდებას არ ვეთანხმებით. სახეზეა არა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, არამედ, მკვლელობა. პატრულ-ინსპექტორმა ვახტანგ აბუაშვილმა თავი გამოიჩინა და იმის ნაცვლად, რომ მოძრაობის წესების დამრღვევი გიორგი გამცემლიძე ადმინისტრაციული ჯარიმით დაჯარიმებულიყო, ის სიცოცხლეს გამოასალმა," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დაზარალებულის ინტერესების დამცველმა. ინგა არახამია იმ მოწმის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს, რომელმაც, წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება სასამართლო პროცესზე რადიკალურად შეცვალა.

საუბარია მოწმე ოთარ თენეიშვილზე, რომელმაც საქმის წინასწარი გამოძიებისას დეტალურად აღწერა გიორგი გამცემლიძის მკვლელობა. მოწმე აცხადებდა, როგორ გაიგო მან ავტომანქანის დამუხრუჭების ხმა, რომელსაც გასროლა მოჰყვა, როგორ გადაირბინა გიორგი გამცემლიძემ ავტოფარეხის სახურავი ისე, რომ ხელში ცეცხლსასროლი იარაღი არ სჭერია, როგორ ჩავარდა ის ავტოფარეხის სახურავიდან და როგორ გადაათრიეს ის საპატრულო პოლიციელებმა ზანდუკელის ქუჩაზე მდებარე სტომატოლოგიური კლინიკის წინ.

"სასამართლო პროცესი გაურკვეველი მიზეზების გამო ჭიანურდებოდა. ჩვენი დასკვნით, მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოწმე თენეიშვილთან. მან წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სასამართლო პროცესზე შეცვალა," - აცხადებს დაზარალებულის ინტერესების დამცველი. ინგა არახამიას თქმით, დაზარალებული მხარე ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციას ამოწურავს და სტრასბურგის ადამიანის უფლებთა დაცვის სასამართლოს მიმართავს.

იუსტიციის სამინისტრო წინასწარი გამოძიების ფუნქციით აღიჭურვება

იუსტიციის სამინისტრო წინასწარი გამოძიების წარმოების ფუნქციით აღიჭურვება, ამასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" იგეგმება.

კანონპროექტით, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები გამოიძიებენ პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლისა და პროკურატურის მრჩევლის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, აგრეთვე, იუსტიციის სამინიტროს სისტემის მოსამსახურის მიერ ჩადენილ რიგ დანაშაულებს.

კანონპროექტით, დასაშვებად ცხადდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმ ნორმატიული აქტების სახელმწიფო საიდუმლობას მიკუთვნება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით სამინისტროს შიდა საქმიანობას აწესრიგებს.

ამას გარდა, მთავარი პროკურორი განახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენისას, ხოლო პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ დანაშულს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფი გამოიძიებს.

კანონპროექტის განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება.

გემ "ექშენზე" საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

გემ "ექშენზე", რომელიც სომალელ მეკობრეებს ჰყავდათ გატაცებული, ქართველი ენვერ ვარშანიძე გარდაცვლილი იპოვეს. "ექშენი", რომელიც მეკობრეებმა 10 ოქტომბერს გაიტაცეს, 12 დეკემბერს გათავისუფლდა და გემის ქართველმა კაპიტანმა "ექშენის" მფლობელ კომპანიას შემთხვევის შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა. ვარშანიძის გარდაცვალების გახმაურების უფლებას მას მეკობრეები არ აძლევდნენ. წინასწარი ინფორმაციით, ენვერ ვარშანიძემ თავი მოიკლა. ჯერჯერობით უცნობია ზუსტი თარიღი, თუ როდის მოხერხდება მისი საქართველოში გადმოსვენება. **ინტერპრესნიუსი**

მესაზღვრეებმა თევზსაჭერი სეინერი ჩაძირვას გადაარჩინეს

მესაზღვრეებმა თევზსაჭერი სეინერი "იაზონი" ჩაძირვას გადაარჩინეს. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაში ინფორმაცია შუაღამისას შევიდა, რომ თევზსაჭერი სეინერი მეჩეთზე შეჯდა, მას წინა ნაწილი დაუზიანდა და სეინერი ზღვის წყალით ივსებოდა.

სეინერის დასახმარებლად სანაპირო დაცვის საპატრულო კატარღა P-201 გავიდა. სამსაათიანი სამაშველო ოპერაციის შედეგად სეინერი ჩაძირვას გადაურჩა. "იაზონი" სანაპირო დაცვის კატარღამ ფოთის პორტში შემოიყვანა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მესაზღვრეებმა შსს-ის ორი ძებნილი დააკავეს

13-14 დეკემბერს მესაზღვრეებმა საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე "სარფი" და "ვალე" საქართველოში შემოსვლისას შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. აღნიშნული პირები შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს აჭარისა და მარნეულის სამმართველოებს გადაეცნენ.

მესაზღვრეებმა საკონტროლო-გამტარ პუნქტზე "სარფი" საქართველოში შემოსვლისას თურქეთის მოქალაქე დააკავეს. მას პასპორტში "ადლერის" გავლით სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის თარიღდამღები აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ყალბი დოკუმენტის დამაზადება-გასაღების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტულ ცენტრში ცირა ყიფშიძესა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირებთან დაკავშირებით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამაზადება-გასაღების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. ცირა ყიფშიძეს საზღვარგარეთიდან დაუკავშირდნენ და ყალბი პასპორტების დამზადება სთხოვეს. ამ მიზნით მას 400 ევრო და ორი დისკი გადასცეს, რომელზეც დემოგრაფიული მონაცემები და ფოტოსურათები იყო ჩაწერილი.

ყიფშიძე აღნიშნული დანაშაულის სისრულეში მოყვანის მიზნით იოსებ ქიტიაშვილს დაუკავშირდა და ყალბი პასპორტების დასამზადებლად ორი დისკი და 250 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო პასპორტების დამზადების შემდეგ 150 აშშ დოლარს დაჰპირდა.

იოსებ ქიტიაშვილმა 150 აშშ დოლარის სანაცვლოდ ხუტა ვახტანგაძეს ყალბი პასპორტები დაამზადებინა.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად შსს-ს თანამშრომლებმა ცირა ყიფშიძე, იოსებ ქიტიაშვილი და ხუტა ვახტანგაძე დააკავეს.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრი იძიებს. **პირველი**

მემორანდუმი გაფორმდება

2009 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრსა და საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნულ სკოლას შორის გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.

ამის შესახებ შეთანხმება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების საფრანგეთში ვიზიტისას იქნა მიღწეული. აღნიშნული მემორანდუმი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორების მომზადებას და უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის სასწავლო ვიზიტებს ითვალისწინებს.

ამასთან, ფრანგი სპეციალისტები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის გადამზადებაშიც ჩაერთვებიან.

ქართული დელეგაცია საფრანგეთში ადგილობრივი სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდიკას გაეცნო. ამასთან, დელეგაციის წევრებმა საფრანგეთის სასჯელაღსრულების დაწესებულება დაათვალიერეს და საფრანგეთის პრობაციის სისტემის მუშაობასაც გაეცნენ. **პირველი**

საჩხერის რაიონის პროკურატურის ახალი შენობა გაიხსნა

საჩხერის რაიონის პროკურატურას ახალი შენობა აქვს. შენობა თანამედროვე სტანდარტებითაა მოწყობილი. მანამდე პროკურატურის თანამშრომლები ამორტიზებულ დაწესებულებაში მუშაობდნენ. შენობის პრეზენტაცია საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე დაესწრო. "საჩხერის რაიონის პროკურატურის იურისდიქცია გადაფარავს ასევე ჭიათურის რაიონის პროკურატურასაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ ადგილებში სამართლებრივი დაწესებულების არსებობას, რადგან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით განლაგებულია რუსული საოკუპაციო ჯარი," - განაცხადა დავით საყვარელიძემ. **მედიანიუსი**

პატიმარი გარდაიცვალა

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი არტომ კ. გარდაიცვალა. ექიმების პირველადი დასკვნით, ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზი სიმსივნური და ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. არტომ კ. 2008 წლის 16 მაისს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით იყო დაკავებული. **მედიანიუსი**

დავით კეზერაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშვნას გამორიცხავს

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მის შესაძლო დანიშვნას კატეგორიულად გამორიცხავს. "ბაჩო ახალაიას არ ჩავანაცვლებ. ეს ტყუილია, გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ," - განუცხადა "პირველს" კეზერაშვილმა. ინფორმაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას დავით კეზერაშვილით შესაძლო ჩანაცვლების შესახებ ქართული პრესა ავრცელებს. ბაჩო ახალაიას კიდევ ერთ შემცვლელად გელა ბეჟუაშვილიც მოიაზრება. ბაჩო ახალაია დაკავებული თანამდებობიდან ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს. იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. **პირველი**

ორმა ადამიანმა თვითმკვლელობა სცადა

თბილისში თვითმკვლელობის მცდელობის ორი შემთხვევა მოხდა. "ორი მოქალაქე, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, ექიმებმა გადაარჩინეს - განუცხადა "მედიანიუსს" სასწრაფო სამედიცინო დახმარების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თამარ ჩეჩელაშვილმა. "ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თვითმკვლელობის ფაქტები მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში," - "მედიანიუსთან" საუბრისას განაცხადა ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ. სპეციალისტთა განმარტებით, თვითმკვლელობის სხვადასხვა მოტივი არსებობს. ერთ-ერთი მოტივია ეკონომიკური სიდუხჭირე და კრიზისი. ექსპერტი ქართველების ფსიქოლოგიურ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას და დასძენს, რომ ქართველებს სიუციდისკენ მიდრეკილება ნაკლებად აქვთ. "ქართველები ოპტიმისტური, მაჟორული ხალხია, ჩვენ სიცოცხლისადმი სიყვარულის ხასიათი გვაძლევს იმის ვარაუდს, რომ თვითმკვლელობები არ გახშირდება. თვითმკვლელობის ფაქტები შესაძლოა, ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოში გახშირდეს," - აცხადებს რამაზ საყვარელიძე. **მედიანიუსი**

ეგვიპტეში ავტოსაგზაო შემთხვევას 50 ადამიანი ემსხვერპლა

ეგვიპტეში, ქაიროდან 200 კილომეტრით სამხრეთით, ქალაქ ელ-მინიაში ავტობუსის საირიგაციო არხში ჩავარდნის შედეგად, 50 ადამიანი დაიღუპა. ავტობუსის მძღოლმა ტვირთმზიდთან შეჯახებას აარიდა თავი და გზიდან უცებ გადაუხვია. მაშველებს დაღუპულთა ცხედრები არხიდან რამდენიმე საათის განმავლობაში ამოჰქონდათ. ვარაუდობენ, რომ მსხვერპლის რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. ათამდე მგზავრი საავადმყოფოშია გადაყვანილი. **მედიანიუსი**

2008 წლის 21 დეკემბერს, 14.00 საათზე, ვერის ბაღში მდებარე საკალათბურთო დარბაზში ჩატარდება ადვოკატთა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13.3 მუხლით არის განსაზღვრული.

ადვოკატთა რეგისტრაცია დაიწყება 13:00 საათზე

საერთი კრებაზე განიხილება შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის 2008 წლის ანგარიში და 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა;
4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გამოკლებულ წევრთა სანაცვლოდ ახალ წევრთა არჩევა;
5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გამოკლებულ წევრთა სანაცვლოდ ახალ წევრთა არჩევა;
6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის არჩევა.

ინფორმაცია

მიმდინარეობს ს/ს თიანეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს და შპს თიანეთის საგზაო სამმართველოს ბაზაზე შპს სამშენებლო სატრანსპორტო სამმართველოს შექმნა.

პილოტური პროგრამა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 საპყრობილეში პატიმრებისთვის "მეტადონის" ჩანაცვლების პილოტური პროგრამა იწყება. იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის შეთანხმება გუშინ გაფორმდა. ჩანაცვლების პროგრამას "გლობალფონდი" აფინანსებს.

მე-8 საპყრობილეში პატიმრებისთვის "მეტადონის" ჩანაცვლების პროგრამა იწყება.

ბესო გულაშვილი, "დილა"

ხელმოწერის ცერმონიის დროს, საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა განაცხადა, რომ პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 2-3 თვე გაგრძელდება. შემდგომში კი, თუ პროცესი გაამართლებს, მის გაგრძელებაზეც იქნება საუბარი.

სანდრა რულოვსის თქმით, პენიტენციურ დაწესებულებებში პილოტური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის დასანერგად მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, შესაბამისი ნორმატიული ბაზა მომზადდა: გლდანის N8 საპყრობილეში გარემონტდა და აღიჭურვა სამკურნალო განყოფილება, გადამზადდა სამედიცინო პერსონალი.

როგორც საქართველოს პირველმა ლედიმ აღნიშნა, ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით, თუ ის გაამართლებს, 2009 წლამდე 8 ათასამდე ადამიანი ისარგებლებს.

ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, პროგრამა 50 პატიმარზეა გათვლილი, რაც მათ დაეხმარება ე.წ. ლომკის დაძლევაში.

"მკურნალობა განხორციელდება ხანგრძლივი დეტოქსიკაციის ფორმით. პაციენტებს მიეცემათ "მეტადონის" ჰიდროქლორიდის კლებითი დოზები, სხვა მედიკოფსიქოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსში, რაც უზრუნველყოფს სინდრომის მოხსნას, პაციენტის ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს მომავალში მისი შრომისუნარიანობის აღდგენას, ცხოვრების ჯანსაღი წესის აღდგენას და საზოგადოებაში რეინტეგრაციას," - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

როგორც ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მათთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება პატიმართა უფლების დაცვა, მეორე მხრივ, შემცირდება ის ზიანი, რაც მათ შეიძლება მიიღონ.

ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, პენიტენციურ სისტემაში ნარკომანიის მკურნალობის ადეკვატური სისტემის არსებობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკების არალეგალური გზით შეტანის, კორუფციის, პატიმრების აგრესიული ქცევის, შიდსის და სხვა ინფექციების გავრცელების აღმოფხვრას უწყობს ხელს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანმა განაცხადა, რომ გლდანში მდებარე სასჯელაღსრულების მე-8 საპატიმროში ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და ყველა პირობაა შექმნილი, რათა პროექტმა წარმატებით იმუშაოს.

დღემდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ნარკომანიის მკურნალობის ადეკვატური სისტემა არ არსებობდა. ოპოიდური ნარკომანიით დაავადებულ პირებს, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, კვალიფიციური დახმარების მიღების საშუალება პრაქტიკულად არ ჰქონდათ - მათ ე.წ. ლომკის მძიმე ფორმის გადატანა უწევდათ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპოიდური ნარკომანიის მკურნალობისა და ზიანის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ჩანაცვლებითი თერაპიის დანერგვა წარმოადგენს.

პროგრამის ამოქმედება, რომელიც ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება, საქართველოს სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც იგეგმება.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევების თანახმად, უკანასკნელ წლებში, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების არალეგალურად შეტანა მკვეთრად შემცირდა.

საკუთარი ინფორმაცია

"საშინელებათა სკოლის" საიდუმლო

ფლორიდას შტატის სამართალდამცველებმა სკანდალური საქმის გამოძიება დაიწყეს, რომელიც მასობრივ მკვლელობებს ეხება. საუბარია ქალაქ მარიანაში მდებარე გამოსასწორებელი სკოლა-კოლონიის აღსაზრდელების მკვლელობებზე. საქმე ისაა, რომ სკოლა-კოლონიის საიდუმლოს ფარდა ოთხმა ყოფილმა აღსაზრდელმა ახსნა, რომლებიც ამჟამად პენსიონერები არიან. მათ ერთმანეთი მოძებნეს და გადაწყვიტეს, საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია წლების წინანდელ ისტორიაზე. ყოფილ აღსაზრდელებს იმედი აქვთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება "საშინელებათა სკოლის" ისტორიით მაქსიმალურად დაინტერესდება.

ფლორიდას შტატის ხელმძღვანელობამ უკვე გადაწყვიტა, ექსგუმაცია ჩაუტარდეს ყველა იმ არასრულწლოვნის ცხედარს, რომლებიც ქალაქ მარიანაში მდებარე გამოსასწორებელ სკოლა-კოლონიაში ყოფნისას გარდაიცვალნენ. საქმე ისაა, რომ ამ სკოლის აღსაზრდელები ერთ სასაფლაოზე, ერთმანეთის ახლოს არიან დასაფლავებულები.

50 წლის წინანადელი საიდუმლოს გამოძიების ინიციატორი ფლორიდას შტატის გუბერნატორი კარლ კრისტი გახლავთ. სწორედ მისი მონდომებით გადაწყდა გარდაცვლილთა ექსგუმაცია მათი ვინაობისა და გარდაცვალების მიზეზების დასადგენად. **"ჩვენ ვალდებულები ვართ, გავიგოთ, რა ხდებოდა ამ სკოლის კედლებში და რა ძალადობას ჰქონდა ადგილი აღსაზრდელი არასრულწლოვნების მიმართ,"**- აცხადებს ფლორიდას შტატის გუბერნატორი.

როგორც სკოლა-კოლონიის ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, ვერასდროს დაივიწყებენ იმ საშინელებებს, რაც მათ სკოლა-კოლონიაში ხდებოდა. მათი თქმით, სასტიკი მასწავლებლებისა და ზედამხედველების მსვერპლი მცირეწლოვანი ბავშვებიც ხდებოდნენ. ზედამხედველებს შეეძლოთ სასტიკად გასწორებოდნენ აღსაზრდელებს უბრალო მიზეზების გამო. მაგალითად, წამებით დაასრულებდა სიცოცხლეს ის აღსაზრდელი, რომელიც ნებართვის გარეშე წაიმღერებდა, ანდა, ნებართვის გარეშე გაიღიმებდა ან საკუთარ აზრს გამოთქვამდა.

როგორც 63 წლის ბრაიან მიდდელტონი იხსენებს, სკოლის აღმზრდელები იმდენად სასტიკები იყვნენ, რომ მათ შეეძლოთ მთელი სისატიკით დაესაჯათ აღსაზრდელი არასრულწლოვანი მარტო იმის გამო, რომ მისი გამოხედვა არ მოსწონდათ.

65 წლის დიკ კოლნის ნაამბობის მიხედვით, ის სკოლაში 1950 წელს მოხვდა. **"არასდროს დამავიწყდება ამ სკოლის სამრეცხაო, სადაც, საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გამოკეტეს ელექტროსაშრობში ზედამხედველებმა სკოლის ყველაზე პატარა მოსწავლე. საშრობის მინის ფანჯარაში კარგად ჩანდა, როგორ ატრიალებდა ბავშვს საშრობის დოლურა. მე ის ბავშვი მას შემდეგ სკოლაში აღარ მინახავს,"** - ამბობს მოხუცი. მისივე თქმით, დანაშაულის შეგრძნება მოსვენებას არ აძლევს და საშინლად ნანობს, რომ არაფერი გააკეთა იმ ბავშვის გადასარჩენად. **"თუმცა, რომ მივხმარებოდი, მეც წამებით მომკლავდნენ,"** - ამბობს სიკვდილს გადარჩენილი დიკ კოლინი.

როგორც ირკვევა, სკოლა-კოლონიის თანამშრომელთა უმრავლესობა უკვე გარდაცვლილია. ის კი, ვინც ცოცხალია, უკვე ღრმად მოხუცებულია.

"რა დამავიწყებს იმ პატარა ოთახს, რომელშიც ზედამხედველებმა შემაგდეს. იატაკზე დაგდებულს, ყოველდღე სასტიკად მცემდნენ. იატაკი მთლიანად სისხლიანი იყო. მე ჩემსავე სისხლში ვიწექი," - ასე იხსენებს "საშინელებათა სკოლის" ერთ-ერთი ყოფილი აღსაზრდელი 12 წლის ასაკში გადატანილს.

ქალაქ მარიანაში, გამოსასწორებელი სკოლა-კოლონია 1909 წელს გაიხსნა. როგორც ირკვევა, არასრულწლოვნების უმრავლესობა იქ ოჯახიდან გამოქცევისთანავე მოხვდა.

"ამ სკოლის მსხვერპლი გახდა ყველა ის, ვინც ოჯახურ ძალადობას გაექცა და თავის გადარჩენა მოინდომა," - აცხადებენ სკოლა-კოლონიის ყოფილი აღსაზრდელები, რომლებიც იქ არსებულ სისასტიკეზე მხოლოდ მოხუცებულობაში ალაპარაკდნენ.

ბუშის სკანდალური აღმოსავლური ტურნე

იერიში ფეხსაცმელებით

ხათუნა გაბიევი

შეერთებული შტატების პრეზიდენტის აღმოსავლური ტურნე; ერაყელი ხალხის სახელით გადახდილი და უცნაური ფორმით გამოხატული მადლობა დემოკრატიის გავრცელების მცდელობის სანაცვლოდ; ბაღდადში ბრიფინგზე ნასროლი ფეხსაცმელები; ავღანეთი-პაკისტანი - ოფიციალური ვაშინგტონის უცვლელი პრიორიტეტი.



AFP ' 2008

ფეხსაცმელების სროლის შემდეგ პირადი მცველები ბუშის წინ კედლად აღიმართნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღმოსავლური ტურნეს ფარგლებში ჯერ ერაყი, ხოლო შემდეგ ავღანეთი მოინახულა. ბაღდადში გამართულ ბრიფინგზე ინციდენტი მოხდა. მართალია, მოგვიანებით ინციდენტს ბუშმა "სახალისო" უწოდა, მაგრამ ბრიფინგის დროს განვითარებული მოვლენები ასეთ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა.

ბაღდადში კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეგვიპტური ტელეარხის "ალ-ბაღდადიას" ერაყელმა ჟურნალისტმა მუნთადარ აზ-ზეიდიმ შეაწყვეტინა სიტყვა - მან პრეზიდენტს ჯერ ერთი ფეხსაცმელი ესროლა და მალე მეორეც მიაყოლა. ჯორჯ ბუშმა ერთის აცილება თავად მოახერხა, მეორე ფეხსაცმლის მოხვედრისგან კი იგი ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ-მალიკმა გადაარჩინა. პირველ ფეხსაცმელს ჟურნალისტმა არაბულ ენაზე შეურაცხმყოფელი ფრაზა მიაყოლა - **"ეს ერაყელების საჩუქარია. ესაა გამოსათხოვარი კოცნა. შენ ძაღლი ხარ."** უკომენტაროდ ჟურნალისტმა არც მეორედ ნასროლი ფეხსაცმელი დატოვა: **"ესეც შენ ქვრივების, ობლების და ყველას სახელით, ვინც ერაყში მოკლეს."**

ერაყელი ჟურნალისტი ჯორჯ ბუშისგან 4 მეტრის დაშორებით იმყოფებოდა. მართალია, ჯორჯ ბუშმა ფეხსაცმელების აცილება მოახერხა, მაგრამ მისმა პრესმდივანმა დანა პერინომ, რომელსაც სკანდალურ ბრიფინგზე თვალი ჩაულურჯდა, ვერ შეძლო არეულობის დროს ერთ-ერთი რეპორტიორის მიკროფონის მოგერიება.

ფეხსაცმლის გარეშე დარჩენილი აზ-ზეიდი დარბაზიდან ამერიკისა და ერაყის დაცვის სამსახურების თანამშრომლებმა გაიყვანეს. რეპორტიორს ჯერ სისხლში ალკოჰოლისა და ნარკოტიკების დონეს შეუმოწმებდნენ, შემდეგ კი მას დაკითხვაზე წაიყვანდნენ.

აღმოსავლეთში ფეხსაცმელების სროლა ძლიერ შეურაცხყოფად მიიჩნევა, რომ არაფერი ითქვას ადამიანის ძაღლთან შედარებაზე.

ერაყის შემდეგ ჯორჯ ბუშმა თავის ამალასთან ერთად გეზი ავღანეთისკენ აიღო და მორიგი ბრიფინგი ქაბულში გამართა, სადაც "თალიბების" რადიკალურ მოძრაობას "სიკვდილის მთესველი და შეუპოვარი ძალა" უწოდა. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ოფიციალურ ქაბულს პაკისტანთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ურჩია, რადგან, სავარაუდოდ, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა იმალებოდეს "ალ ქაიდას" ლიდერი ოსამა ბინ ლადენი.

"მე არ მითქვამს, რომ ხელისუფლების სადავეებიდან ჩამოშორების შემდეგ თალიბები გავანადგურეთ. რეჟიმის დამხობის კვალდაკვალ უამრავი გზა, სკოლა და საავადმყოფო გაკეთდა ავღანეთში, რაც პროგრესის დამადასტურებელია," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

მისი თქმით, შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია ავღანეთის მიმართ ყურადღებას არ შეანელებს, რადგან "ამერიკისთვის მნიშვნელოვანია ოფიციალურ ქაბულთან მუშაობის გაგრძელება ქვეყნის მოსაზღვრე რაიონებთან ბოევიკებზე ზეწოლის გასაზრდელად." ჯორჯ ბუშის განცხადებით, "თალიბების" რეჟიმის დამხობის შემდეგ მათი მოძრაობისა და "ალ ქაიდას" ძირითად თავშესაფრად მოსაზღვრე პაკისტანი და ვაზირისტანის რეგიონის პროვინციები იქცა.

"რაც უფრო მეტს ვიმუშავებთ ავღანეთსა და პაკისტანთან თანამშრომლობის განვითარებაზე, ამ ტერიტორიების უსაფრთხოების გამყარება უფრო მარტივი გახდება," - თქვა ჯორჯ ბუშმა.

თავის მხრივ, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ აღნიშნა, რომ "ავღანელ ხალხს არ სურს, ტვირთად აწვებოდეს საერთაშორისო საზოგადოებას. თუმცა, ავღანეთიდან საერთაშორისო კონტინგენტის გაყვანაზე საუბარი ჯერ ნაადრევია."

"საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობა ტერორიზმსა და ექსტრემიზმზე სრული გამარჯვების მოპოვებამდე გაგრძელდება - მანამდე, ვიდრე ისლამური რესპუბლიკა დამოუკიდებლად არ შეძლებს თავისი ეკონომიკის განვითარებას," - განაცხადა ჰამიდ კარზაიმ.

"ალ ქაიდას" ტერორისტული საქმიანობის დასრულება უმთავრეს პრიორიტეტად ამერიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმაც დაასახელა.

"ამერიკამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაასრულოს "ალ ქაიდას" ტერორისტული საქმიანობა. ასევე ვფიქრობ, რომ ოსამა ბინ ლადენის დაკავება ან ლიკვიდაცია უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ტერორისტული ქსელის განეიტრალებაში. ბინ ლადენი არა მარტო სიმბოლოა, არამედ ხელმძღვანელობს კიდეც ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელიც მომავალშიც აპირებს ჩვენ ქვეყანაზე იერიშების მიტანას," - განაცხადა ბარაკ ობამამ პრეზიდენტის პოსტზე არჩევის შემდეგ.

ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, ოსამა ბინ ლადენი სამხრეთ ვაზირისტანს აფარებს თავს. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ჯორჯ ბუშმა პირობა დადო, რომ "ალ ქაიდას" ლიდერს ცოცხლად შეიპყრობდნენ ან გაანადგურებდნენ. დღემდე ბინ ლადენის აყვანა ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა ჯილდოს ოდენობა 27 მლნ აშშ დოლარამდე გაზარდა.

ვიქტორ იუშჩენკო: ნატო-ს უკრაინის მისაწვევად სიმამაცე არ ეყო

AFP ' 2008

ვიქტორ იუშჩენკო: "ნატო-ს უკრაინის მისაწვევად სიმამაცე არ ეყო."

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ნატო-ს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, თუმცა მიიჩნევს, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი რუსეთის მკვეთრ პოზიციას მოერიდა.

"ბი-ბი-სი"-სთან მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა იუშჩენკომ აღნიშნა, რომ ნატო-ს უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტირება შეეძლო.

"მე-20 საუკუნის განმავლობაში უკრაინამ ექვსჯერ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ჩვენ ის ხუთჯერ დავკარგეთ. ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა: ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს არასდროს ამაგრებდა საერთაშორისო გარანტიები. ნატო-ს პოლიტიკა ევროპის აღმოსავლეთით სტაბილურობისა და მშვიდობის ზონას აფართოებს. დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან სტაბილურობის ზონის გაფართოებით," - აღნიშნა იუშჩენკომ.

კითხვაზე, ეთანხმება თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ ნატო-ს რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირების გამო შეეშინდა უკრაინასთან მჭიდრო კავშირების დამყარება, უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა: **"ჩემთვის აშკარაა, რომ ეს ასეა."**

მისი თქმით, არავის ეყო პოლიტიკური სიმამაცე, არც ნატო-ს შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ, რომ წმინდა სახით მოეხდინათ იმ პრინციპების რეალიზაცია, რომლებსაც ეს ინსტიტუტი ემყარება. **"უკრაინა არავის პროვინცია არ არის. უკრაინა სუვერენული სახელმწიფოა. ჩვენი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა გახლავთ,"** - განაცხადა იუშჩენკომ.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, მისი ოთხწლიანი პრეზიდენტობის მთავარ მიღწევას ქვეყნის დემოკრატიული განვითარება წარმოადგენს. იუშჩენკოს აზრით, ამ წლების ყველა უთანხმოება და წინააღმდეგობა (მათ შორის, მთავრობის არაერთხელ შეცვლა, პარლამენტის დათხოვნა და "ნარინჯისფერთა" რიგებში მუდმივი კამათი) დემოკრატიული გზით წყდებოდა.

"ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ღია უკრაინული საზოგადოება მივიღეთ, რომელიც თავისუფლებაზე აღიზარდა, რომელმაც მთავარი დემოკრატიული უფლებები მოიპოვა. ოთხი წლის მანძილზე რა სახის პრობლემებიც არ უნდა წარმოქმნილიყო, ჩვენ ერთი წესის დემონსტრირება მოვახდინეთ: ჩვენ დემოკრატები ვართ და ყველა გამოწვევას დემოკრატიულად ვცემთ პასუხს," - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

მან ასევე აღიარა, რომ უკრაინელ პოლიტიკოსებს შორის არსებულმა პოლიტიკურმა უთანხმოებებმა მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო ისედაც მწვავე ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა. უკრაინა ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ: მეტალურგიულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების გამო ქვეყანა სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის გარეშე დარჩა. უკრაინული გრივნის ფასი მკვეთრად დაეცა, ზოგიერთი ბანკები კი გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ.

ფრონტალური-დამტვირთველი:
456 HT

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 m^3
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.

მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

GT GROUP
ÜÏ Ë ÏÚÀÛÅÉ ËÉÓ 48 Á
ÔÄË: 740 740
www.gtgroup.ge

Ford Transit
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors
გარანტია 2 წელი
16 950 ევროდან

iVan
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი
გარანტია 2 წელი

25 500 ევროდან

MST
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები
გარანტია 1 წელი
46 000 ევროდან

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
კატარაქტის ქირურგიაში
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

GT GROUP
ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში
ჩოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge

გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

4 9 000 ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

რევიუ

AFP ' 2008

საშობაოდ განსაკუთრებულად ემზადება კათოლიკური სამყარო. მსოფლიოს მეგაპოლისებში დიდი ხანია რაც სამზადისი დაიწყო. სამზადისში როდი იგულისხმება მხოლოდ ნაძვის ხეებისა და ღამის განთებათა სისტემების დამონტაჟება. ევროპულ დედაქალაქებში თითქმის ყოველ დღე იმ წარმოდგენების რეპეტიციები მიმდინარეობს, რომლებსაც ჯერ შობას, შემდეგ კი ახალ წელს დღისით და ღამით გაითამაშებენ. შესაბამისად, მთელი დეკემბერი ქალაქებში საზეიმო განწყობაა, დევიზი კი ყველგან ერთი, - "შობა და ახალი წელი ახლოვდება". გუშინ რომის ჯერი დადგა. ასეულობით სანტა კოლიზეუმის გარშემო დარბოდა და მღეროდა. მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ მსახიობები, არამედ მოხალისე, ხალისისანი მოქალაქეებიც.

ყოვლისშემძლე "უოლი"

ლოს-ანჯელესში "უოლი" წლის საუკეთესო ფილმად დასახელდა

ნიკა ესებუა

ლოს-ანჯელესის კრიტიკოსთა ასოციაციის რიგით 34-ე კინოდაჯილდოებაზე, პირველად ამ ასოციაციის არსებობის ისტორიაში ანიმაციური ფილმი გახდა წლის საუკეთესო მხატვრული ნამუშევარი.

"უოლ-იმ" წლის საუკეთესო ფილმისათვის ბრძოლაში კრისტოფერ ნოლანის "ბნელ რაინდს" აჯობა. ნოლანმა კიდევ ერთი მარცხი იწვნია ცერემონიალზე. საუკეთესო რეჟისორის ტიტულისათვის ბრძოლაში მას ბრიტანელმა რეჟისორმა, დენი ბოილმა, აჯობა. ბოილმა ჯილდო ფილმ Slumdog Millionaire-ისთვის მიიღო. ფილმმა კრიტიკოსების მაღალი შეფასებები დაიმსახურა და ოსკარების რამდენიმე, მთავარ ნომინაციასაც უწინასწარმეტყველებენ.

წლის მსახიობ მამაკაცად ოსკაროსანი შონ პენი დასახელდა. გას ვან სენტის ფილმში "რძე" შონ პენმა გეის როლი შეასრულა და მისი ჰარვი მილკი წლის ტრიუმფატორიც გახდა. სუსტი სქესის წარმომადგენლებში კი საუკეთესოდ სალი ჰოუკინსი დასახელდა. ამ ყველასათვის უცნობმა მსახიობმა ჯილდო Happy-Go-Lucky-ში შესრულებული მთავარი როლისთვის მიიღო. წელს ეს მისი რიგით მეორე ჯილდოა. ჰოუკინსმა ბერლინის კინოფესტივალზე ვერცხლის დათვი მოიპოვა.

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი გამარჯვება უმთავრესმა ფავორიტებმა მოიპოვეს. ქალებში საუკეთესოს ჯილდო პენელოპა კრუსმა მიიღო ფილმისთვის "ვიკი ქრისტინა ბარსელონა", მამაკაცებში კი გამორჩეულად, აწგარდაცვლილი, ჰიტ ლეჯერი სცენეს, ჯოკერის როლისთვის "ბნელი რაინდიდან". ეს ორი მსახიობი ოსკარების ნომინაციაში მოხვედრის რეალურ კანდიდატებად და ოსკარების დაუფლების უმთავრეს პრეტენდენტებათ ითვლებიან ამავე ნომინაციებში.



ყველაზე კარგი სცენარი აღმოაჩნდა ფილმს Happy-Go-Lucky(მაიკლ ლეი). საუკეთესო ანიმაციური ფილმისათვის ჯილდო ებრაელი რეჟისორის ალი ფოლმანის ნამუშევარმა, "ვალსი ბაშირთან" მიიღო.

სულ უფრო ცოტა დრო რჩება ოსკარის ნომინანტების დასახელებამდე.დევიდ ფინჩერის "ბენჯამენ ბარტონის საკვირველი ამბავი"ბრედ პიტის და კეიტ ბლანშეტის დუეტით, "ვალკირია" ტომ კრუზის მონაწილეობით, შვიდი ფუნტი უილ სმიტით მთავარ როლში, კლინტ ისტვუდის პირმშო "გრანდ ტორინო" და სემ მენდესის ბოლო ფილმი "რევოლუციური გზა" და ა.შ შეუერთდებიან ლოს-ანჯელსის ტრიუმფატორ და ნომინანტ ფილმებს ოსკარის ნომინაციებისათვის ბრძოლაში.

როგორც იცით ლოს-ანჯელესის ფესტივალის ტრიუმფატორი "უოლ-ი" შესაძლოა ოსკარებზეც ანალოგიურად, საუკეთესო ფილმის ნომინაციაში იყოს წარდგენილი.

16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

თეატრი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"პიგმალიონი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

პანტომიმის ტეატრი
"სტუმარ-მასპინძელი"
დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

კინო

"რუსთაველი"
"უოლი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ჯეიმს ბონდი: შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.45; 19.45; 21.45
"მძევალი"
დასაწყისი: 12.15; 14.14; 16.15; 18.15; 20.15; 22.15
"მედიატორი"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15
"უოლი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 15.00; 19.00; 21.00
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00
"მაქს ჰეინი"
დასაწყისი: 17.00

"ამირანი"
"მედიატორი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 20.15; 22.15
"უოლი"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15

გალერეა

"თიბისი" - გალერეა
გივი თოიძის პერსონალური გამოფენა

"ქარვასლა"
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია - "ფრანგული პეიზაჟი"

N გალერეა
საშობაო გამოფენა: სანდრო ანთაძე, მაკა ბატიაშვილი, თიკა ჩხიკვიშვილი, გიორგი აბუაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე და ქეთევან დავლიანიძე

"ჰობი"
"იუბილარები" - საშობაო გამოფენა, ფერწერა

"ვერნისაჟი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

"შარდენი"
თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა
სამკაული, მინიატურა, ხატი,

"ორნამენტი"
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

კოპალა
დიანა კურცხალიას გამოფენა
ბატიკა

"აკადემია +"
მხატვრული მინის გამოფენა

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ

ჰიუ ჯეკმანი "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიალს წაიყვანს

მართალია, ჯერ 22 თებერვლამდე, ანუ "ოსკარის" გადაცემის ცერემონიალამდე ორ თვეზე მეტი რჩება, ამერიკული პრესა უკვე აკეთებს პროგნოზს, რომ 2009 წლის დაჯილდოვებას ყველაზე მეტი მაყურებელი ეყოლება. ამგვარი დასკვნის გაკეთების მთავარი მიზეზი კი ცერემონიალის წამყვანის ვინაობაა - მსახიობი ჰიუ ჯეკმენი, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე სექსუალური მსახიობების ათეულების მოწინავე ადგილზეა. ცერემონიალის წამყვანად იგი პრაგმატული მოსაზრებით შეარჩიეს - მან "ოსკარის" ღამის დაქვეითებული ტელერეიტინგი უნდა ამოქაჩოს.

"ოსკარის" ცერემონიალის მთავარი ინტრიგა ნომინანტების გარდა შოუს წამყვანის ვინაობაც ბევრჯერ გამხდარა, რადგან სწორედ იგი განაპირობებს მთელი საღამოს ხასიათს და მაყურებლის სიმრავლეს. ამასთან, ყველა წამყვანს თავისი სტილი აქვს, ამიტომ მათი შერჩევა დროსთან შესაბამისად უნდა მოხდეს ხოლმე. მაგალითად, ბილი კრისტალი, რომელსაც ცერემონიალი რვა წლის განმავლობაში მიჰყავდა, ძირითადად დარბაზში მსხდომ ვარსკვლავებზე და ნომინირებულ ფილმებზე ხუმრობდა, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ელენ დეჯენერსი პოლიტიკოსების გამათრახებით იყო დაკავებული, ხოლო ვუპი გოლდბერგი განურჩევლად ხუმობდა ყველაზე და ყველაფერზე. 2005 წელს ცერემონიალის მასპინძლობა შავკანიან კრის როკს დაევალა, რომელმაც ჯუდ ლოუს გარეგნობაზე იმდენი იხუმრა, რომ სხვა ყველა გადაავიწყდა და ამის გამო საყვედურიც დაიმსახურა. როგორც ცერემონიალის ორგანიზატორები ირწმუნებოდნენ, კრის როკის შერჩევის მიზეზი ახალგაზრდა ტელემაყურებლის მოზიდვა იყო, თუმცა იმის გათვალიწინებით, რომ როკი მეორე წელს აღარავის უნახავს, ეს გეგმა ალბათ უშედეგოდ ჩავარდა, "ოსკარის" ცერემონიალის ტელეტრანსლაციისადმი ინტერესი კი სულ უფრო შემცირდა.

როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა ამ პრობლემაზე დიდხანს და ჭკვიანურად იფიქრეს, რადგან უკვე ყველა აღიარებს, რომ ჰიუ ჯეკმანი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. მართალია, ამ ავსტრალიელი მსახიობის კინო როლები შორსაა კომედიური ჟანრისგან (ცერემონიალის მთავარი მოვალეობა ხომ სტუმრების გამხიარულებაა), მას მაინც აქვს მსგავსი გამოცდილება. ჯეკმანს 2005 წელს "ტონის" დაჯილდოვების ცერემონია მიჰყავდა, რის გამოც მას პრემია "ემიც" კი აქვს მიღებული. გარდა ამისა, ჰიუ ჯეკმანი ხშირად მონაწილეობს ბროდვეის მუსიკალურ შოუებში, სადაც თავდაუზოგავად ცეკვავს, მღერის და ხალხს გულის წასვლამდე აცინებს. მსახიობს ძალიან დამახასიათებელი სტილი და გემოვნება აქვს, რაც მის ხუმრობებზეც აისახება. ჯეკმანისგან ვერ გაიგონებთ იაფფასიან ხუმრობებს, მაგალითად ბუშზე ან სულაც ჯეკ ნიკოლსონის მუქ სათვალეზე (ბილი კრისტალის საყვარელი თემა). ამ ყველაფერს კი მისი ფიზიკური მომხიბვლელობა ემატება, რაც სუსტი სქესის წარმომადგენლებს განსაკუთრებით აინტერესებთ. ამის დასტურია ისიც, რომ ჰიუ ჯეკმანი 2008 წელს მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელეს.

ჰიუ ჯეკმანი ჰოლივუდის იმ ვარსკვლავთა შორისაა, ვინც ავსტრალიის კონტინენტზე იშვა, მაგრამ ამერიკასთან სიშორის მიუხედავად, მაინც შეძლო ამ ქვეყნის კინოინდუსტრიაში ადგილის მოპოვება. იგი 1968 წელს სიდნეიში დაიბადა და ხუთშვილიანი ოჯახის ნაბოლარა ბავშვი იყო. მომავალმა მსახიობმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ბაკალავრის ხარისხიც მიიღო, მაგრამ ამ პროფესიით მუშაობა არ გაუგრძელებია, რადგან ბავშვობიდან სცენაზე ოცნებობდა და პერიდოულად საუნივერსიტეტო დადგმებშიც მონაწილეობდა. მალე მისით ტელესერიალების რეჟისორებიც დაინტერესდნენ და ახალბედა მსახიობი ცნობილ ავსტრალიურ სერიალ "კორელში" გამოჩნდა, სადაც ექიმი-ფსიქოლოგის ყველაქზე საინტერესო პაციენტს თამაშობდა. მალე მიუზიკლ "სანსეტ ბულვარის" დადგმაში მიიწვიეს, სადაც შესრულებული როლისთვის ორჯერ დაასახელეს წლის მსახიობად. მისი მომდევნო როლიც მიუზიკლში შედგა, თუმცა ამჯერად ლონდონის სამეფო თეატრის სცენაზე და ლოურენს ოლივიეს სახელობის პრემიის ლაურეატიც გახდა.

ჰოლივუდში მსახიობი 2000 წლიდან გადაბარგდა, სადაც მალევე მიიღო როლი ბრაიან სინგერის "იქს მენში". როგორც თავად მსახიობი იხსენებს, მან ჰოლივუდის კარი თავისი პერსონაჟის, მგელკაცას ბასრი კლანჭებით შეამტვრია, რათა სამუდამოდ აქ დარჩენილიყო. წელს ჰიუ ჯეკმანის კიდევ ერთი ფილმი, სუპერპროექტად აღიარებული "ავსტრალია" გამოვიდა, რომლის რეჟისორიც "მულენ რუჟის" ავტორი ბაზ ლურმანია, ხოლო პარტნიორობას ნიკოლ კიდმანი უწევს. მართალია, ფილმი გაქირავებაში ჩავარდა, კრიტიკოსები მაინც მიიჩნევენ, რომ ამ პროექტის გადარჩენა კიდევ შესაძლებელია - მთელი იმედები ახლა ჰიუ ჯეკმანის მიერ წაყვანილი "ოსკარის" ნომინაციის წარმატებაზეა დამყარებული.

ᲢᲘᲪᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲑᲠᲝᲕᲔᲑᲔᲜ

შოტლანდიის ნაციონალურმა გალერეამ უკვე შეაგროვა 50 მილიონი ფუნტი სტერლინგი იმისათვის, რომ ჰერცოგ საზერლენდისგან ტიციანის ნამუშევარი, სახელწოდებით - "დიანა და აქტეონი", გამოესყიდა. ამის შესახებ ბრიტანული გაზეთის - "The Times" გუშინდელი ნომერი იუწყება.

1945 წლიდან, ედინბურგის ნაციონალურ გალერეაში ექსპონირებული ტილოს გამოსასყიდი თანხა 2008 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეეგროვებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამუშევრის მეპატრონე, ჰერცოგი საზერლენდი სურათის - "დიანა და აქტეონი" ღია აუქციონზე გატანას აპირებდა.

გამომცემლობას - The Times ამ ნამუშევრის გამოსასყიდად შემოწირულობების შემგროვებელ კომპანიასთან დაახლოებულმა პირმა უამბო, რომ ჰერცოგ საზერლენდისგან მოთხოვნილი თანხა უკვე შეგროვებულია და ტიციანის, მართლაც, უნიკალური ტილო შოტლანდიის ნაციონალურ გალერეას არ დატოვებს.

The Times-ის ცნობით, ამ ნამუშევრის გამოსასყიდად 10 მილიონ დოლარს შოტლანდიის მთავრობა გაიღებს, 12 მილიონს - ლონდონის ნაციონალური გალერეა, კიდევ 2 მილიონ ფუნტს კი, შოტლანდიის ნაციონალური გალერეის ფონდიდან გამოყოფენ. ამას გარდა, 8 მილიონი ფუნტი, ქველმოქმედების წესით, ამ ნამუშევრისთვის კერძო პირებმა და კომპანიებმა გაიღეს.

ამ საქმესთან დაკავშირებით, ნაადრევად იუწყებოდნენ, რომ 10 მილიონ ფუნტზე მეტს ტიციანის ტილოსთვის კულტურის, მას-მედიისა და სპორტის სამინისტრო სახელმწიფო მემორიალური ფონდის - "ეროვნული მემკვიდრეობა" დახმარებით გამოყოფდა. კონკრეტულად ვისგან მიიღებენ დარჩენილ 8 მილიონ ფუნტს, ამასთან დაკავშირებით გაზეთი The Times არაფერს იუწყება. ის მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ჰერცოგისაგან სურათის გამოსასყიდი თანხის მოპოვება მთლიანად მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიის ნაციონალურ გალერეაში ჰერცოგ საზერლენდის მფლობელობაში მყოფი ტიციანის კიდევ ერთი ნამუშევარი ინახება, სახელწოდებით "დიანა და კალისტო". ეს ტილო მუზეუმმა მფლობელისაგან 2012 წლამდე უნდა შეისყიდოს. "დიანა და კალისტოს" ღირებულებაც, ასევე, 50 მილიონ ფუნტს შეადგენს.

ფილმი გუშინდელ ქართველებსა და დღევანდელ აფხაზებზე

ნიკო წულაძის "სინანულის სანაპირო"

ბელა ჩეკურიშვილი

კადრი ფილმიდან

ფილმს, რომელსაც რეჟისორი ნიკო წულაძე ევროპული ფონდის "თავისუფალ ხელოვანთა კავშირის" თანადაფინანსებით იღებს, "სინანულის სანაპირო" ჰქვია და დევნილობაში მყოფ იმ აფხაზებზე მოგვითხრობს, ვინც სხვადასხვა დროს შავი ზღვის სანაპიროდან აყარეს და თურქეთში გადაასახლეს.

ეს ამბავი 1864 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთის იმპერიის ინტერესებში არა მხოლოდ კავკასიაში შემოსვლა, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გაბატონებაც შედიოდა. ამისათვის კი კრასნოდარის მხარიდან მოყოლებული ადგილობრივი ტომების ჯიქების, უბიხების, აფხაზებისა და აჭარლების გადასახლება დაიწყეს. დარჩენილთა მიმართ კი მკაცრი ეკონომიკური რეფორმები გაატარეს - ჩამოართვეს ქონება და მიწები და მორჩილების ხელწერილებს აწერინებდნენ. არქივებში შემორჩენილია ამ ფაქტების ამსახველი უამრავი დოკუმენტი რუსეთის გენერლებისა და ჩინოვნიკების პატაკების სახით, სადაც წვრილად არის მითითებული რამდენი გადაასახლეს, ხოლო რამდენს ქონება ჩამოერთვა.

1867 წელს აფხაზეთში აჯანყება მოხდა, რომელიც რასაკვირველია დამარცხდა და რომლის შედეგად კიდევ უფრო გამძაფრდა რეპრესიები. ათ წელიწადში შავი ზღვის სანაპირო ზოლი მთლიანად გაწმინდეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. უბიხები, როგორც ეთნოსი დღეს აღარ არსებობს, ერთიანად ამოხოცეს, რამდენიმე გადარჩენილი კი გადაასახლეს. თურქეთში მცხოვრები აფხაზები დღესაც იხსენებენ უკანასკნელი უბიხის ნათქვამს: სიზმარი ვნახე უბიხურ ენაზე და ვის მოვუყვე არ ვიციო...

უამრავი ადამიანი გადასახლებისას იღუპებოდა, განსაკუთრებით, ქალები, რომელთაც პირდაპირ ყრიდნენ ზღვაში და როგორც ფილმის რეჟისორი ნიკო წულაძე ამბობს, თურქეთში მცხოვრები აფხაზები დღემდე თევზს არ ჭამენ, ესენი ჩვენი ნენეის ხორცითაა ნაკვები... რუსი ჩინოვნიკების ჩანაწერებში აღწერილია როგორ იღუპებოდნენ ისინი ავადმყოფობით და შიმშილით.

ოფიციალური მონაცემებით გადასახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა და სულ 120 ათასმა აფხაზმა დატოვა საკუთარი ქვეყანა. მაშინდელი პრესის ფურცლებზე ტირილით ამბობდა ნიკო მარი: ვერ იცნობთ აფხაზეთს, მთლიანად დაცლილია ხალხისგანო.

დაცარიელებულ სოფლებში რუსეთის იმპერია კაზაკებს, მალაკნებსა და დუხაბორებს ასახლებდა, რომლებიც ადგილობრივ ჰავას ვერ იტანდნენ და მალარიისგან იხოცებოდნენ. მაშინდელ დოკუმენტებში ისიცაა ნათქვამი, რამდენიც არ უნდა მოკვდეს, მაინც ჩამოვასახლებთო და ეს პროცესი თითქმის საუკუნის მანძილზე გრძელდებობდა.

ნიკო წულაძემ ფილმზე მუშაობა გასულ წელს დაიწყო და ეს ფილმი სულ მალე დასრულდება. ამჟამად თურქეთში 100-ზე მეტი ქართულ-აფხაზური სოფელია, სადაც უკვე საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ ოჯახები, რომელთა წინაპრები რუსული იმპერიის პოლიტიკის მხვერპლად იქცნენ.

ნიკო წულაძე: "ეს ფილმი იქნება საუკუნეობრივი ბრალდება რუსეთის იმპერიის მიმართ, რომელმაც ამ ხალხს გენოციდი მოუწყო და იქნება ასევე მესიჯი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარებისათვის. ვფიქრობ, უკვე მივედით იმ კონდიციამდე, როცა ვაცნობიერებთ, რომ ეს საკითხი მხოლოდ პოლიტიკოსების საქმე აღარ არის. ჩვენ ერთ არეალში მცხოვრები ხალხი ვართ და მეგობრობის ნათელ მაგალითს თურქეთში გადასახლებული ქართველი და აფხაზური ოჯახები გვაძლევენ - როგორ მეგობრობენ, ნათესაობენ, ქორწინდებიან და უყვართ ერთმანეთი. მათი სოფლები ტიპიური ქართული სოფლებია წიქვილით, ურთიერთობებით, რასაც ქართული ყოფა ჰქვია.

ყველაზე დიდი პრობლემა, რაც რუსეთმა ამ ხალხს დამართა, ისაა, რომ შეუცვალა გვარი, სახელი, რჯული, წარმომავლობა და რომ არა მათი ერთად დგომა, რაც აკავშირებდათ გადასახლებულ აფხაზებს, მეგრელებსა და აჭარლებს, ვერ შეინარჩუნებდნენ ვერც ენას და ვერც ტრადიციებს. აფხაზებს დღემდე აქვთ შენარჩუნებული ენა და აფხაზურსაც დღემდე ცეკვავენ. ფილმში აფხაზური ქორწილიც გადავიღეთ, სადაც ეს ყველაფერი კარგად ჩანს".

რეჟისორი შეეცდება ფილმში პარალელები გაავლოს და კარგად აჩვენოს ის პოლიტიკური ხელწერა, რომელიც რუსეთს არ შეუცვლია აფხაზეთის მიმართ 1864 წლიდან დღემდე.

ნიკო წულაძის თქმით, ფილმი "სინანულის სანაპირო" პირველ რიგში განკუთვნილია ემიგრაციაში მცხოვრები აფხაზური დიასპორისათვის და ზოგადად ემიგრანტებისათვის. ევროპაში ბევრს აწუხებს "ფესვების პრობლემა".

ფილმში მაყურებელი ნახავს რუსულ დოკუმენტებს, სადაც არის მთელი სიები იმ გვარებისა, რომელიც აღარ არსებობს ბუნებაში, და სოფლების, რომლებსაც ტოპონიმიკა შეუცვალეს.

რეჟისორის თქმით, საზღვარგარეთ მცხოვრები განათლებული აფხაზები დღეს რეალურად ხვდებიან, რას აპირებს რუსეთი აფხაზეთში ისინი კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთი საბოლოოდ აპირებს ამ ხალხის გადაყლაპვას. აფხაზეთის მთავრობა ცდილობს, იქნებ დააბრუნოს ისინი უკან, სურთ უცხოეთში მცხოვრები აფხაზი ბიზნესმენები დააინტერესონ, მაგრამ მათ უნდობლობა აქვთ რუსეთის მიმართ. ამიტომ რჩება მეორე გზა - აფხაზებსა და ქართველებს შორის გულწრფელი და გულახდილი დიალოგის დაწყება არასამთავრობო სექტორის დახმარებით იქნება ეს, სახალხო დიპლომატით, საკლუბო შეკრებებით თუ სხვა. ამიტომ ჰქვია ფილმს "სინანულის სანაპირო", რომ გულწრფელი სინანული გამოვხატოთ მომხდარის მიმართ.

რეჟისორის თქმით, აფხაზეთი ერთად უნდა გადაარჩინონ აფხაზებმა და ქართველებმა. და აღარ შეიძლება იმის გარედან ყურება, რუსი როგორ გაიდგამს იქ ფესვს. ეს დიალოგი ყველა დონეზეა ჩასატარებელი, საზღვარგარეთ მყოფი აფხაზები ამისათვის მზად არიან. ფილმში გადაღებულია თურქეთში მცხოვრები აფხაზები, რომლებიც პირდაპირ ეუბნებიან თავიანთ თანამოძმეებს, არ აყვნენ რუსეთის პროვოკაციას.

ნიკო წულაძეს გადაწყეტილი აქვს, ფილმის საკლუბო ჩვენებები მოსკოვშიც გამართოს, სადაც ძალიან ბევრს მართლა აინტერესებს, გაერკვეს, რა ხდება სინამდვილეში. "ფილმში ერთ სიტყვას არ ვამბობ ზედმეტს და გამოგონილს. ხელმოწერილ, ბეჭდიან დოკუმენტებს ვაჩვენებ მეფისდროინდელი არქივებიდან" - ამბობს რეჟისორი. იგი აფხაზეთშია გაზრდილი და ძალიან კარგად იცნობს ამ ხალხს. როგორც გვითხრა, გუდაუთაში იყო მაშინაც, როდესაც 90-იან წლებში კონფლიქტი დაიწყო და ხალხის განწყობაც ზუსტად იცოდა.

ნიკო წულაძე: "რაც შემეძლო, ყველას ახსნა-განმარტებას ვაძლევდი და მენდობოდნენ, როგორც შინაურს, მაგრამ არის მეორე რაღაც, რაც მაშინაც, დღესაც და ხვალაც გვჭირდება აფხაზებთანაც და ოსებთანაც. ესაა თანმიმდევრული დამოკიდებულება. როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა, მისი ჩამოყალიბება ხდებოდა ამ რეგიონისაგან იზოლირებულად და მათ შერჩათ კომპლექსი, რომ ვიღაც ჩაგრავთ. მართალია, ეს პოლიტიკა რუსეთის მხრიდან ხორციელდებოდა, მაგრამ ქართველის ხელით ხდებოდა და როცა უბრალო აფხაზს პრობლემა ექმნებოდა, მას კომუნისტურ მმართლეობას კი არ აბრალებდა, არამედ ქართველს. მაშინ ჩვენ ამაზე არ გვიფიქრია.

მერე რაც მოხდა, ყველას თავისი აზრი აქვს, შევარდნაძეს ნამდვილად არ აწყობდა ამდენი შეიარაღებული ხალხი დედაქალაქში, ჯერ სამეგრელოში ჩაატარა ეგზეკუცია, შემდეგ შეუსია აფზახეთს. ეს ომი მხოლოდ რუსეთის პრობლემა არ იყო. მაგრამ ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ ვერც ქართველები და ვერც აფზახები ამ სტრატეგიას ვერ ვაანალიზებდით და სპონტანური რეაქციები გვქონდა. დღეს აფხაზური დიასპორა არსებობს თურქეთში, ბულგარეთში, საბერძნეთსა და ჰოლანდიაში. წავიდნენ ძირითადად განათლებული ადამიანები, დარჩა ის უმცირესობა, რომელიც მიწას ვერ მოშორდა და მთელი ეს წლები მათი ზომბირება ხდება.

ჩემი ორიენტირი არის იმ ადამიანებზე, ვინც ნახა ის უბედურება და მიეცათ დრო დაფიქრებისათვის. ვინც საზღვარგარეთ ნახეს რა არის სახელმწიფო, რაზეა დაფუძნებული, რა პოლიტიკური და კულტურული შესაძლებლობები აქვთ ეროვნულ უმცირესობებს და რაც მთავარია, მოქალაქეობრივი აზროვნება ჩამოუყალიბდათ. როცა ამ ადამიანებს ვხვდები, ვხედავ, რომ სულ აქვთ მოლოდინი იმისა, რამდენად გულწრფელია შენი პოზიცია და რამდენად მზად ხარ მომავალი ურთიერთობისთვის"

ევროპის ისტორიაში უამრავი ერი იყო წაკიდებული სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მაგრამ საბედნიეროდ, ყველას აღმოაჩნდა პროგრესული ნაწილი. მე-19 საუკუნეში, როცა ჩვენი ინტელიგენცია პრესის ფურცლებზე ეხმაურებოდა აფხაზთა დევნას, მათ არავითარი ბერკეტები არ გააჩნდათ ამ პროცესის შესაჩერებლად, მაგრამ დღეს შეიძლება აფხაზები და ქართველები ერთად შეეცადონ, რათა ეს კუთხე რუსეთის სამხედრო პოლიგონად არ გადაიქცეს. ყოველ შემთხვევაში, ნიკო წულაძის ფილმის მიზანი იმ დადებითი მუხტის პროვოცირებაა, რაც ჩვენს ხალხს სადღაც გულის სიღრმეში კიდევ შერჩენია, ხოლო რამდენად ემოციური შეიძლება იყოს დოკუმენტური კინო და რამდენად შეუძლია მას მაყურებელზე ზემოქმედება, ამას ფილმის პრემიერაზე შევაფასებთ.

გუშინ თბილისში მარიის თეატრის პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე ჩამოვიდა

თბილისში მარიის თეატრის პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე ეწვია. ირმა ნიორაძე, მარიის თეატრის სოლისტ მიხეილ ლობუხინთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს პროექტში - "ხელოვანები ხელოვანთათვის". ამ პროექტის ფარგლებში, 18 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი "დონ კიხოტი".

აღსანიშნავია, რომ ამავე პროექტის ფარგლებში, თბილისს სახელგანთქმული ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი მიშელ ლეგრანი ეწვევა. გარდა ამისა, ხელოვანების დასახმარებლად სამ კონცერტს "სუხიშვილებიც" გამართავენ. **"ინტერპრესნიუსი"**

გუშინ მსახიობ გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი გაიხსნა

გუშინ, მარჯანიშვილის თეატრის წინ, თეატრისა და კინოს მსახიობის - გურანდა გაბუნიას ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავის გახსნამდე მარჯანიშვილის თეატრში წარმოადგინეს ნაწყვეტები ოთხი სპექტაკლიდან, რომლებშიც მსახიობი მთავარ როლებს ასრულებს. კერძოდ, "მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია", "პროვინციული მბავი", "მიტევების დღე" და "დაუსრულებელი სიზმარი".

გურანდა გაბუნიას საბენეფისო საღამოს რეჟისორია ქეთი დოლიძე. აღსანიშნავია, რომ გაბუნიას 70 წელი აგვისტოში შეუსრულდა, თუმცა რუსეთთან საომარი მოქმედებების გამო, მსახიობმა მისთვის საიუბილეო საღამოს მოწყობაზე მაშინ უარი განაცხადა.

გუშინ მარჯანიშვილის თეატრთან რიგით მეოთხე ვარსკვლავი გაიხსნა და ოთარ მეღვინეთუხუცესის, სოფიკო ჭიაურელისა და გივი ბერიკაშვილის ვარსკვლავებს გურანდა გაბუნიას ვარსკვლავიც შეემატა. **"ინტერპრესნიუსი"**

კონსერვატორია ტრადიციულ საახალწლო ფესტივალს მასპინძლობს

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული საახალწლო ფესტივალი 30 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება და მსმენელს, უცხოელი და ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით, ჟანრობრივად მრავალფეროვან პროგრამას შესთავაზებს.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ: ეთერ ანჯაფარიძე (ფორტეპიანო), ალექსანდრე კორსანტია (ფორტეპიანო), ქეთევან ბადრიძე (ფორტეპიანო), ბენჯამინ მარკიზ გილმორი (ვიოლინო, დიდი ბრიტანეთი), ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო), პიერ-ივ არტო (ფლეიტა, საფრანგეთი), თამარ ბახტაძე (ფორტეპიანო), პაველ კოხუტი (ორგანი, ჩეხეთი), თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით; ანსამბლები "Hortus Musicus" (ესტონეთი) და "YARON HERMAN JAZZ TRIO" იარონ ჰერმანის (ფორტეპიანო), მეთ ბრიუერის (კონტრაბასი), ჯერალდ ქლივერის (დასარტყამი საკრავები) შემადგენლობით.

2008 წლის საახალწლო ფესტივალისთვის მომზადდა სპეციალური პროგრამა - "BRAVO MAESTRO!", რომელიც ცნობილი დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნება. პროგრამაში მონაწილეობენ: ეთერ ანჯაფარიძე, თამარ გაბარაშვილი, ელდარ გეწაძე, თეიმურაზ გუგუშვილი, მარიკა გულორდავა, ნანა დიმიტრიადი, მანანა დოიჯაშვილი, ირინა თაბორიძე, მაია ბებიაშვილი, თემურ ელიავა, დარეჯან მახაშვილი და ლელა უსეინაშვილი.

საახალწლო ფესტივალში კონსერვატორიის საფორტეპიანო და სიმებიანი საკრავების ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კონსერვატორიის რექტორი, ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორი, პიანისტი მანანა დოიჯაშვილი.

ფესტივალის პროგრამაში დაგეგმილია ფოლკლორული კონცერტიც, რომელშიც მონაწილეობენ: "ახალუხები", "ბალავარი" და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან აშშ. საელჩო საქართველოში, საფრანგეთის საელჩო და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ეს ფესტივალი კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებითა და ხელშეწყობით ტარდება. **"ინტერპრესნიუსი"**

ავთანდილ ცქვიტინიძის ზამთრის კოლექციის ჩვენება არ გადაიდება

ხვალ დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე შარდენის ქუჩაზე ზამთრის კოლექციის ჩვენებას გამართავს.

წინასწარი ინფორმაციით, ჩვენება ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო და მოდელებს შარდენის ქუჩაზე სპეციალურად მოწყობილ პოდიუმზე უნდა გაევლოთ, თუმცა, უამინდობის გამო ეს საკითხი სათუო ხდება.

როგორც "მედიანიუსს" პროდიუსერმა კახა მამულაშვილმა განუცხადა, ჩვენება მაინც გაიმართება და ის ფაქტი, რომ დედაქალაქში პირველი თოვლი მოვიდა და უამინდობა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება, დეფილეს ხელს არ შეუშლის. ჩვენება 17 დეკემბერს 18.00.საათზე გაიმართება. **"მედიანიუსი"**

გურჯაანი ველისციხის ეპარქიამ გაზეთი გამოსცა

გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსის მეუფე ექვთიმეს ლოცვა-კურთხევით, ახალი გაზეთი ძვაქებდეთ უფალსა" გამოვიდა. გაზეთი პერიოდულად გამოიცემა. გაზეთი უფასოდ ვრცელდება და მკითხველს რელიგიურ საკითხებზე მომზადებულ წერილებს, მოძღვრის რჩევებსა და სხვა საინტერესო მასალებს სთავაზობს. **"მედიანიუსი"**

შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" აცხადებს აუქციონს (პირობებით)

კორპორაციის ადმინისტრაციული კორპუსის (ქობილისი, კახეთის გზატკეცილი №21) პირველ სართულზე არსებული 160 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის მიზნით

საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა	1000 ლარი
"ბე"	500 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი და სავაჭრო ბიჯის ოდენობა	მონაწილის ბილეთი – 50 ლარი; ბიჯი – 50 ლარი.
იჯარის ვადა	1 წელი
იჯარით გასაცემი ფართი	კორპორაციის ადმინისტრაციული კორპუსის (ქობილისი, კახეთის გზატკეცილი №21) პირველ სართულზე არსებული 160 კვ.მ. ფართი
მისამართი	ქობილისი, კახეთის გზატკეცილი №21
განაცხადების მიღების ადგილი	ქობილისი, კახეთის გზატ. №21, მე-2 სართული; ტელ. 24-40-40
განაცხადების მიღების ვადა	ა/წ 16 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა)
აუქციონის (პირობებით) ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი)	2008 წლის 30 დეკემბერი, 17.30 საათი
საბანკო რეკვიზიტები	saqarTvelos banki centraluri filiali a/a #145770000, bankis kodi #220101502
შენიშვნა	

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

საუქციონო პირობებია:

- მოიჯარის მიერ ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდა დადგენილ ვადებში;
- იჯარით გასაცემ ფართში დახურული ტიპის სასადილოს მოწყობა;
- საიჯარო ვადის გასვლის შემდგომ ფართი უბრუნდება კორპორაციას.

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

- მაქსიმალური ყოველთვიური საიჯარო ქირის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას;
- ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სამინისტროს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ კორპორაციაში);

ბ) მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება).

გ) „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი დანიშნულების მითითებით შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი ა/ა №145770000, ბანკის კოდი №220101502.

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში); ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

რეგისტრატორის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(აუქციონის ჩატარების შესახებ)

2008 წლის 31 დეკემბერს, დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში, ნიკეას მე-5 ჩიხი №6-ში (ქელასის გვერდით) ტარდება ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ქონების გაყიდვა აუქციონის წესით.

აღნიშნული ტერიტორია განთავსებულია 12515 კვ.მ. ფართობზე, შემოღობილია რკინაბეტონის კონსტრუქციებით, უზრუნველყოფილია წყლის, ელენერგიის და საკანალიზაციო კომუნიკაციებით, გააჩნია სატრანსფორმატორო ჯიხურის შენობა ელექტროტრანსფორმატორით.

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:

1. საყარაულო ჯიხური - 35,03 კვ.მ.
2. სახანძრო წყლის რეზერვუარი - 100 კუბ. მ. ტევადობის
3. სახანძრო წყლის რეწერვუარი - 40 კუბ. მ. ტევადობის
4. დიზელ გენერატორი - 75 კვტ/სთ სიმძლავრით
5. ავტომანქანა ძარ-ფურგუნით - 43-40 1995 წლის გამოშვება, აგრეთვე სხვადასხვა დასახელების ჩარხ-დანადგარები, მოწყობილობანი და ჯართი.

ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 259.581 (ორას ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაერთ) ლარს.

ბე არის საწყისი ღირებულების 10%.

მინიმალური ბიჯი შეადგენს 2000 ლარს.

აუქციონში მონაწილე პირისათვის ბილეთის ღირებულება არის 20 (ოცი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 31 დეკემბრის 11 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს;

ბ) ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ანგარიშზე (ს/ს ვითიბი ბანკი ჯორჯია -ს ქუთაისის ფილიალი - კოდი - 220101605, მიმღების ანგარიშის №27093608) ბე -ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის საბანკო ქვითარს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს;

დ) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

მონაწილე აუქციონის მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციის მომენტიდან იღებს მონაწილის ბილეთს და ღებულობს მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც გამყიდველს შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დადოს გამყიდველთან ნასყიდობის ხელშეკრულება და დაფაროს აუქციონზე მის მიერ დასახელებული საბოლოო თანხა.

თუ მიდველი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე არ დაუბრუნდება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს გასაყიდ ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ტელეფონზე: 899-62-43-53

ს/ს ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკი -ს
გაკოტრების მმართველი: გ. გიგაშვილი
ფაქსი: 8 331 9 45 74

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

2008წლის 13 დეკემბრის გაზეთ 24 საათში N279 (2023) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გაკოტრების მმართველის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში: სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის შესახებ, შევიდა შემდეგი სახის შესწორებები.

1. განცხადების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. ბე"-ს სიდიდე შეადგენს 900 000 (ცხრაასი ათასი) აშშ დოლარს, ბიჯი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს".

2. განცხადების 11-ე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„11. აუქციონის პირობად განსაზღვრულია:

-სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის" სამოქმედო ტერიტორიაზე მომსახურების არეალის არშემცირება;

-მომსახურების არეალში აბონენტების შეუფერხებელი მომსახურება;

-გამარჯვებულად გამოვლენიდან 5 წლის განმავლობაში: 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარის ინვესტირება (რეინვესტირება), მოქმედების არეალში გამრიცხველიანების დასრულება და ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მოთხოვნის არ წამოყენება".

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია"
გაკოტრების მმართველი

სპორტი

კალაძის "მილანი" ტურინში დამარცხდა

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მოკლედ გვიწევს საუბარი ქართველ ლეგიონერებზე. რუსეთსა და უკრაინაში საფეხბურთო შესვენებაა. გასულ უქმეებზე გერმანელებმაც დაასრულეს პირველი წრე. რჩება იტალია და ინგლისი, თუმცა ამჯერად გერმანიასა და ავსტრიაზეც ვიტყვით რამდენიმე სიტყვას.

იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი ტურინში "დელე ალპის" სტადიონზე გაიმართა. "იუვენტუსმა" "მილანს" უმასპინძლა და იტალიური დერბი 4:2 მოგო. კახა კალაძემ სრულად ითამაშა. ქართველი მცველი დაცვაში სამაგალითო გარჯით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის - ამაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს. "მილანმა" ოთხი გოლი გაუშვა. მართალია, მხოლოდ კალაძის კისერზე არც ერთი გოლი არ ყოფილა, მაგრამ ფაქტია, რომ მილანელთა დაცვამ ცუდად ითამაშა. სამაგიეროდ კახა შეტევაში გამოირჩა.

ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა ალესანდრო დელ პიერომ. ეს მატჩი დებიუტშივე მოხდა. 30-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. კახამ ტურინელთა შეტევა მინდვრის ცენტრში ჩაჭრა, მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა და უზადო გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა რონალდინიო, რომელმაც ცარიელი კარის წინ პატოს დაუგორა ბურთი. ეს გოლი მილანელებმა სწორედ კალაძეს მიულოცეს. თუმცა "მილანმა" საყაიმო ანგარიში ხუთ წუთსაც ვერ შეინარჩუნა - კიელინიმ თავური დარტყმით კვლავ დააწინაურა "იუვენტუსი". შემდეგ მინდვრიდან ძამბროტაც გააძევეს და "მილანი" თითქმის უშანსოდ დარჩა.

ამავე ტურში "პალერმომ" "სიენა" 2:0 დაამარცხა, თუმცა

AFP · 2008

რონალდინიომ კალაძეს ჩინებული პასისთვის მადლობა გადაუხადა

ლევან მჭედლიძე მინდორზე არ გამოჩენილა. მორიგი ტურის შემდეგ "მილანი" მეოთხე ადილამდე დაქვეითდა, "პალერმო" კი მეცხრე ადგილზეა.

გერმანულ ბუნდესლიგაში პირველი წრის ბოლო ტური გაიმართა. "შალკე" სტუმრად ჩემპიონატის აღმოჩენას - "ჰოფენჰაიმს" ეთამაშებოდა. ლევან კობიაშვილი 62-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, ყენია კი განაცხადშიც არ ყოფილა. შეხვედრა ფრედ - 1:1 დასრულდა. "ხუმარებმა" პირველი წრე მეშვიდე ადგილზე დაასრულეს, "ჰოფენჰაიმი" კი, ყველასთვის მოულოდნელად, ზამთრის ჩემპიონი გახდა.

მარცხით დაასრულა პირველი წრე ალექსანედრე იაშვილის "კარლსრუემაც". ბრემენის "ვერდერმა" "იაშკას" გუნდი 4:0 გაანადგურა. ქართველი ფეხბურთელი მინდორზე მხოლოდ მე-80 წუთზე გამოჩნდა. პირველი წრე "კარლსრუემ" მეთხუთმეტე ადგილზე დაასრულა.

მეორე ბუნდესლიგაში მათე ღვინიანიძის "მიუნხენ 1860" "ნიურბერგს" დაუზავდა. ქართველმა მცველმა მინდორზე 90 წუთი გაატარა. ოთარ ხიზანეიშვილის "აუგსბურგმა" კი 3:1 "ალემანიას" სძლია. ქართველი მცველი თავისი გუნდის განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა.

ინგლისურ პრემიერლიგაში კვლავ ხიზანიშვილის გარეშე თამაშობს "ბლექბერნი". მართალია, ქართველმა მცველმა ტრავმა მოიშუშა, მაგრამ პოლ ინსმა "იუგანთან" მატჩში ხიზანიშვილის მინდორზე გაყვანა არ ისურვა. "ბლექბერნმა" კი თამაში 0:3 წააგო.

ბოლოს ავსტრიის ჩემპიონატზე ვთქვათ. ქართველთა "შტურმმა" მიმდინარე წელს უკანასკნელი მატჩი "ალტახთან" გამართა და 3:1 გაიმარჯვა. გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა ტრადიციულად 90 წუთი ითამაშეს თავისი გუნდის შემადგენლობაში. ამ თამაშის შემდეგ გრაცერებს 42 ქულა დაუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან. პირველ ადგილზე მყოფ "ზალცბურგს" 46 ქულა აქვს.

ესპანეთში ქართული გუნდები დაიჩაგრნენ

ესპანური პრიმერადივიზიონის მე-13 ტური საქართველოს ნაკრების წევრებისთვის წარუმატებელი გამოდგა - ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ვლადიმერ ბოისასა და ტაირონ ელისის გუნდები წაგებას ვერ გადაურჩნენ.

ცქიტიშვილის "ფუენლაბრადამ" "მანრესასთან" გასვლითი მატჩი 79:85 წააგო, ქართველმა ფორვარდმა კი 29 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. "ცქიტამ" 6-დან 2 სამქულიანი და 3-დან 3 ორქულიანი ჩაგდო.

"ფუენლაბრადას" შემადგენლობაში ცქიტიშვილზე შედეგიანები მხოლოდ ოლესონი (16) და ბუენო (14) იყვნენ.

ცქიტიშვილის გუნდი 5 მოგებითა და 7 მარცხით მე-10 ადგილზეა.

სახელოვან "ბარსელონასთან" მატჩში "ვივემენორკას" სასტარტო ხუთეულში ითამაშა ვლადიმერ ბოისამ. ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 17 წუთი დაჰყო და 10 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა, მისი კლუბი კი 61:75 დამარცხდა.

ბოისამ 4 ორქულიანიდან 1 ჩააგდო, სამქულიანებშიც ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა, 6 საჯარიმოდან კი 6-ვე გამოიყენა.

მენორკელთა რიგებში საუკეთესო სტოიჩმა 20 ქულა მიითვალა. კატალონიელთა მხრიდან ასევე 20 ქულა დააგროვა ნავარომ.

13 ტურის თავზე 4 მოგებითა და 8 მარცხით ბოისას კლუბი მე-11 ადგილზეა.

მარცხი განიცადა ტაირონ ელისის "კახასოლმაც", რომელმაც ვალენსიაში "ხუვენტუტთან" 66:77 წააგო.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 32 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი დააგროვა.

ტაირონმა 8 სამქულიანიდან 2 ჩააგდო, 2 ორქულიანიდან 1 გამოიყენა და 4 საჯარიმოც ზუსტად ტყორცნა. "კახასოლი" ერთადერთი მოგებით უიმედო აუტსაიდერად რჩება.

ბალტიის ლიგაში ესტონურ "როკს" არ გაუმართლა. ქართველთა გუნდმა "რიგასთან" გასვლითი მატჩი 72:85 წააგო, თუმცა ამ მარცხში ქართველთა წილი საკმაოდ მცირეა. მეტიც, "როკერთა" არაქართველ წევრებს ცინცაძისა და სანიკიძისთვის რომ აებათ მხარი, ესტონური გუნდი თამაშს მოიგებდა.

ცინცაძემ მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა და 14 ქულა დააგროვა. ამას 7 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა დაუმატა. სანიკიძემ 18 წუთში 11 ქულა, 3 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

ექტორ რაულ კუპერის რჩეულნი

საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი დღეს, 16 დეკემბერს, 15 საათზე, საგურამოში, სფფ-ის ტექნიკურ ცენტრში ნაკრების კანდიდატებთან მორიგ ვარჯიშს ჩაატარებს.

არგენტინელმა სპეციალისტმა დღეს ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ხვალინდელ ვარჯიშში მიიღებენ მონაწილეობას:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე ("გაგრა"), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), ზურაბ მამალაძე ("მგლები")

მცველები: უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), დავით გამეზარდაშვილი ("სკონტო", ლატვია), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი", დანია), ნუკრი მანჩხავა ("კაუნასი", ლიტვა), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი"), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია")

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია"), მირზა ბჟალავა ("ლუშტენაუ", ავსტრია), გივი კვარაცხელია ("მტზ-რიპო", ბელარუსი), გიორგი განუგრავა ("მლადა", ჩეხეთი), დავით მუჯირი ("ლოკომოტივი", რუსეთი), ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია")

თავდამსხმელები: დავით სირაძე (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთი), დიმიტრი ტატანაშვილი ("ვიქტორია", ჩეხეთი), გიორგი გაბედავა ("გაგრა").

საკანდელიძე-ქორქიას ტურნირს წილი უყარეს

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა სახელოვანი ქართველი კალათბურთელების, ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციული მემორიალური ტურნირის კენჭისყრა, რომელსაც მასში მონაწილე გუნდების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მემორიალი 21-24 დეკემბერს რუსთავში გაიმართება. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის კარი სუპერლიგის ყველა გუნდისთვის ღია იყო, მხოლოდ ექვსმა გუნდმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. კლუბებს არავითარი იურიდიული ვალდებულება არა აქვთ, რომ სახელოვანი ქართველი კალათბურთელების ხსოვნის ტურნირში მიიღონ მონაწილეობა, თუმცა ის, რომ "ავიამშენმა", თსუ-მ და "ბათუმმა" მემორიალში თამაშზე უარი თქვეს, მორალურად გაუმართლებლად მიგვაჩნია და კალათბურთის ფედერაციისთვის მიუღებელია.

რაც შეეხება ტურნირის ფორმატს, 6 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა:

A ჯგუფი
ნტდ-თბილისი
დინამო
მაქაბი
B ჯგუფი
ენერჯი-ინვესტი
სასოფლო
შსს

გუნდები თითოჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. ჯგუფებში გამარჯვებულები ქორქია-საკანდელიძის თასს ფინალში შეეცილებიან.

ტურნირის კალენდარი:

21 დეკემბერი
ნტდ - დინამო 13:00
შსს - ენერჯი 15:00
22 დეკემბერი
დინამო - მაქაბი 13:00
ენერჯი - სასოფლო 15:00
23 დეკემბერი
სასოფლო - შსს 13:00
მაკაბი - ნტდ 15:00
24 დეკემბერი. ფინალი
A-1 - A-2

აქამდე გამართული ყველა მემორიალის ფინალი
20 იანვარი. 2006
რუსთავი 106:77 სტუ
21 იანვარი. 2007
ენერჯი-ინვესტი 95:75 თსუ
18 იანვარი. 2008 წლის
ენერჯი-ინვესტი 80:78 ავიამშენი

ადრიანომ ბრაზილიას მიაშურა

მილანის "ინტერის" ფორვარდმა ადრიანომ უნებართვოდ დატოვა კლუბი და სამშობლოში გაემგზავრა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა იტალიურმა გამოცემამ გაავრცელა. ადრიანოსა და მოურინიოს შორის არც აქამდე იყო დალაგებული ურთიერთობა. ცხადია, რომ ამ გამოხდომის შემდეგ, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე, ადრიანოს მილანურ კლუბს დაატოვებინებენ.

"ნიუკასლი" ოუენს არ გაყიდის

ინგლისური "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯო კინეირი მიიჩნევს, რომ მაიკლ ოუენის გაყიდვა ნამდვილი სიგიჟე იქნება.

"ვიცი, რომ ოუენს "ნიუკასლის" დატოვება სურს. მას არაერთი კლუბი იწვევს, თუმცა იმედი მაქვს, ეს მომავალ ზაფხულამდე არ მოხდება. ჯერჯერობით მაიკლის გაყიდვა სრული სიგიჟე იქნებოდა", - აცხადებს კინეირი.

ბავშვთა სარაგბო ფესტივალზე 1000-მდე მოზარდმა ითამაშა

მეორე კვირაა, თბილისი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და რაგბის კავშირის ერთობლივი ორგანიზებით ბავშვთა სარაგბო ფესტივალს მასპინძლობს. გასულ შაბათ-კვირას 13-14 წლის მორაგბეებმა "ლოკომოტივის" სტადიონზე ღვაწლმოსილი მორაგბის ნოდარ ყიფიანის ხსოვნის ტურნირი ითამაშეს, ხოლო 14 დეკემბერს "შევარდენზე" 11-12 წლამდელებმა რაგბის კავშირის ყოფილი გენერალური მდივნის ირაკლი ჩხეიძის სახელობის შეჯიბრებაზე ითამაშეს. მთლიანად ამ ორივე ფესტივალზე 1000-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულ ტურნირზე 20-20 გუნდი გამოვიდა. შეჯიბრება ფესტივალის ფორმატით ჩატარდა - საპრიზო ადგილები არ გათამაშებულა და თასებითა და დიპლომებით ყველა გუნდი დაჯილდოდა. პატარები ორ 20-20-წუთიან ტაიმს თამაშობდნენ, ხოლო მათთვის მოტივაციის ასამაღლებლად შეხვედრებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები სჯიდნენ.

14 დეკემბერს 11-12 წლიანთა ფესტივალზე ერთმანეთს ერკინებოდნენ "შევარდენი", "ქუთაისი", "ხულიგანა", "ჭიათურა", "მერანი", "ქუთაისი 2", "ჯიქები", "ვანი", "უნივერსიტეტი", "ქუთაისი 3", "აკადემია", "ფოთი", "ლელო", "მუტრუკები", "არმაზი", "ზესტაფონი", "ყოჩები", "რუსთავი", "დიღომი" და "მონინო".

6-7 დეკემბერს კი 13-14 წლიანებში "პატარძეული", "ჯიქები", "აკადემია", "ქუთაისი", "ჭიათურა", "დიღომი", "რუსთავი", "ვანი", "ყოჩები", "ლელო", "ფოთი", "ივერია", "ახალციხე", "ხულიგანა", "დედოფლისწყარო", "არმაზი", "უნივერსიტეტი", "ბორჯომი", "შევარდენი" და "აკადემია 2" თამაშობდნენ.

11-12 წლამდელთა ფესტივალის დასრულების შემდეგ "შევრადენის" სტადიონზე ჩატარდა დაჯილდოების ცერემონიალი. პატარებს თასები და დიპლომები გადასცეს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ, ეროვნული ნაკრების წევრმა ილო მაისურაძემ და ირაკლი ჩხეიძის ქალიშვილებმა. ფესტივალზე მორაგბეთა გვერდით იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, რომელიც პატარებს სამომავლოდ გვერდში დგომას და ქართული რაგბისთვის მაქსიმალურად ზრუნვას დაჰპირდა.

ორმხრივი შეთანხმება

ორმხრივი შეთანხმების შედეგად, "ვალენსიამ" და ესპანელმა მცველმა ივან ელგერამ კონტრაქტი გაწყვიტეს. 33 წლის ფეხბურთელი "ღამურების" მთავარი მწვრთნელის გეგმებში არ შედიოდა. მიმდინარე სეზონში მან პრიმერადივიზიონის მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა, დანარჩენი შეხვედრები კი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ელგერას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

ზე რობერტოს "ბაიერნში" სურს დარჩენა

მიუნხენის "ბაიერნის" 34 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ზე რობერტომ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება ისურვა. "ფეხბურთელის აგენტმა გვამცნო, რომ მას კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს", - განუცხადა ჟურნალისტებს კარლ ჰაინც რუმინიგემ. სავარაუდოდ, "ბაიერნი" ზე რობერტოს ერთი წლით გაუხანგრძლივებს კონტრაქტს და ბრაზილიელი მომავალ სეზონსაც გერმანულ გრანდში გაატარებს.

დროგბა "ჩელსის" არ დატოვებს

"ჩელსის" ფორვარდმა დიდიე დროგბამ ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ლონდონურ კლუბს არ დატოვებს.

"სკოლარის ვესაუბრე. მან იცის, რომ თამაში მწყურია. ახლა მხოლოდ "ჩელსიზე" ვფიქრობ. არ გამოვრიცხავ, რომ სეზონის ბოლოს რამდენიმე შემოთავაზება განვიხილო, თუმცა ეს მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება. იანვარში კლუბის შეცვლას არ ვაპირებ", - აღნიშნა დროგბამ.

შუსტერი "სანდერლენდში"?

მადრიდის "რეალიდან" უდროოდ გაშვებულიმა ბერნდ შუსტერმა შესაძლოა "სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავოს. როი კინი "კატებმა" სულ ცოტა ხნის წინ დაითხოვეს თანამდებობიდან. გუნდი ახალი მწვრთნელის ძიებაშია. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "სანდერლენდის" მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ ბერნდ შუსტერს.

რიგით მესამე

"რეალის" ნახევარმცველი რუბენ დე ლა რედი გახდა მადრიდული კლუბის მესამე ფეხბურთელი, რომლისთვისაც მიმდინარე სეზონი ვადაზე ადრე დასრულდა. ოქტომბერში, ესპანეთის თასის მატჩში, დე ლა რედიმ უეცრად გონება დაკარგა და მოედანზე დაეცა. კლუბის პრეზიდენტმა მხოლოდ ახლა განაცხადა, რომ ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში მოედანზე ვეღარ გამოვა. შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო ამ სეზონში ვერ ითამაშებს "რეალის" კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი - რუუდ ვან ნისტერლოი და მამადუ დიარა. "რეალის" მიერ ჩატარებულ ბოლო მატჩებს თუ გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ "სამეფო კლუბი" კრიზისს განიცდის.

რედნაპი პავლუჩენკოს თამაშით უკმაყოფილოა

"ტოტენჰემის" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა რუსი ფორვარდის რომან პავლუჩენკოს თამაშით უკმაყოფილება გამოთქვა. რედნაპმა თავის ასისტენტს გაანდო, რომ პავლუჩენკოს მოშორება სურს. იგი მზადაა დათანხმდეს ფორვარდის გაყიდვას, თუ ლონდონელები შეძლებენ მასში დახარჯული თანხის ამოღებას. კლუბმა პავლუჩენკოში 13.8 მილიონი ფუნტი დახარჯა, - იუწყება "DAILY MIROR".

ქართველებმა ჰაინეკენი დალიეს

გოდერძი შველიძის, გიორგი მჭედლიშვილისა და ბექა შეყლაშვილის "მონტობანმა" ევროპის ყველაზე პრესტიჟულ სარაგბო საკლუბო ტურნირ "ჰაინეკენის თასზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა. ტურნირის დებიუტანტი "მონტობანი" საკუთარ მოედანზე მასპინძლობდა "შარქსს", რომელთანაც ერთი კვირის წინ 6:36 წააგო. ამჯერად თავი გამოიდო - 16:12 გაიმარჯვა და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. ამასთან, დავით ზირაქაშვილის "კლერმონსაც" იგივე შანსი დაუტოვა.

AFP ' 2008

ჰაინეკენზე პირველი გამარჯვება მოიპოვა აქვსენტი გიორგაძის (მარჯვნივ) "კასტრმა"

ერთი კვირის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად შველიძე საკუთარი გუნდის განაცხადში იყო და თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

ავდარში გამართულ შეხვედრაში ფრანგთა გამარჯვება პირველ ტაიმში ფიჯელი დელასაუს მიერ გატანილმა ლელომ განაპირობა. სტუმრები ჯარიმით დებიუტშივე დაწინაურდნენ, მაგრამ ორ წუთში "მონტობანმა" ანგარიში ჯარიმითვე გაათანაბრა, 30-ე წუთზე კი ლელოთი და ზუსტი გარდასახვით 7 ქულით დაწინაურდა, თუმცა სტუმრებმა, ზედ მსაჯის სასტვენის წინ, სხვაობა ჯარიმით შეამცირეს. ტაიმი "მონტობანის" გამარჯვებით - 10:6 დასრულდა.

მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც მწვრთნელმა ქართველი შეუშვა მოედანზე. მისი გამოჩენიდან ოთხ წუთში ჯარიმით მასპინძლები უფრო დაწინაურდნენ. შარქსელებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ 55-ე წუთისთვის ორი ჯარიმა გაიტანეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. მაგრამ სტუმრებმა მეტი ვეღარ შეძლეს,

ამავე ჯგუფში მოთამაშე დავით ზირაქაშვილის "კლერმონი" ტურნირის ჩემპიონს, ირლანდიურ "მიუნსტერს" სტუმრობდა. დრამატულ მატჩში 23:13 მასპინძლებმა იმარჯვეს და ერთი კვირის წინ სტუმრად განცდილი მარცხისთვის (19:25) რევანში აიღეს. თუ მაშინდელ შეხვედრაში ზირაქაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ამჯერად მოედანზე მეორე ტაიმიდან გამოჩნდა.

"მიუნსტერი" წლევანდელ ჰაინეკენზე მეორე მარცხთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო ორ წუთში თავი გამოიდო და ორი ლელოს დადება მოახერხა, ფრანგები კი პრემიალური ქულის გარეშე დატოვა. არადა, გამარჯვების შემთხვევაში სტუმრები უფრო მიუახლოვდებოდნენ მეოთხედფინალის საგზურს.

ზირაქაშვილმა და კომპანიამ საათზე მეტი (სათამაშო დროის 3/4) მოედანზე კაცნაკლულმა გაატარა. მე-18 წუთზე ჯეიმ კუდმორმა მონინააღმდეგეს სახეში მუშტი ისე უთავაზა (ამ დროს ანგარიში 0:0 იყო), რომ რეფერი არც დაფიქრებულა, ისე აუფრიალა წითელი ბარათი. ამის შემდეგ ყველა "მიუნსტერის" იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მას ძალიან გაუჭირდა. "მიუნსტერმა" დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ითვლება წლევანდელი გათამაშების ფავორიტად.

"მიუნსტერის" ცოცხალ ლეგენდას, ირლანდიის ნაკრების წევრ ოგარას "ჰაინეკენის თასზე" 999 ქულა ჰქონდა მოგროვებული. "კლერმონთან" შესრულებული ზუსტი გარდასახვით კი გახდა პირველი მორაგბე, რომელმაც ამავე გათამაშების ქულათა 1000-იან ზღვარს გადააბიჯა. ირლანდიელის ანგარიშზე უკვე 1001 ქულაა.

მეორე ჯგუფის მეოთხე ტურის მატჩში წლევანდელი გათამაშების პირველი გამარჯვება მოიპოვა აქვსენტი გიორგაძის "კასტრმა". მან ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი "ლინსტერი" საკუთარ მოედანზე 18:15 დაამარცხა. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე 77 წუთი გაატარა.

ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. მეოთხედფინალში თამაშის უფლებას, თითოეული ჯგუფის გამარჯვებულთან ერთად, მეორე ადგილზე გასული ორი საუკეთესო გუნდიც მიიღებს.

რაჰმანი ქამრებს ვერ შესწვდა

უკრაინელის IBF და WBO ხელუხლებელია

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ძმებ კლიჩკოებზე ბევრს არ ამოსდის მზე და მთვარე, მაგრამ იმას მაინც ამბობენ, რომ მათი წარმატების მიზეზი სხვათა დაუძლურებაა და კიდევ ის, რომ მძიმე წონაში არ არიან ძლიერი მოკრივეები. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, დღეს მძიმეწონოსანთა ეშელონს უკრაინელი ძმების ხანა უდგას. უმცროსმა კლიჩკომ შაბათს მანაჰაიმის (გერმანია) რინგზე ჰასიმ რაჰმანთანაც დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე. IBF-სა (ფედერაცია) და WBO-ს (ორგანიზაცია) ქამრების მფლობელმა ვლადიმირმა ყოფილ ჩემპიონს მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო და ტიტულებიც შეინარჩუნა.

AFP ' 2008

კლიჩკომ ჰასიმ რაჰმანი შვიდ რაუნდში წააქცია

ფედერაციისა და ორგანიზაციის ჩემპიონი დასაწყისშივე ოსტატურად შეუდგა საქმეს. ამერიკელს სულ საკუთარი ჯების წნეხის ქვეშ ამყოფებდა და მეთოდურად ბაგირებთან ამწყვდევდა.

ამერიკელს, რომელსაც გრძელი მკლავების ხარჯზე შეეძლო გარკვეული უპირატესობის მოპოვება, ეს უპირატესობა გამოუყენებელი დარჩა.

მეექვსე რაუნდში კლიჩკომ მარცხენა გვერდითი და მარჯვენა გაჭიმული დარტყმებისგან შემდგარი რამდენიმე კომბინაცია ჩაატარა. რაჰმანი რინგზე გაიშხლართა. მართალია, ტიტულების მაძიებელი ამერიკელი წამოდგა და რაუნდი ჩაამთავრა, მაგრამ ეტყობოდა, რომ წარმატებას ვერ მიაღწევდა.

მეშვიდე რაუნდი გადამწყვეტი აღმოჩნდა. უკრაინელის რამდენიმე შედეგიანი შეტევის შემდეგ რაჰმანს რეტი დაესხა. საქმეში რეფერი ჩაერია, ორთაბრძოლა შეწყვიტა და უკრაინელს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიაკუთვნა.

"ჩემმა მეტოქემ კარგად იჩხუბა. აშკარად არ ყოფნიდა სისწრაფე. მართალი გითხრათ, გამიკვირდა კიდეც მისი სიზანტე. მიუხედავად ამისა, რაჰმანს დღემდე ბრწყინვალე დარტყმა აქვს. მისი მთავარი ნაკლი ტემპის არქონაა.

...რაუნდებს შორის მწვრთნელები მაცნობებდნენ, ამერიკელი დაღლილობაზე წუწუნებსო. აშკარა იყო, ერთ-ერთ ეპიზოდში უნდოდა ნოკაუტში გავეშვი. მომენტს ელოდა, მაგრამ საშუალება არ მივეცი. რაჰმანმა დღემდე ვერ გაიგო, რომ საქმე აქვს ყველაზე ძლიერ მძიმეწონოსანთან", - გამარჯვების შემდეგ კმაყოფილი აცხადებდა ვლადიმირი.

მანჰაიმის მატჩს შევეშვათ და დასაწყისში ნახსენები რაჰმანის ნააზრევით გავაგრძელოთ, რომელიც ვლადიმირ კლიჩკოსთან შეხვედრამდე თქვა.

მაგალითად, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მძიმეწონოსანთა დივიზიონში კრიზისის მიზეზებზე საუბრობს, რაშიც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. ამერიკელს მიაჩნია, რომ ასაკოვან მოკრივეებს არათუ არ სურთ კარიერის დასრულება, არამედ პენსიაზე გასულები ისევ რინგს უბრუნდებიან.

36 წლის რაჰმანი პრობლემას ახალგაზრდების ზედმეტად პრაგმატულ აზროვნებაშიც ხედავს. მისი აზრით, ახალგაზრდა თაობა ფულის კეთებაზეა გადასული და არ ანაღვლებს საკუთარი რეპუტაცია.

"მხოლოდ ერთი მიზეზის დასახელება არ შეიძლება. ვიღაცას უბრალოდ ფული სჭირდება, ვიღაცას შიფერი დაუცურდა, ასაკს ვერ გრძნობს და ახალგაზრდული განცდების გახსენება სურს. და მაინც, მთავარი მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდები ზედმეტად პრაგმატულები არიან - მხოლოდ ბიზნესპროექტები და არა კრივი.

ამ ბიჭებმა და მათმა პრომოუტერებმა საკუთარი ბიზნესგეგმა ორი-სამი წლით ადრე შეადგინეს. რისკზე აღარ მიდიან და ფულის კეთებაზე გადავიდნენ. ადრე სხვა ვითარება იყო. მნიშვნელოვანი იყო როგორ და ვისთან ჩხუბობდი. დღეს კი ჩვეულებრივი ამბავია თაღლითობით საშიშ მეტოქეს აარიდო თავი და იოლი გზა მოძებნო ფულის საკეთებლად. და მაინც, არა მგონია ასეთი ვითარება დიდხანს გაგრძელდეს. ერთი კარგი მოჩხუბრის გამოჩენაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სისტემა დაინგრეს. თავდაპირველად მძიმე წონას ჯართისგან გაწმენდს, მერე კი მას მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან. ოღონდ არ ვიცი, როდის გამოჩნდება ასეთი ნიჭიერი მოკრივე. ჯერჯერობით ვერავის ვხედავ".

15 დეკემბერი 2008 წელი ქ. თბილისი
N1-98; N1-103
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო
არბიტრაჟის სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე

შპს **ჯგუფი მილენიუმის** მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში იხილება პრეტენდენტების - **ლალი საყვარელიძის, ლალი სახელაშვილის** და **ფიქრია მირცხულავას** საარბიტრაჟო პრეტენზიები, მოპასუხე **ლელა ქარჩავას** მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე.

2005 წლის 26 დეკემბრის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე პრეტენდენტები: **ლალი საყვარელიძე, ლალი სახელშვილი და ფიქრია მირცხულავა** ითხოვენ მოპასუხისგან სესხის ძირითად თანხას: **ლალი საყვარელიძე - 21 000** აშშ დოლარს, **ლალი სახელაშვილი - 8 480** აშშ დოლარს და **ფიქრია მირცხულავა - 4 240** აშშ დოლარს, ამ თანხების **0,3%** ყოველდღიურ პირგასამტეხლოს **ლალი საყვარელიძე** ითხოვს **2007 წლის 12 ნოემბრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ხოლო ლალი სახელაშვილი და ფიქრია მირცხულავა კი ითხოვენ 2008 წლის 06 მაისიდან** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. პრეტენდენტები **ასევე ითხოვენ მათ მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის და საარბიტრაჟო განხილვის სხვა ხარჯების მოპასუხეზე დაკისრებას.** საარბიტრაჟო სხდომა ვერ ჩატარდა და რამდენჯერმე გადაიდო იმის გამო, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის საქმის მასალების და საარბიტრაჟო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **მე-12 და 78-ე** მუხლებით, შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების **6.16-ე** მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოპასუხე ლელა ქარჩავას მცხოვრებს: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 103, ბინა 7. გაეგზავნოს საჯარო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტების **ლალი საყვარელიძის, ლალი სახელაშვილის და ფიქრია მირცხულავას** საარბიტრაჟო პრეტენზიების განხილვა ჩატარდება **2008 წლის 23 დეკემბერს, 11.00 სთ-ზე შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.N50.**

აღნიშნული დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან **მე-7** დღეს საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება.

არბიტრაჟის თავმჯდომარე: /იასონ ადამაშვილი/

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 დეკემბრის N1099 ბრძანების საფუძველზე შპს „საგანმანათლებლო ცენტრ - ჯორჯიასთვის“ საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიების გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 09 დეკემბერი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2008 წლის 16 ოქტომბრის გაზეთ 24 საათში“ შპს ენგურჰესი“-ს მიერ ტურბინისა და ტრანსფორმატორის ზეთების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ენერგია“ და მასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სატენდერო კომისია

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შპს „ენგურჰესი“-ს მიერ სპეც. ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების შესყიდვაზე 2008 წლის 2 დეკემბრის გაზეთ 24 საათში“ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

სატენდერო განცხადებას დაემატოს მე-13 პუნქტი შემდეგი რედაქციით

13. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სპეც. ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების Nნიმუშები.

სატენდერო კომისია.

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას შემდეგი სახის შესყიდვაზე და მომსახურებაზე:

1) შესყიდვა -დიზელის გენერატორი (2 ცალი, 250kw).
2) მონტაჟი და გარანტის პერიოდი.

წინადადებები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ-ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე
წინადადების შემოტანის ბოლო ვადაა: 2008 წლის 22 დეკემბერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა კ ო ნ კ უ რ ს ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3) აცხადებს კონკურსს **ქ. ქუთაისის 2009-2010 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების საბანკო-საფინანსო მომსახურებაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფილიალების მქონე ყველა დაინტერესებულ საბანკო დაწესებულებას .

2.საბანკო- საფინანსო მომსახურების პირობები:

1. **სასურველია ბიუჯეტის ანგარიშის საბანკო მომსახურეობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.**
2. **ბიუჯეტის ანგარიშიდან საბანკო ანგარიშსწორების წარმოება არანაკლებ სამუშაო დღის 09.00 - 17.00 საათამდე**
3. **ნაღდი ფულადი სახსრების აუცილებელი რეზერვის არსებობა ყოველდღიური ანგარიშსწორებისათვის საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ჩეკების შესაბამისად (მაქსიმუმ 100 000 ლარი).**
4. **ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ——— უფასო**
5. **თანხის გადარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშიდან :**

— ეროვნულ ვალუტაში (შიდა საბანკო) —- უფასო
— ეროვნულ ვალუტაში (ბანკის გარეთ) —- უფასო

6. **ნაღდი თანხის შემოტანა ანგარიშსწორების ანგარიშზე — უფასო**
7. **თანხის მიღება- ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე — უფასო**
8. **ანგარიშსწორების ანგარიშიდან ნაღდი თანხის გატანა :**

— ეროვნულ ვალუტაში —— უფასო

9. **კონვერტაცია —— იმავდღიური ვალუტირებით ბანკის კურსით**
10. **საჩეკო წიგნაკების მიწოდება —- უფასო**
11. **დარიცხვა** ანგარიშსწორების **ანგარიშზე არსებულ ნაშთზე, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოთ ეროვნულ ვალუტაში (მინიმალური სავალდებულო ნაშთის არსებობის გარეშე) —- მინიმუმ წლიური 14 %**
12. **ინკასაცია —- უფასო**
13. **ოვერდრაფტი 500 000 ლარზე (ვადა შეუზღუდავია) ——- მინიმალური წლიური პროცენტული ოდენობა.**
14. ბანკომატებით მომსახურეობის სატარიფო განაკვეთების ოდენობა — უფასო
15. **როგორც მინიმუმ თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში 1 ბანკომატის დადგმა და 2 ბანკომატი, 1 სერვისცენტრი ქალაქში მომსახურეობისათვის, .**
16. **ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის თანამშრომელთათვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის მობილური და დახვეწილი სახელფასო პროგრამების დანერგვა**
17. **ინფორმაცია საბანკო მომსახურების ინდივიდუალური ტარიფების შესახებ**
18. **სხვა დამატებითი საბანკო პროდუქტები და საინვესტიციო პროექტები, რომლის შემოთავაზებაც შეუძლიათ საბანკო დაწესებულებებს.**

შენიშვნა: 1. **მე-9 პუნქტის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის 1%-იანი ცვლილების ფარგლებში და მე-13 პუნქტის მინიმალური ოდენობა განისაზრვრება თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად.**

3. საბანკო-საფინანსო მომსახურების ვადა მოიცავს 2009 წლის პირველი იანვრიდან **2010 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.**

4.დაინტერესებულმა საბანკო დაწესებულებებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საფინანსო-საბანკო მომსახურების ძირითადი წინადადებებისა და სხვა საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 25 დეკემბერს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), ოთახი N5 და N8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საფინანსო-საბანკო მომსახურების ძირითადი წინადადებებისა და სხვა საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის შემადგენელი ყველა დოკუმენტი დამოწმებული უნდა იქნას საბანკო დაწესებულების სათაო ოფისის ხელმძღვანელის ხელისმოწერითა და ბეჭდით.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან კონკურსის მონაწილეებს.

7. მონაწილეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი საფინანსო-საბანკო მომსახურების ძირითადი პაკეტი. ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენა დაუშვებელია.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურში მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N1 მე-4 სართ. ოთახი N5 და N8;., საკონტაქტო პირი კონსტანტინე ქავთარაძე ტელ: 8231-4-01-64, ნოდარ მიქიაშვილი ტელ: 8231-4-03-06,

საკონკურსო კომისია

BTA BANK ▪ ბითიეი ბანკი

www.bta.ge

ბითიეი ბანკის ფილიალები და სერვის ცენტრები :

წეხეთლის 73ა; ჭავჭავაძის გამზ. 40; ვაჟა-ფშაველას გამზ. 25;

ხუსთაველის გამზ. 31; თამარ მეფის გამზ. 5; ც.დადიანის ქუჩა 15/90;

ბათუმი: ჭავჭავაძის გამზ. 78/88; ფოთი: ალმაშენებლის ქუჩა 10;

ბიზნესი

24 საათი B

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

"×ÉÀÔ ×ÉÏÒÉÍÏ" ßËÉÓ ÓÀÖÊÄÈÄÓÏ ×ÖÒÂÏÍÀÃ

B7

ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÀÀÛÉ

1	. . . ^˘,	USD	1,6500
1	¯ , ^˘,	AUD	1,1339
1	˘˜ ` ª ˝ , ˝ "	AZN	2,0431
1	` , ^ Æ	AED	0,4492
1000	`˜ ,˘ , ˝ "	BYR	0,7757
1	` , ´ , , ˜¯	BGL	1,0761
1	^ ˝ ° ˘˝	DKK	0,2845
1	˜´¯ — ´ – ˝	EGP	0,2995
1	˜¯ ˘	EUR	2,1178
10	˜ ˘˝ ° ˘˝	EEK	1,3540
1000	" ˜˝ , ˝ "	TMM	
0,1161			
1	" , ,	TRY	1,0855
10	—˘˝ ˜˝	JPY	0,1666
1	˝´, ´ – ˝	GBP	2,5950
1	˝^ —	INR	0,0348
1000	˝ , ˜ ,	IRR	0,1646
10	, ˝^ ° ˘˝	ISK	
0,1274			
1	˜, ˜°˜,	ILS	
0,4354			
1	° ˝ ^ ^˘,	CAD	1,4077
1	, ¯ ,	LVL	2,9891
10	, ¯ ,	LTL	6,1064
10	˘, ^˘¯ , ˜	MDL	1,5920
1	˝˘ —˜´ , ° ˘˝	NOK	0,2430
1	—˘, ˘˝ ˘˘ ,	PLZ	0,5828
1	˝ , , ˜	RON	0,5654
1	, ` ,	RUB	0,0612
1	˝´ — , ^˘,	SGD	1,1079
100	˘ Æ ^	AMD	0,5420
1	ª ° ˘ ˘˝	TJR	0,4851
1000	˘`˜°	UZS	1,2220
10	° ˝ , ´ – ˝	UAG	
2,8456			
100	˝´ , ˘ ˜˝	HUF	0,7933
1	–˜ " ^ ˝	KWD	
6,1145			
10	˘ Æ ˜˝´˜	KZT	0,1376
10	´ ˘ , ˘	KGS	0,4235



მანანა ვარდიაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2008 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობა 2 495,6 მლნ. აშშ დოლარია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგარეო ვალი 37,9 პროცენტით გაიზარდა. მთლიანი ვალის 20 პროცენტი ევროობლიგაციების ემისიით მიღებულ შემოსავლებზე მოდის. ამ ვალის აღების მიზანი და განკარგვის პრიორიტეტები კი ამ დრომდე ისევ გაურკვეველია.

ამ დროისთვის ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი 517,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (მთლიანი ვალის 20,7 პროცენტი).

გაგრძელება B3 გვერდზე



ÓÀÂÀÃÀÓÀáÀÃ Ï ÝÅËÉËÄÁÄÁÉÓ ÀáÀËÉ ÐÀÊÄÔÉÓ ÃÄÔÀËÄÁÉ

თამარ ივანიძე

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტი საგადასახადო ცვლილებების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ პაკეტს განიხილავს. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ცვლილებების შემდეგ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მსოფლიოში ყველაზე მარტივი და მიმზიდველი კანონმდებლობების ხუთეულში შევა. ცვლილებები სულ საბაჟო და საგადასახადო კოდექსების 220 მუხლში შედის. მათი უმეტესობა ტექნიკურ ხასიათს ატარებს. თუმცა არის ისეთი ცვლილებებიც, რომლებიც საზოგადოების მეტ-ნაკლებად ფართო ფენებისთვის შეიძლება საინტერესო იყოს. ამიტომ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციიდან მათ ნაწილზე შევჩერდებით.

ვგაგრძელება B2 გვერდზე

ÓÀÂÀÃÀÓÀáÀÃ Ï ÝÅËÉËÄÁÄÁÉÓ ÀáÀËÉ ÐÀÊÄÔÉÓ ÃÄÔÀËÄÁÉ

პირველი გვერდიდან

საშემოსავლო გადასახადი - უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ახალი ცვლილებების მიხედვით 2009 წლის იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი იქნება 20 პროცენტი (ძველი რედაქციით უნდა ყოფილიყო 24), 2011 წლიდან კი განაკვეთი დაიწევს 18 პროცენტამდე (ძველი რედაქციით - 22 პროცენტი უნდა ყოფილიყო.) ანალოგიურად - 7,5 პროცენტის ნაცვლად - 5 პროცენტამდე მცირდება დივიდენდებზე საშემოსავლო გადასახადია განაკვეთს, 2011 წლიდან კი - 3 პროცენტამდე.

საინტერესოა, რომ პარლამენტში შეტანილი საგადასახადო ცვლილებების პროექტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან უნდა გათავისუფლებულიყო ფიზიკური პირის მიერ 4 წლის განმავლობაში 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციის შედეგად მიღებული ნამეტი. თუმცა დამატებითი კონსულტაციების შედეგად აღმოჩენილი კორუფციული საფრთხეების გამო, ბინის მფლობელებს უკვე დაპიარებული ამ ცვლილების განხორციელების იმედი, სავარაუდოდ, აღარ უნდა ჰქონდეთ. ეს ცვლილება ზემოთ მოხსენიებული ოპერაციის დღგ-საგან განთავისუფლებასაც გულისხმობდა და, სავარაუდოდ, პარლამენტი ამ ცვლილებასაც აღარ დაამტკიცებს.

ქონების გადასახადი - 40000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახი ქონების გადასახადით არ იბეგრება. ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის განაკვეთი 100,000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის შეადგენს ქონების ღირებულების 0.05 დან 0.2%-მდე, ხოლო 100,000 და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - 0.8%დან 1%-მდე.

ამასთან, თუ დღენდე ფიზიკური პირი, რომელიც ამ ქონებას ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებდა, ქონების გადასახადს იხდიდა, 2009 წლის იანვრიდან ამ გადასახადისგან თავისუფლდება, თუ მისი წლიური შემოსავალი 40000 ლარს არ აღემატება.

უქმდება ავტომობილებზე ქონების გადასახადი. გარდა ამისა, ქონების გადასახადით აღარ დაიბეგრება ბიოლოგიური აქტივი, ანუ, მაგალითად - ძროხის ყოლა მფლობელობაში. გარდა ამისა, მფლობელს, მაგალითად ფერმერს, შეეძლება ხარჯებში გაატაროს იგივე ძროხის ყიდვასა და გაზრდაზე დახარჯული თანხა, რასაც აქამდე ვერ ახერხებდა მანამ, სანამ საქონელი ზრდასრულ ასაკს არ მიაღწევდა, ანუ - აქტივად არ იქცეოდა.

არის ტექიკური ცვლილებების ნაწილი, რომლებიც გადამხდელის უფლების დაცვაზეა ორიენტირებული, კერძოდ:

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის გავრცელების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა, ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის მოქმედებს ახალი შემსუბუქებული ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა - გამოიყენება სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა. ანუ - ორივე შემთხვევაში უფრო მსუბუქი ნორმა გადამხდელისთვის.

ცვლილებები ეხება ჯარიმებსაც - როგორც ცნობილია, არსებობს ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენაზე, ამ დროს დეკლარაციის წარდგენის გარდა, მთელ რიგ შემთხვევებში, გადამხდელს აქვს გაანგარიშების წარდგენის ვალდებულებაც. ამასთან, მოქმედი რედაქციით ჯარიმა დაწესებულია დეკლარაციის საფუძველზე დამატებით გადასახდელი თანხის 5%-ის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე, შესაბამისად არ არის დადგენილი ჯარიმის ზედა ზღვარი, რითაც შესაძლებელია ჯარიმა გაიზარდოს არარეალურად დიდი ოდენობით. ამიტომ, საგადასახადო ცვლილებების ახალი რედაქციით, განსაზღვრულია ჯარიმის ოდენობის ზედა ზღვარი და დგინდება, რომ მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 60 პროცენტს. ამასთან, გამოანგარიშებული ჯარიმის თანხა არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ნაკლები (დარჩა მოქმედი ნორმა).

რაც შეეხება გადასახადის შემცირების აღმოჩენის შემთხვევაში დასარიცხ ჯარიმებს - დღეს საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებებში გადასახადის ოდენობის 15 000 ლარამდე შემცირება იწვევს დაჯარიმებას შემცირებული თანხის 25 პროცენტის ოდენობით. გადასახადის 15 000 - დან 25 000 ლარამდე ფარგლებში შემცირება იწვევს დაჯარიმებას შემცირებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით და ასე შემდეგ. ცვლილებების მიხედვით, ჯარიმა მიბმული იქნება არა თანხებზე, არამედ დაჯარიმებული კომპანიის ბრუნვის პროცენტზე, კერძოდ: ცვლილებების მიხედვით, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის 50 პროცენტამდე შემცირება იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.ირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის 25 000 ლარზე მეტი თანხით შემცირება, განიხილება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. პირის მიერ დეკლარაციაში ჩასათვლელად კანონით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის თანხის შეტანა იწვევს დაჯარიმებას დეკლარაციაში ჩასათვლელად გაზრდილი თანხის 75%-ის ოდენობით."

დღეს საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევის გამო გათვალისწინებულია ჯარომები. ცვლილებების მიხედვით, ?საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევა არ უნდა წარმოადგენდეს საგადასახადო ორგანოს კონტროლის ობიექტს. საგადასახადო ორგანოს ყურადღება ძირითადად გადატანილ უნდა იყოს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე.mიტომ, ფინანსთა სამინისტროს შემოთავაზების მიხედვით, ჯარიმა უნდა დაწესდეს მხოლოდ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის და ობიექტის დალუქვის გარეშე საქმიანობისათვის.

ცვლილებები ვადებში - დღგ-ის გადამხდელებს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების 6 თვიანი ვადა უმცირდებათ 3 თვემდე.

საგადასახადო ორგანოსაგან შესაგებლის გასაჩივრებისათვის დღეისთვის დადგენილია ძალზედ მცირე ვადა - 5 დღე, რაც პრობლემებს უქმნის გადასახადის გადამხდელებს. ამიტომ, ცვლილებებით გათვალისინნებულია ამ ვადის 5 დღის 20 დღემდე გაზრდა.

უქმდება საგადასახადო ორგანოში დღგ-ს ანგარიშფაქტურის 2 დღის ვადაში გამოწერის ვალდებულება და დღგს ჩასათვლისათვის საგადასახადო ორგანოში ანგარიშფაქტურის წარდგენის 45 დღიანი ვადა იზრდება 90 კალენდარულ დღემდე;aქონლის ექსპორტისას, იმისათვის რომ პირმა გამოიყენოს დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთი აღარ მოითხოვება ექსპორტის დეკლარაცია და მარტივდება გადასახადის უკან დაბრუნების პროცედურა;

აგვისტოს მოვლენების გაკვეთილები - ქვეყანაში ბოლო დროის, 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული ან/და განადგურებული ბინების სანაცვლოდ დაზარალებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული არასამეწარმეო დანიშნულების ქონებისა და მიწის ნაკვეთის გადაცემის საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებაmიტომ, საგადასახადო ცვლიებების მიხედვით, საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად, ფიზიკური პირების კუთვნილი დაზიანებული ბინების რეკონსტრუქციის ან განადგურებული ბინების სანაცვლოდ მიღებული ახალი ბინის ღირებულება ან/და მიწის ნაკვეთის გადაცემა თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. ასევე, პროექტის შესაბამისად 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე ფიზიკურ პირების მიერ მიღებული შემოსავალი ქონების გადასახადის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავლებში.

გარდა ამისა, პროექტის შესაბამისად საგადასახადო კოდექსს ემატება IX1 თავი, რომლითაც საომარი მოქმედებების გამო დაზარალებულ პირებზე წესდება საგადასახადო შეღავათები. ცვლილებების მიხედვით - საომარი ან საგანგებო მდგომარების გამოცხადების დროს საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეუძლია გამოსცეს ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ.aქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეღავათები შეიძლება დაწესდეს:

- დეკლარაციის წარდგენის ვადების გადავადებაზე;
- გადასახადების გადახდის ვადების გადავადებაზე;
- ამ კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების გადავადებაზე;

aმასთან, პროექტი ითვალისწინებს საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებული და დაზიანებული ფასეულობის ჩამოწერის უფლებას, დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამ ცვლილებების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ფინანსთა სამინისტომ აგვისტოს შემდეგ კანონის ფარგლებში ვერ შესძლო კონფლიქტის ზონაში აღმოჩენილი მეწარმეებისთვის შეღავათების განხორციელება. რადგან არსებული კოდექსი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც საქართველოში, ან მის რომელიმე რეგიონში ხდება დაუძლეველი ძალის მოვლენა, მაგალითად: სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედებები, მასობრივი არეულობა და სხვა, რომლის გათვალისწინება გადამხდელს წინასწარ არ შეუძლია, ან/და რომლის გამოც შეფერხდება მისი საქმიანობა, გაუნადგურდება აქტივები და სხვა. ამისათვის საჭირო გახდა დაუძლეველი ძალის დეფინიციის შემოღება და დაუძლეველი ძალის გამო საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ვალდებულების შეუსრულებლობაზე საგადასახადო პასუხისმგებლობის არ დაკისრების ნორმის განსაზღვრა.mიტომ, ცვლილებებით შემოდის დაუძლეველი ძალის დეფინიცია და განისაზღვრება ამგვარად: საგადასახადო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგად. დაუძლეველი ძალის პირობებად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე. მათ შორის:

- სტიქიური უბედურებები, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა;
- საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება;
- მასობრივი არეულობა;
- გაფიცვა და სხვა ამგვარი მოვლენები;

ნაბიჯები ადმინისტრირების გამკაცრებისკენ - პროცედურების და გადასახადების გამარტივებაშემცირების პარალელურად, პარლამენტში წარდგენილ და 2009 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელ ცვლილებებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც მუშაობას გადამხდელის გარდა შემოსავლების სამსახურსაც უადვილებს. მაგალითად:

ცვლილბების მიხედვით საშემოსავლო სამსახურს საკონტროლო შესყიდვების განხორციელების მიზნით სპეციალური ფირმის დაფუძნების უფლება ეძლევათ - ახლებურად ყალიბდება საკონტროლო შესყიდვის მიზანი.mაკონტროლებელ ორგანოს საშუალება ეძლევა საკონტროლო შესყიდვისას გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას გამოდის როგორც ფსევდომომხმარებელი და ფსევდოდოკუმენტებით.

გარდა ამისა, ცვლილებების მიხედვით, ბანკები ვალდებული იქნებიან შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გადამხდელის ანგარიშზე საგადასახადოს მიერ დადებულ ინკასოსთან ერთად, ყადაღაც გაავრცელონ გადამხდელის ყველა ანგარიშზე.

დღევანდელი რედაქციით, საგადასახადო ორგანომ საინკასო დავალებით უნდა ჩამოიწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები საგადასახადო დავალიანების აღიარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. vლილებების მიხედვით, აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა საგადასახადო დავალიანების თანხები საბანკო ანგარიშებიდან საინკასო დავალებით ჩამოწეროს იმავდროულად, 10 დღიანი ვადის გარეშე.

და ბოლოს - საგადასახადო ცვლილებების ახალი პაკეტის ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალური ხასიათი მისაღები და მიმზიდველი იქნება არა მხოლოდ ადგილობრივი მეწარმეებისა და პოტენციური ინვესტორებისთვის, არამედ სერიოზული შემოსავლების მქონე ფიზიკური პირებისთვის, ვინც ბიზნესის წარმოებას საქართველოში ჯერ არ აპირებს, თუმცა წინააღმდეგი არ იქნება გადასახადები ქართული - ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გადაიხადოს. დღევანდელი კოდექსის მიხედვით, საქართველოს რეზიდენტად ითვლება პირი, რომელიც საქართველოში 183 ან მეტი დღე ცხოვრობს 12 კალენდარული თვის განმავლობაში ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. ცვლილებების მიხედვით კი - ფიზიკური პირის მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს რეზიდენტობა, ამავდროულად შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირს საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით. ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ იმის გამო, რომ ბევრ ქვეყანასთან საქართველოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები აქვს დადებული, ამ ქვეყნებში კი ძალიან მკაცრი საგადასახადო რეჟიმებია, მსგავსი შეთავაზებით, შესაძლოა, ამ ქვეყნების მდიდარმა გადამხდელებმა ისარგებლონ.

ÅÀËÉ ÃÀ ÌÉÆÀÍÉ

პირველი გვერდიდან

ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე მეტი გერმანიის (155,7 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთის (119,9 მლნ. აშშ დოლარი) მართებს. საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს ვალი 1 468,7 მლნ. აშშ დოლარია (მთლიანი ვალის 58,9 პროცენტი). მათ შორის, საქართველოს ყველაზე დიდი დავალიანება მსოფლიო ბანკის (908,3 მლნ. აშშ დოლარი) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (446,4 მლნ. აშშ დოლარი) მიმართ აქვს. საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (ევრობონდების) საერთო მოცულობა კი 500 მლნ. აშშ დოლარია.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფო საგარეო ვალს პრაგმატულად მართავს და მას ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად იყენებს. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები კი ძირითადად ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

ევროობლიგაციების ემისია მთავრობის 50-დღიანი გეგმის მიხედვით შესასრულებელი ამოცანა იყო. 500 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე კომპანიებმა UBS-მა და JP Morgan-მა განათავსეს. ვაჭრობაში 100-ზე მეტი ინვესტორი მონაწილეობდა. ობლიგაციების ნახევარი ბრიტანელმა ინვესტორებმა შეიძინეს, 13 პროცენტი კი ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ამერიკული კომპანიების ანგარიშებზე გადავიდა. საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციების ნომინალური წლიური განაკვეთი 7,5 პროცენტია.

ევროობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ "აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს გააცნო და, შესაბამისად, ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა".

საქართველოს ცნობადობის გაზრდის გარდა, სესხის აღება კიდევ ერთი მიზეზით გაამართლეს - "საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ" კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისას ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ ევროობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავლები მსხვილი და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას მოხმარდებოდა. სტრატეგიულ პროექტებში ნახევარი მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის გაზსაცავის და მაგისტრალური ელექტროსადენების ქსელის მშენებლობა მოიაზრებოდა. მაგისტრალური ელექტროსადენების ქსელის მშენებლობის საჭიროება საქართველოს მთავრობამ ჰიდრორესურსების ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობით ახსნა.

შემდეგ ითქვა, რომ ევროობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავლები "მომავალი თაობების" და "სტაბილური განვითარების" ფონდებში გადამისამართდებოდა და ეს თანხა დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაციას მოხმარდებოდა. ახლა ირკვევა, რომ ნასესხები 500 მილიონი აშშ დოლარიდან 130 მილიონი ხაზინაშია, 370 მილიონი დოლარი კი ბიუჯეტშია და ის მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებას მოხმარდება. ამდენად, სახელმწიფო ევროობლიგაციების მეშვეობით "ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი" რომელიმე პროექტის დაფინანსება საერთოდ გამორიცხა. მსოფლიო საფინანსო კრიზისისა და აგვისტოს საომარი მოვლენების გამო ამ ტრანზაქციამ ქვეყანაში ვერც დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინება წაახალისა. გამოდის, რომ ამხელა ვალი საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდისთვის ავიღეთ. ამისთვის კი ქართველმა გადასახადის გადამხდელებმა მარტო ამ ვალის მომსახურების მიზნით ყოველწლიურად 37,5 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადონ.

არაბულ ქვეყნებს შორის საუდის არაბეთი მილიარდერთა რაოდენობით ლიდერი გახდა

საუდის არაბეთი არაბულ ქვეყნებს შორის დოლარის მილიარდელების რაოდენობით ლიდერი გახდა. ჟურნალ "არაბიან ბიზნესის" მიერ ყველაზე მდიდარი არაბების ყოველწლიური სიის თანახმად, სამეფოში 16 ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ქონება 1 მლრდ დოლარს აღემატება.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროში ორჯერ ნაკლები, 8 მილიარდერი ცხოვრობს, ქუვეითში - 7 ადამიანი, ეგვიპტესა და ლიბანში - ხუთ-ხუთი მილიარდერი, პალესტინის ავტონომიაში კი - 4. ყველაზე ცოტა მილიარდერი ბახრეინში (2 ადამიანი), ერაყსა (2 ადამიანი) და იორდანიაში (1 ადამიანი) ცხოვრობს.

არაბული "მილიარდერების კლუბის" ყველაზე მეტი წევრი ფინანსურ და საბანკო საქმეში მოღვაწეობს (15 ადამიანი), მშენებლობაში (14 ადამიანი), ვაჭრობაში (8 ადამიანი), ყველაზე ცოტა კი მოგზაურობისა და ტექნოლოგიის სფეროში (სამ-სამი წარმომადგენელი) გადაზიდვები (2 ადამიანი). თითო-თითო მილიარდერი დაკავებულია ენერგეტიკის, მედიის, პოლიტიკის, ფინანსური ბაზრის სფეროში. წელს არაბი მდიდრების სიაში 9 ახალი სახელი გაჩნდა, ზოგი კი გაქრა.

რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება: პრინცი ალივალიდ ბან ტალალ ალ საუდი (17,08 მლრდ დოლარი, საუდის არაბეთი), ნასერ ალ კარაფი (9,6 მლრდ, ქუვეითი), მაან ალ სანეა (9,3 მლრდ საუდის არაბეთი), შეიხ მოჰამად ინ ისა ალ ჯაბერი (8,8 მლრდ დოლარი, საუდის არაბეთი), მოჰამად ალ ამუდი (8,8 მლრდ, საუდის არაბეთი), აბდულაზიზ ალ გურეირი (7,8 მლრდ, არაბეთის გაერთიანებული საემირო), ბინ ლადენის ოჯახი (7,2 მლრდ, საუდის არაბეთი), ოლაიანის ოჯახი (7,2 მლრდ, საუდის არაბეთი), კანუს ოჯახი (6,1 მლრდ ბახრეინი), საიდ ხური (6 მლრდ, პალესტინის ავტონომია).

ზემოთ ჩამოთვილი მილიარდერებს არა მხოლოდ არაბულ, არამედ მსოფლიო რეიტინგშიც სტაბილურად მაღალი პოზიციები უკავიათ.

ტოპ-50 ახალბედა მოჯამად ალ რაი (საუდის არაბეთი) ასრულებს. არაბეთის მდიდრების ტოპ-50 საერთო ქონება ამ მომენტისთვის 200 მლრდ დოლარად არის შეფასებული. ეს თანხა მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო შარშანდელ შედეგზე 12%-ით ნაკლებია. მდიდარი არაბების საერთო ქონება 25 მლრდ დოლარით შემცირდა. რეიტინგის ავტორები აღნიშნავენ, რომ წელს ეს პირველი შემთხვევაა, როცა არაბული სამყაროს სუპერ-მდიდრების ქონება შემცირდა. ყველაზე დიდი დანაკარგები საბანკო სექტორში და საფონდო ბირჟებზე დაფიქსირდა.

რეიტინგი ღია ინფორმაციის საფუძველზეა მომზადებული, რომელიც 2008 წლის 2 დეკემბრისთვის ყველა მონაწილის კაპიტალის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მოიცავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

იაპონიაში საფონდო ვაჭრობა ინდექსი Nikkei-ის 5,2%-ით ზრდით დაიხურა

15 დეკემბერს იაპონიაში საფონდო ვაჭრობა ინდექსი Nikkei-ის 5,2%-ით ზრდით დაიხურა. სესიის შედეგებით, ინდექსი 428,79 პუნქტით 8664,66 პუნქტამდე გაიზარდა. ინვესტორები ელიან, რომ ამერიკის მთავრობა ქვეყნის უდიდესი ავტომწარმოებლების მხარდაჭერის ზომებს მიიღებს და მათ გაკოტრებას ხელს შეუშლის.

ბირჟაზე ვაჭრობის შედეგებით, იაპონური ავტონაწილების მიმწოდებელი კომპანია Denso Corp-ის აქციების ფასი 8,5%-ით გაძვირდა. ასევე მნიშვნელოვნად გაძვირდა იაპონიის ავტომწარმოებლების ფასიანი ქაღალდები, მათ შორის კომპანია Toyota Motor-ის აქციები 9,8%-ით, Honda Motor Co-ის 8,5%-ით, Mazda Motor 6,8%-ით და Nissan Motor 7,5%-ით.

ვაჭრობის შედეგებით, სხვა ექსპორტიორი კომპანიების აქციებიც გაძვირდა. იაპონიის უდიდესი სამომხმარებლო ელექტრონიკის მწარმოებლების, Panasonic Corp-ისა და Sony Corp-ის აქციების ფასი 2,8%-ით და 4,3%-ით გაძვირდა. Hitachi და Canon-ის აქციების ფასი 3,8%-ით და 6%-ით გაიზარდა. იაპონიის უდიდესი სატვირთო გადაზიდვების კომპანია Mitsui & Co-ის აქციების ფასი სესიის შედეგებით 6%-ით გაიზარდა. სამშენებლო კომპანია Mitsubishi Estate Co-ის ფასიანი ქაღალდები კი 7,6%-ით გაძვირდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÀÒØÉÔÄØÔÖÒÖË-ÓÀÌÛÄÍÄÁË Ï ÆËÃÀÌáÄÃÅÄË Ï ÁÀ ÓÀÌÉÍÉÓÔÒÏÓ ÉÝÅËÉÓ

თინა შავაძე

სამშენებლო საქმის ზედამხედველობა სამინისტროს იცვლის. მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების მომზადება განაპირობა ახალი - საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის - სამინისტროს შექმნამ და მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის (არქმშენინსპექციის) მის გამგებლობაში გადაცემამ.

ევროგაერთიანების ქვეყნებში არქიტექტურულ-სამშენებლო ზედამხედველობა გულისხმობს სამშენებლო პროცესის ყოველი სტადიის გაკონტროლებას და დიაგნოსტიკას. კონტროლს ექვემდებარება სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია, სამშენებლო კონსტრუქციები, მასალები, დანადგარები და პერსონალის კვალიფიკაცია. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს დეფექტების, შეცდომების წინასწარი გამორიცხვა, რათგან მათი შემდგომი გამოსწორება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მშენებლობის ხარისხის კონტროლის განხორციელებისას ჩამოყალიბდა კომპლექსური მიდგომა. ჩამოყალიბდა მშენებლობის ხარისხის კონტროლის შემდეგი სამსაფეხურიანი სისტემა: სახელმწიფო ზედამხედველობა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზედამხედველობა, კონტროლი სადაზღვევო კომპანიების მხრიდან.

საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტ ნინო გეთიას განმარტებით, ზოგ ქვეყანაში სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებზე: სამრეწველო, ენერგეტიკული, ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო და სხვა მშენებლობებზე. დანარჩენ სამშენებლო ობიექტებზე ზედამხედველობა ხორციელდება ადგილობრივი (მუნიციპალური) არქმშენინსპექციების მეშვეობით (ბელგია, ჩეხეთი და სხვ.). ამავე დროს, სახელმწიფო ზედამხედველობის გარდა, მშენებლობის ხარისხი მოწმდება თვითონ დამკვეთის ზედამხედველობის მეშვეობით.

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, თუმცა მათ შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ქვედანაყოფები, რომლებიც საჯარიმო სანქციების ანარიცხებიდან ფინანსდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამშენებლო ფირმის ათწლიან საგარანტიო ვალდებულებას დამკვეთის წინაშე. ამ ვალდებულების გარანტად ხშირად გვევლინებიან სადაზღვევო საზოგადოებები და კომპანიები. ისინი ახორციელებენ ხარისხზე ზედამხედველობასაც (მაგალითად, ინგლისური კომპანია "NHRC": მენარდე იხდის სადაზღვევო შენატანს, რომელიც შედის სანარდო კონტრაქტის ღირებულებაში. ანალოგიურად მოქმედებენ ზოგიერთი ფირმები საფრანგეთში). აშშ-სა და იაპონიისათვის ზედამხედველობის ეს ფორმაა უმთავრესი - სამშენებლო ფირმის შემადგენლობაში შედის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც განაგებს და პასუხს აგებს მშენებარე ობიექტების ხარისხზე. შეერთებულ შტატებში შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია - ხარისხის მართვის ამერიკული საზოგადოება.

როგორც მშენებლობის ხარისხის კონტროლის განხორციელების უცხოური გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, ამ ამოცანის გადაწყვეტაში ყოველთვის არიან ჩართულნი ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულების (შტატი, ლანდი, ოლქი და ა.შ.) შესაბამისი ორგანოები. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში მშენებლობის მსვლელობა და ხარისხის შემოწმება ადგილობრივი სამშენებლო ინსპექციების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას ექვემდებარებიან.

ამავე დროს, დიდი და რთული ობიექტების მშენებლობისას, ხარისხის კონტროლის ჩასატარებლად დამკვეთი საკონსულტაციო ფირმას იწვევს. ხარისხის ზედამხედველობის ასეთი სისტემა არსებობს გერმანიაში, დანიაში, ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთში.

2009 წელს "გაზპრომი" საექსპორტო გამომუშავების მესამედს დაკარგავს

2009 წელს რუსული კონცერნი "გაზპრომი" საექსპორტო გამომუშავების მესამედს დაკარგავს, რომელზეც კომპანიის მოგების 60%-ზე მეტი მოდის, წერს გაზეთი "კომერსანტი."

"გაზპრომის" პროგნოზით, 2009 წელს საექსპორტო გამომუშავება 31,7%-ით შემცირდება, რაც კუბურ მეტრზე საშუალო წლიური საექსპორტო ფასის 280 დოლარამდე შემცირებით არის გამოწვეული. 2008 წელს კომპანია ექსპორტიდან 64 მლრდ დოლარის მიღებას გეგმავდა. ამ სახით "გაზპრომი" რუსული გაზის ექსპორტის მოცულობის შენარჩუნების შემთხვევაში 20 მლრდ დოლარს დაკარგავს.

ადრე, "გაზპრომის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2009 წლის I კვარტალში გაზის ფასი ევროპაში ათას კუბურ მეტრზე 460-500 დოლარიდან 360-400 დოლარამდე შემცირდა.

გამოცემის მონაცემებით, "გაზპრომმა" 2009 წელს ევროკავშირისთვის გაზის ფასის პროგნოზი ათას კუბურ მეტრზე 370 დოლარიდან 280 დოლარამდე შეამცირა. თუ "გაზპრომის" პროგნოზი გამართლდა, 2009 წელს კონცერნის საერთო გამომუშავება 10%-ით 111,2 მილიარდ დოლარამდე შემცირდება.

გაზეთი "ვედომოსტი" აღნიშნავს, რომ შორეულ საზღვარგარეთში საწვავის მიწოდების გეგმა 165 მლრდ კუბური მეტრი გაზიდან ჯერ არ შემცირდებულა, რაც 2008 წლის პროგნოზზე 2,5%-ით მეტია. თუმცა ევროპაში, როგორც რუსეთში, თბილი ამინდის გამო გაზზე მოთხოვნა შემცირდა.

ნოემბერში "გაზპრომის" გაზის ექსპორტი შორეულ საზღვარგარეთში 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21%-ით შემცირდა.

უკვე 2008 წელს "გაზპრომის" მოპოვების შემცირებამ შეიძლება გეგმიური 560 მლრდ კუბუირი მეტრის 3% შეადგინოს. ამასთან, მთავრობამ პირობა დადო, რომ "გაზპრომს" ფინანსურ მხადაჭერას აღმოუჩენს, რათა ზარალის კომპენსირება სრულად მოახდინოს, რომელიც გაზის მონოპოლიამ გაზის მოხმარების მოცულობის შემცირების გამო მიიღო.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 2009 წელს "გაზპრომის" საინვესტიციო პროგრამა არ შემცირდებოდა და 920 მლრდ რუბლი იქნებოდა. შედარებისთვის, 2008 წელს გაზის მონოპოლიის საინვესტიციო პროგარამა 822 მლრდ რუბლს შეადგენდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

2010 წელს "ლუკოილმა" შეიძლება ინვესტიციები შეამციროს

მსოფლიო ფინანსური კრიზის გამო, "ლუკოილმა" შეიძლება 2010 წელს ინვესტიციები შეამციროს. კომპანია ასევე მზადაა, რიგი უცხოური პროექტების ვადები გადაწიოს, განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა ვაგიტ ალეკპეროვმა. ეს განცხადება მან გუშინ მოსკოვში საერთაშორისო "მრგვალ მაგიდაზე" "საზოგადოების განვითარების თანამედორვე ეტაპზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" გააკეთა.

ვაგიტ ალეკპეროვმა განაცხადა, რომ მისი კომპანია დასავლეთ ციმბირსა და იამალში ინვესტიციების შენარჩუნებას ცდილობს. მან ასევე აღნიშნა, რომ "დავალიანებების შემცირების პროგრამა პერსონალის რაოდენობას არ შეეხება. ჩვენი მიზანია არ დავუშვათ სოციალური დაძაბულობა."

ალეკპეროვის თქმით, კრიზისის ეპოქაში რეალური საფრთხე შეიძლება კორპორატიული სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის დაკარგვა გახდეს, თუ კომპანიები თავის ვალდებულებებზე უარს იტყვიან.

"კრიზისი სოციალური პროგრამების ავტომატურად შემცირებას არ ნიშნავს. ამავე დროს, ჩვენ ველით, რომ სახელმწიფო იმ პროგრამებს დაუჭერს მხარს, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს," - განაცხადა ვაგიტ ალეკპეროვმა.

"ინტერფაქსი" უწყება, რომ ალეკპეროვმა მაგალითის სახით, კასპიის შელფზე მიმდინარე სამუშაოები მოიყვანა, სადაც მისი თქმით, შეიძლება 7 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნას.

2008 წელს "ლუკოილის" ინვესტიცია 15 მლრდ დოლარის დონეზე იყო, მომავალ წელს კი იმ შემთხვევაში, თუ ბარელი ნავთობის ფასი 50 დოლარზე დაბლა იქნება, 4-5 მლრდ დოლარამდე შემცირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÌÉáÄÉË ÓÀÀÊÀÛÅÉËÉ: ØÀÒÈÖËÉ ÄÊÏ Í Ï ÌÉÊÀ ÖÍÃÀ ÂÀÃÀÒÜÄÓ!

სალომე ძაძამია

საქართველოს მთავრობამ და საპარლამენტო უმრავლესობამ ერთობლივად უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გეგმა. ეს ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტმა რუსთავში ფოლადსადნობ ქარხანაში გამართულ შეხვედრაზე გააჟღერა. მიხეილ სააკაშვილი გუშინვე საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა და დაავალა მთავრობას და საპარლამენტო უმრავლესობას, შეიმუშაონ ეკონომიკის გადარჩენის და შენარჩუნების საფინანსო პაკეტი. პრეზიდენტის განცხადებით, ამ პაკეტის მიზანი იქნება, ქვეყანამ თავი დააღწიოს შექმნილ რთულ ეკონომიკურ პირობებს. მიუხედავად სერიოზული კრიზისისა, საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას, რომ არ გაჩერდება ქართული ენერგეტიკა და არ მოიშლება საბანკო სისტემა.

შემდეგი ექვსი თვე საქართველოს ეკონომიკისთვის იქნება საკმაოდ მძიმე, მაგრამ შემდეგ ჩვენ ველით ტენდენციების გამოსწორებას. ეკონომიკური ზრდის პირობებში ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იქნება სამუშაო ადგილების შექმნა. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ეკონომიკის გადარჩენა და შენარჩუნება. ჩვენ ვართ გონიერი ხალხი და გვესმის, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი დიალოგის და მთავრობის აქტიური მოქმედების პირობებში. ეკონომიკური სიძნელეების დროს არის კორუფციის განახლების საფრთხე, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ჩვენი გამოსავალი ერთად დგომასა და სტაბილურ განვითარებაშია.

როდესაც მთელი რიგ ქვეყნებში ვალუტა ჩამოიშალა 30-40%-ით, ჩვენ გარკვეული რყევების პირობებში შევძელით ვალუტის კურსის დაჭერა. ეს კონტროლირებადი პროცესია. ჩვენმა ბანკებმა ამ კრიზისს გაუძლეს. მომავალ წელს ვიღებთ 400-500 მილიონიან დახმარებას იმისთვის, რომ საბანკო სისტემა ავამოქმედოთ, ამას დასჭირდება 5-6 თვე. ჩვენ ამ სისტემას გადავარჩენთ, შევინარჩუნებთ და გავაძლიერებთ, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავის ფოლადსადნობი ქარხნის თანამშრომლებთან შეხვედრისას.

რუსთავი ინდუსტრია გრუპის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა პრეზიდენტს ეკონომიკური კრიზისის შედეგად მიღებული ზარალის შესახებ ესაუბრნენ და დახმარება სთხოვეს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველოში არსებული ყველა დიდი პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი მეწარმეები მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენი ქარხანა 2006 წელს პრეზიდენტმა გახსნა. იმ პერიოდში ყოველწლიური 30-40%-იანი ზრდა გვქონდა, თუმცა ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ძალიან გაგვიჭირდა. 650 თანამშრომლიდან 300-მდე ჩამოვედით. ჩვენი გასაჭირი პრეზიდენტის ყურამდეც მივიდა და იგი თავად გვეწვია. პრეზიდენტთან საუბარი გვქონდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, რომელმაც ძალიან დაგვაზარალა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყველა საწარმო. ცემენტის ქარხნებმა 60%-ით შეაჩერეს მუშაობა, გაჩერდა ქიმკომბინატი, მეტალურგიული ქარხანა და ა.შ. სახეზე გვაქვს ეკონომიკური კრიზისი და როგორმე უნდა დავძლიოთ. როდესაც ქვეყანაში ტენდერები ტარდება, გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები. პრივილეგია უნდა მიეცეს ადგილობრივ მეწარმეს და არა იმას, რომელიც, ვთქვათ, ჩინეთში ყიდულობს პროდუქციას. ასეთი მიდგომა ადგილობრივ მეწარმეებს შესაძლებლობას მოგვცემს, შევინარჩუნოთ კადრები. პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ უმრავლესობას დაავალებს და მომზადდება ფინანსური პაკეტი, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ეკონომიკის გადარჩენაზე. ტენდერებში კომისიები დამატებით გაითვალისწინებენ ადგილობრივი მეწარმის ინტერესებს, რომელიც ბიუჯეტშიც იხდის თანხას და დასაქმებულ ადამიანებს ხელფასსაც უხდის. ამ დრომდე ჩვენ ტენდერებში არ ვმონაწილეობდით, რადგან ბევრი დამკვეთი გვყავდა. თუმცა ნოემბერში ტენდერში რომ არ გაგვემარჯვა, ფაქტობრივად, 200 ადამიანს დავტოვებდით უსამსახუროდ. ახლა ბათუმში მშენებლობებია გაჩაღებული, პრეზიდენტმა ჩვენი თანდასწრებით დაურეკა ლევან ვარშალომიძეს და დავალება მისცა, რომ ყველა სამუშაო ადგილობრივმა მეწარმეებმა უნდა შეასრულონ, - განაცხადა რუსთავი ინდუსტრა გრუპის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ.

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მთავრობას და მთლიანად ხელისუფლებას ძალიან ბევრი პროექტის განხორციელება მოუწევს ეკონომიკისა და მოქალაქეების სოციალურად დაცვის მიზნით. არსებული კრიზისის გათვალისწინებით, იმ გეგმის დეტალურად გაწერა, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2009 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილი: ჩვენს ირგვლივ მსოფლიო კრიზისია განვითარებული და ვინაიდან საქართველო მსოფლიო ეკონომიკაშია ინტეგრირებული, ძალიან ძნელია ჩვენმა ქვეყანამ რაიმე სხვა კუთხით შეძლოს განვითარება და აცდეს იმ ფინანსურ კრიზისს, რომელიც მთელს მსოფლიოში ასე მოულოდნელად განვითარდა. ამის მიუხედავად, საქართველოს გააჩნდა გარკვეული რესურსები. ბანკები ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ კრედიტების გაცემას და, გარკვეულწილად, საქართველო გამოეთიშა იმ პირამიდულ სისტემას, რამაც გამოიწვია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის ჩამოშლა. ახლა ჩვენი მიზანია გადავარჩინოთ ყოველი სამუშაო ადგილი, სადაც ხალხია დასაქმებული. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების გამომუშავება, რაც ძალიან რთულია. ჩვენთან ლიბერალური ეკონომიკაა და უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ლიბერალიზმი არ გადავიდეს ანარქიაში. დაცული უნდა იყოს ადამიანის სოციალური უფლებები და შრომის კოდექსი. შრომის კოდექსის რეფორმა უნდა მოხდეს ძალიან სწრაფად, ისე, რომ დასაქმებული ადამიანის ინტერესები უფრო მეტად იყოს დაცული. საქართველოში შემდეგ წელიწადს გათვალისწინებულია ძალიან დიდი რაოდენობის სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაშიც უკვე ჩადებულია თანხა. ეს არის გზები და სხვადასხვა სახის დიდი პროექტები. ამ პროექტებში უნდა დასაქმდეს საქართველოში მცხოვრები ადამიანები. გუშინ პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა და მითითება გააკეთა, რომ ბიუჯეტის იმ ნაწილში, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული ადამაინების ინტერესები. თუკი გასაკეთებელია, ვთქვათ, არხები, ეს არხები საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გააკეთონ. უნდა დასაქმდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რომ გადარჩეს ქართული ეკონომიკა. თუკი ბიუჯეტში ჩასადებია ისეთი რამ, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გადარჩენას, ამ კუთხით უნდა გავააქტიუროთ მუშაობა. პრეზიდენტმა პარლამენტის წევრებს მიუთითა იმაზე, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს ის პარამეტრები, რომელიც მოგვცემს იმ შედეგს, რომ შევინარჩუნოთ ის ეკონომიკური მაჩვენებელი, რაც გვაქვს. საქართველომ ეკონომიკური ზრდა არ უნდა შეწყვიტოს, თუნდაც ეს იყოს ერთი ან ორი პროცენტი, ქვეყანაში ამის რესურსები არსებობს.

ÒÖÓÄÈÉÓ ÀÌÁÉÝÉÄÁÉ OPEK-ÓÀÝ ÛÄÄá Ï

ლიკა ჯობაძე



ნავთობის ფასის ვარდნის შეჩერების მიზნით, რუსეთი შესაძლოა OPEK-ის წევრი გახდეს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. მისივე განმარტებით, გამორიცხული არაა, რომ რუსეთმა OPEK-ის მოდელის მსგავსად გაზის კარტელიც შექმნას. ამ გზით, ის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას თავის პირობებს უკარნახებს.

რუსეთის პირველი პირები ამბობენ, რომ მათ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის შემადგენლობაში შესვლას ფინანსური კრიზისი და ნავთობის ფასის მუდმივი ვარდნა აიძულებს. **ჩვენ იძულეულნი ვართ თავი დავიცვათ, რადგან ნავთობის და გაზიც ჩვენი შემოსავლის ძირითადი ბაზაა,** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პირველმა პირმა.

თავდაცვის ამ მექანიზმის შემუშავება შესაძლოა ნავთობის მოპოვების შემცირებასაც უკავშირდებოდეს. ასე, რომ საწვავის მიმწოებელთა თუ მომპოვებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო გამოსავალია. მედვედევის თქმით, რუსეთი არცერთ ვარიანტზე უარს არ იტყვის. **საქმე ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეხება და ისე მოვიქცევით, როგორც საჭიროდ ჩავთვლით,** - აღნიშნავს დმიტრი მედვედევი.

ფქატობრივად პირველად მოხდა, რომ რუსეთმა უკვე საპრეზიდენტო სიმაღლიდან აღიარა OPEK-ში გაწევრიანების შესახებ. აქამდე მხოლოდ ერთობლივი ძალების კოორდინირებაზე მიდიოდა მოლაპარაკებები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნავთობის კარტელში რუსეთის გაწევრიანების რეალურ ნაბიჯებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. უფრო რეალურია ვთქვათ, რომ მედვედევმა ბაზარს ახალი შეტყობინება გაუგზავნა.

დიმიტრი მედვედევის განცხადება მხოლოდ OPEK-ისთვის გაკეთებული რევერანსი როდია. რუსეთს ნავთობის მსოფლიო ფასზე გავლენის მოხდენა სურს. - აცხადებს პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ექსპერტი ალექსანდრ შატილოვი.

ნავთობკარტელში რუსეთის გაწევრიანება ევროპისთვის მორიგი დარტყმაა. **ახალი ორგანიზაციის შესახებ განცხადებით, მედვედევი გაზის ოპეკის შექმნის მინიშნებასაც იძლევა. ხმები ახალი ორგანიზაციის ფორმირების შესახებ, დიდი ხანია დადის. პრეზიდენტი მედვედევი უკვე შეფარვის გარეშე აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუ კრიზისის დროს რუსეთის წინააღმდეგ მიზანმიმართული შეტევა განხორციელდება, რუსეთი გაზისა და ნავთობის კარტელს დაუფიქრებლად შეუერთდება,** - განმარტავს პოლიტოლოგი.

გამორიცხული არაა ვიფიქროთ, რომ მედვედევის ამ განცხადებას კონკრეტული ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად. **ერთი კვირის შემდეგ OPEK-ის მორიგი სესია გაიმართება, რომელზეც ჩვენი პროგნოზით, ნავთობის მოპოვების მოცულობის დღე-ღამეში 2 მილიონი ბარელით შემცირების საკითხი იქნება მიღებული. სესიას რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი სერგეი შმატკო და წამყვანი ნავთობკომპანიების პირველი პირები დაესწრებიან. ვფიქრობთ, რომ რუსეთი ნავთობის მოპოვების შემცირებას მხარს დაუჭერს. უფრო მეტიც, უახლოეს მომავალში ის ნავთობკარტელის სრულუფლებიანი წევრი გახდება ,** - აღნიშნავს ექსპერტი ალექსანდრ რაზუვაევი.

23 დეკემბერს მოსკოვში გაზის მომპოვებელთა მორიგი სამიტი გაიმართება სადაც დიდი ალბათობაა იმისა, რომ OPEK-ის მსგავსი გაზის კარტელის შექმნის საკითხი იქნეს განხილული. **OPEK-შიც და გაზის პოტენციურ კარტელშიც, რუსეთი პირველ ვიოლონოზე დაუკრავს, რაც პირველ რიგში ევროპას მიაყენებს დარტყმას. ჩვენ თამაშის წესებს ვუკარნახებთ, როგორც ნავთობის ასევე ვალუტის ბაზარს. გათვლაც სწორედ ამაზე გავაკეთეთ. ყველაფერი ნათელია - ჩვენ Opek-ის წევრები გავხდებით და ეკონომიკურ ინოვაციებზე ფიქრით თავს აღარ შევიწუხებთ. ნავთობი და გაზი ხომ ჩვენს ხელშია!** - განმარტავს პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ხელმძღვანელი.

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები“ აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი

თქვენ ხდებით ქართული ხალხური
კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

სოლიდარობის ცენტრი პარლამენტს მცირე ბიზნესის შესახებ" კანონპროექტს უახლოეს დღეებში გადასცემს

არასამთავრობო ორგანიზაცია სოლიდარობის ცენტრი" პარლამენტს მცირე ბიზნესის შესახებ" კანონპროექტს უახლოეს დღეებში გადასცემს.

კანონპროექტის ბოლო ვერსიის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა. მას ექსპერტები, არასამთავრობო, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც სოლიდარობის ცენტრის" დირექტორმა კახა კოხრეიძემ განაცხადა, მცირე ბიზნესი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა და ქვეყანაში მისი ხელშემწყობი პოლიტიკა უნდა იყოს.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შეიქმნება მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, იქნება მოზიდული საკრედიტო რესურსები მცირე ბიზნესისთვის და ა.შ." - აღნიშნა კოხრეიძემ.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის კავკასიის რეგიონული კოორდინატორ მათიას იობელიუსის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული დერეგულირება ევროპისთვისაც უჩვეულოა. იმ ნაბიჯებს შორის, რომლებსაც იობელიუსის თქმით, უარყოფითი შედეგები მოჰყვა, ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება და მარეგულირებელი ბერკეტების გაუქმება იყო.

მცირე ბიზნესის შესახებ" კანონპროექტის მომზადების პროცესში სიტუაციური ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა აღნიშნულ სფეროში განხორციელდა.

გუშინვე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მომავალში მცირე ბიზნესის ინტერესების ლობირებას განახორციელებს. ჯგუფის მთავარი ორიენტირი პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიღება იქნება. **ინტერპრესნიუსი**

ბაზისბანკმა დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები გაზარდა

მას შემდეგ, რაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ბაზისბანკის აქციონერი გახდა, როგორც მოსალოდნელი იყო და ამას EBRD-ის წარმომადგენლებიც გვპირდებოდნენ, ბაზისბანკის სახით საბანკო ბაზარზე არა ახალი, მაგრამ აშკარად განახლებული, მყარი პოზიციის, კონკურენტუნარიანი მოთამაშე გამოჩნდა. იმ ღონისძიებებს შორის, რომელიც ბანკის დირექტორატმა გაატარა, ერთ-ერთი პირველი, ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთების გაზრდა იყო.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ჩვენი თანამშრომლობა დადებითად პირველ რიგში მომხმარებელზე აისახა. დღეს ჩვენ გვაქვს ყველა რესურსი, საუკეთესო პირობები შევთავაზოთ ბაზისბანკის ამჟამინდელ თუ პოტენციურ კლიენტებს," - ამბობს მარკეტინგისა და პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი ირაკლი ბაზაძე.

საბანკო ბაზარზე დღეს არსებულ პროდუქტებს შორის, ბაზისბანკის ანაბრები ყველაზე მრავალფეროვანი და სასარგებლოა. ბანკი მომხმარებელს ვადიან, მოთხოვნამდე ზრდად, კონვერტირებად და საბავშვო ანაბრებს სთავაზობს. ამიერიდან, აქ განთავსებულ ანაბარზე კლიენტი მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს. ბაზისბანკმა ანაბრის საპროცენტო განაკვეთები საშუალოდ 1,5%-ით გაზარდა.

ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთების გაზრდის ფონზე, ბაზისბანკმა კიდევ ერთი ახალი საბანკო პროდუქტი - სასარგებლო ანაბარი შესთავაზა მომხმარებელს. მასში გაერთიანებულია ანაბრების ყველა უპირატესობა. მეანაბრეს შეუძლია ნებისმიერი თანხით დაიწყოს დაზოგვა, არც შემდგომი მინიმალური შენატანია შეზღუდული. ანაბარზე ოპერაციების განხორციელება დისტანციური ბანკინგითაცაა დაშვებული. და რაც მთავარია, დანაზოგით სარგებლობა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ანაბრის პირობების მაქსიმალურ ხელსაყრელობასა და მოქნილობასთან ერთად, მეანაბრე მაღალი საპროცენტო განაკვეთითაც ისარგებლებს: ლარში განთავსებულ ანაბარს 9,25%, აშშ დოლარში - 7,25%, ხოლო ევროსა და გირვანქა სტერლინგში -6,25% დაერიცხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ბაქოში იმყოფება

ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ბაქოში იმყოფება. ამის შესახებ სამინისტროდან გვაცნობეს.

ხეთაგური მოლაპარაკებებს აზერბაიჯანელ კოლეგებთან მართავს. თუმცა, მოლაპარაკებების თემას ენერგეტიკის სამინისტროში არ ასახელებენ.

სამინისტროს ინფორმაციით, ბაქოში არ იგეგმება აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან" ხელშეკრულების გაფორმება.

ამასთან, როგორც ცნობილი გახდა, წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის ხელმოწერილ იქნება კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც აზერბაიჯანული მხარისთვის რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიების გადაცემას, რეგიონებში გაზიფიცირების გეგმის დამტკიცებას და 5 წლის განმავლობაში საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების დეტალებს მოიცავს. **ინტერპრესნიუსი**

ირლანდიის მთავრობა წამყვანი ნაციონალური ბანკების კაპიტალში 10 მლრდ ევროს ინვესტირებას გეგმავს

ირლანდიის მთავრობა კერძო ინვესტორებთან ერთად წამყვანი ნაციონალური ბანკების კაპიტალში 10 მლრდ ევროს ინვესტირებას გეგმავს.

ირლანდიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ "მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, არსებულ აქციონერებთან და კერძო ინვესტორებთან ერთად საკრედიტო დაწესებულებების რეკაპიტალიზაციას 10 მლრდ ევროთი დაუჭიროს მხარი."

ირლანდიის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ინვესტიცია შეიძლება ეროვნული საპენსიო სარეზერვო ფონდის გავლით განხორციელდეს. მთავრობამ შეიძლება მიიღოს როგორც პრივილეგირებული, ასევე ჩვეულებივი საბანკო აქციები, აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ირლანდიის მთავრობა ელის, რომ არსებული აქციონერები ხელისუფლებასთან თანაბარ პირობებში, საბანკო დამატებითი ემისიის გამოსყიდვაში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ.

პირველად ევროპაში, ნაციონალურ ბანკებში ფიზიკური პირების ყველა დეპოზიტის გარანტორად ირალანდიის მთავრობა გამოვიდა. თუმცა ეს ნაბიჯი ევროკავშირის ზომებით შეფასებული იყო როგორც ძალიან პროტექციონისტული და ირლანდიის მთავრობა იძულებული იყო, ქვეყანაში არსებულ ყველა დიდ ბანკში დეპოზიტებზე სამთავრობო გარანტიების სქემა გაეფართოებინა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი ქვეყნის საბანკო სექტორზე ნეგატიურად აისახა. სიტუაცია უძრავი ქონების ბაზარზე ვარდნამ გააღრმავა. შედეგად, ირლანდიის ეკონომიკა პირველია ევროპაში, რომელიც რეცესიის პერიოდში შევიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეკვადორი მხარს უჭერს ოპეკის გადაწყვეტილებას ნავთობის მოპოვების ახალი შემცირების შესახებ

ეკვადორი მხარს უჭერს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) გადაწყვეტილებას ნავთობის წარმოების ახალი შემცირების შესახებ მსოფლიო სანავთობო ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით, - განაცხადა ქვეყნის ნავთობისა და მრეწველობის მინისტრმა დერლის პალასიოსმა.

მისი თქმით, ეკვადორის ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს ოპეკის ნებისმიერ პოზიციას, რომელიც გამოხატულ იქნება 17 დეკემბერს ალჟირში დაგეგმილ ოპეკის შეხვედრაზე სტაბილური ბაზრის მიღწევის შესახებ. მინისტრის თქმით, ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა ალჟირის შეხვედრაზე გამოვა ნავთობის წარმოების შემცირების მხარდასაჭერად.

ცნობისათვის, ეკვადორმა ოპეკში თავისი წევრობა 2007 წლის დასაწყისში განაახლა, რომლიც მან დატოვა 15 წლის წინ. დღეისათვის ქვეყანა მოიპოვებს 550 ათას ბარელ ნავთობს დღეში, რომლის 65%-ის ექსპორტი ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÂÉÏÒÂÉ ÂÏÂÖÀÞÄ: "ØÀÒÈÖËÉ ÂÄÂÌÀ" ÙÉÀÀ ÚÅÄËÀ Ì ÏØÀËÀØÉÓÀÈÅÉÓ"

უპრეცედენტო ინიციატივა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის

ნინო ნარჩემაშვილი

მსოფლო ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი რთული ვითარების ფონზე, ქართული სინამდვილისათვის უპრეცედენტო ეკონომიკური პროექტი - "ქართული გეგმა" იქმნება. "ქართული გეგმა" საზოგადოებას კონსესუსზე დაფუძნებულ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას სთავაზობს და მისი მიზანია საქართველოში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზების საშუალება ექნება.

დღეისათვის უაღრესად საჭირო და აქტუალური ეკონომიკური პროექტის შექმნის იდეა პარლამენტარ გიორგი გოგუაძეს ეკუთვნის, რომელიც თავის გუნდთან ერთად "ქართული გეგმის" დეტალურ შემუშავებაზე იწყებს მუშაობას. გეგმა ორიენტირებული იქნება საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტების განსაზღვრაზე და წამყვანი დარგების განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ "ქართული გეგმა" არ იქნება ზოგადი და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის - გეგმაში მოცემული და განსაზღვრული იქნება თითოეული პრიორიტეტეული დარგის განვითარების კონკრეტული მიზნები, ამოცანები, პერსპექტივები და შედეგების მიღწევისათვის საჭირო ნაბიჯები. ეს იქნება გრძელვადიანი სტრატეგია, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის განვითარება წლების განმავლობაში დაეფუძნება. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გეგმაზე პროფესიონალი ადამიანები იმუშავებენ - ნოდარ ჯავახიშვილი, ავთანდილ სილაგაძე, მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მელაძე, გიორგი დობორჯგინიძე, გიორგი ერისთავი და სხვა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში გამოცდილი ადამიანები გიორგი გოგუაძის ინიციატივაზე და პროგრამის შექმნაზე სამუშაოდ მზადყოფნას გამოთქვამენ.

აღსანიშნავია, რომ "ქართული გეგმის" შემუშავებას, რომელსაც მიმდინარე მოვლენების ფონზე ქვეყნის გადარჩენის გეგმაც შეიძლება ეწოდოს, მხარს უჭერს საქართველოს პატრიარქი და მისი ლოცვა-კურთხევაც უკვე მიღებულია.

გიორგი გოგუაძე აღნიშნავს, რომ **"როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ეკონომიკის ამ მძიმე პერიოდში ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების იდეა მნიშვნელოვანი გახლავთ - ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს გრძელვადიანი გეგმა. "ქართული გეგმა" საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრება იქნება, რადგან მისი შექმნის იდეა გარკვეულწილად თვითონ მოქალაქეებისგან მოდის. გეგმის გამოყენება ნებისმიერ მთავრობას შეეძლება, რადგან ის ყოველგვარი ამბიციების გარეშე გადაეცემა სახელმწიფოს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გეგმის შემუშავებაში საზოგადოების თითოეული წევრია დაინტერესებული. სწორედ ეკონომიკურ საკითხებზე მიღწეული შეთანხმებები შეიძლება იქცეს იმ თემად, რომელიც არსებულ ვითარებას განმუხტავს, რადგან ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის ალბათობაც ნაკლებია. ამიტომაც, გეგმას ბევრი გულშემატკივარი და თანამოაზრე ეყოლება. ვიმედოვნებ, "ქართული გეგმა" საზოგადოებრივი ერთიანობის ერთგვარი სახელმძღვანელო გახდება. "ქართული გეგმა" ღიაა ყველა მოქალაქისათვის, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების რაციონალური კონცეფცია და წინადადება გააჩნია".**

გიორგი გოგუაძის თქმით, გეგმის ძირითადი მიმართულებები გუნდის მუშაობის პროცესში გამოიკვეთება, მაგრამ უკვე არსებობს ისეთი პრიორიტეტები, რომელიც განსაზღვრულია გუნდის მიერ - განათლება, დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები - "ქართული გეგმის" საყრდენი ფასეულობებია. "ქართული გეგმა" გათვლილია იმ პერსპექტივაზე, რომ ეკონომიკამ ათი წლის შემდეგ 10-12 მილიონი ადამიანის სამყოფი დოვლათი შექმნას.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ჯიბუტი აღნიშნავს, რომ **"საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველაფერს დეტალური შესწავლა და პრაქტიკული გამოყენება სჭირდება. საქართველოში ეკონომიკური იდეების ნაკლებობაა და ამდენად "ქართული გეგმა" მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება ჩვენს სინამდვილეშიც".**

საყურადღებოა ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ "ქართული გეგმა" საერთო სახალხო პროგრამა იქნება, სადაც მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს ქართული ინტელექტუალური პოტენციალი და მის შექმნაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

ეკონომისტები თვლიან, რომ პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარულ სექტორს - საწყის ეტაპზე საჭიროა ბაზრის დაბრუნება, რადგან ქართული ბაზარი ძირითადად იმპორტს უკავია.

გიორგი გოგუაძის განცხადებით, "ქართული გეგმა" ბევრი მცირე გეგმისაგან იქნება შედგენილი, რომლებიც ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებისა მოდელს შეიცავს. საქართველოს კი ყველა რესურსი გააჩნია მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და შემდგომ ექსპორტის განსახორციელებლადაც კი. გიორგი გოგუაძე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საინვესტიციო კლიმატთან დაკავშირებითაც და ეს "ქართული გეგმის" ნაწილი იქნება - საჭიროა დეტალურად განისაზღვროს რომელი დარგია ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინვესტიციების მოსაზიდად.

და კიდევ, მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც "ქართული გეგმის" იდეის ავტორი აღნიშნავს - **"ქართული გეგმის" შემუშავებაში მნიშვნელოვანია საპატრიარქოს როლი. საქართველოს პატრიარქი თვითონ იქნება გეგმის შექმნის აქტიური მონაწილე, რაც იმის გარანტიასაც იძლევა, რომ "ქართული გეგმა" მართლაც ქართული და ეროვნული იქნება".**

"×ÉÀÔ ×É Ï ÒÉÍ Ï" ßËÉÓ ÓÀÖÊÄÈÄÓÏ ×ÖÒÂÏ ÍÀÃ ÃÀÀÓÀáÄËÄÓ

მერაბ ლორთქიფანიძე

ჰანოვერის (გერმანია) სატვირთო ავტომობილებისა და ფურგონების 62-ე საერთაშორისო გამოფენაზე 2009 წლის საუკეთესო კომერციულ ავტომობილად ფიატის უახლესი სატვირთო მინივენი - ფიატ ფიორინო დასახელდა. ჟიურიმ, რომელიც ევროპის 20 ქვეყნის (კომერციულ ავტომობილებზე სპეციალიზებული) ჟურნალისტებისგან შედგებოდა, 140 შესაძლებლიდან 112 ქულა იტალიურ კომპაქტურ სატვირთო მინივენს მიანიჭა.

ჟიურიმ ფიორინო ყველაზე უნივერსალურ კომერციულ მინივენად აღიარა. მისი განმარტებით, ის თავისუფლად შეასრულებს საოჯახო ავტომობილის მოვალეობას. რაც მთავარია, ფიორინო არის ეკონომიური, ეკოლოგიურად სუფთა, მისი კლასისთვის საკმაოდ მარდი და ადვილად მანევრირებადი ავტომობილი. ჟიურისვე განმარტებით, ახალი ფიატ ფიორინო ძირეულად ცვლის 1B სეგმენტის ავტომობილების სტანდარტს. ყოველივეს წყალობით, ის დამსახურებულად ითვლება ამ სეგმენტში ყველაზე პოპულარულ ავტომობილად. უფრო მეტიც, ჟიური დარწმუნებულია, რომ ამ ავტომობილმა ფაქტობრივად ბაზრის ახალი სეგმენტი გახსნა.

ფიატ ფიორინოს ტვირთამწეობა 610-660 კილოგრამია, მისი საბარგულის მოცულობა კი 2.5 კუბურ მეტრს აღწევს. საბარგულის სიგრძე 1.5 მეტრია. მგზავრის სავარძლის დაკეცვის შემდეგ საბარგულის სიგრძე ერთი მეტრით, მოცულობა კი 2.8 კუბურ მეტრამდე იზრდება.

ჟიურის განმარტებით, ახალი ფიატ ფიორინო აბსოლუტურად ინოვაციური ავტომობილია. პირველ რიგში, ინოვაციურობა მის გაბარიტებში, სტილში, უსაფრთხოების მაღალ დონესა ეკოლოგიურობაში აისახება. ფიატმა ეს ავტომობილი ფრანგულ PSA პეჟო-სიტროენთან ერთად შექმნა. ფიორინოს იტალიური კომპანიის თურქული (ქალაქი ბურსა) ქარხანა აწარმოებს და ის 80-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება.

ფიატ ფიორინოს გაბარიტებია: სიგრძე 3.86 მეტრი, სიმაღლე 1.72 და სიგანე 1.71 მეტრი. ის დახვეწილი დიზაინითაც გამოირჩევა, რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი სამგზავრო ვარიანტისთვის. სრული (360 გრადუსით) მობრუნებისთვის ფიორინო 9.95 მეტრ დიამეტრში ეტევა. კომპაქტური გაბარიტების წყალობით, ის ძალიან მოსახერხებელია გადატვირთულ ქუჩებში ექსპლუატაციისთვისაც კი.

ფიორინოს ბაზაზე, სატვირთო მინივენის გარდა, სხვა კლასის ავტომობილებიც მზადდება. ესენია სრული სატვირთო გადაზიდვებისთვის, კომბი შერეული (მგზავრების და ტვირთის) გადაზიდვებისთვის და ექსტრემალურ პირობებში სამოგზაურო ვერსია, რომელსაც გზის ზედაპირთან დაშორება (კლირენსი) გაზრდილი აქვს.

დაბალი საექსპლუატაციო ხარჯები და საწვავის ეკონომიურად მოხმარება ფიორინოს მთავარი ღირსებებია. მისთვის სულ ორი ძრავია განკუთვნილი. ერთი, 1.4-ლიტრიანი (73 ცხ. ძალა), ბენზინზე მუშაობს, მეორე კი, 1.3-ლიტრიანი (სერია მულტიჯეტი) - დიზელზე. ამ უკანასკნელს ცილინდრზე 4 სარქველი აქვს და მაქსიმუმ 75 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. ამ ძრავის აპეტიტი 100 კილომეტრზე სულ რაღაც 4.5 ლიტრია და მას მომსახურება ყოველი 30 000 კილომეტრის შემდეგ (სოლიდური მაჩვენებელია) ესაჭიროება.

ფიორინოს სტანდარტული ვერსია აღჭურვილია 5-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით. შეკვეთის შემთხვევაში, ის 6-საფეხურიანი რობოტიზებული კოლოფით იცვლება.

წლის საუკეთესო კომერციულ მინივენს ასევე გამოარჩევს უსაფრთხოების მაღალი დონე. მძღოლისა და მისი მგზავრების ჯანმრთელობას სამწერტილოვანი ღვედები, უსაფრთხოების წინა და გვერდითა ბალიშები ემსახურება. ამასთან, ის რამდენიმე მაღალტექნოლოგიური სისტემითაცაა აღჭურვილი. გარდა ამისა, არცთუ შორეულ მომავალში შესაძლებელი იქნება ელექტრომოტორით ან შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე ძრავით აღჭურვა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილის წოდება ფიატის კიდევ ერთ ავტომობილს - განახლებულ სუბკომპაქტურ ჩინკვეჩენტოს ერგო. ეს ავტომობილი ევროპაში იმდენად პოპულარულია, რომ ტურინელებს მისი წარმოების გაორმაგებაც კი მოუხდათ. და ამის მიუხედავად, რიგ ქვეყნებში მასზე მაინც რიგები დგას.

საქართველოში ფიატის ოფიციალური დილერი კომპანია თუნალარ ოტომოტივ-კომერციაა , რომელმაც თავისი საექსპოზიციო ოფისი თბილისში ერთი თვის წინ გახსნა. მისი გაყიდვების მენეჯერ გიორგი მექვაბიშვილის თქმით, ფიორინოს ორი - კომერციული და სამგზავრო ვერსიის შეძენაა შესაძლებელი. მართალია, ეს ავტომობილები დილერის შოურუმში ჯერ არ დგას, თუმცა კლიენტი მათ შეკვეთის შემთხვევაში მიიღებს. კომერციული ფიორინოს საბაზო ღირებულება 10 600 ევროა, სამგზავროს ღირებულება კი 11 000 ევროდან იწყება.

უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენცია აღდგა

მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში უფრო მცირე ტემპებით, მაგრამ მაინც აღდგა უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენცია, - აცხადებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში. როგორც ბანკში განაცხადეს, ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 91.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.7 პროცენტით მეტია გასული წლის ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.4 პროცენტი იმ რვა უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობა 1 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ რვა ქვეყანაზე გასული წლის ნოემბერში მთელი ფულადი გზავნილების 91.3 პროცენტი მოდიოდა. მიმდინარე წლის ნოემბერში, საქართველოდან საზღვარგარეთ 6.2 მლნ აშშ დოლარი გაიგზავნა, ანუ 2007 წლის ნოემბერთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები. მნიშვნელოვნად შემცირდა ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოდან რუსეთისა და უკრაინის მიმართულებით, შესაბამისად, 3.8 მლნ აშშ დოლარით და 1.2 მლნ აშშ დოლარით. მიმდინარე წლის ნოემბრის განმავლობაში, უცხოეთიდან ფულის გადმოგზავნისას, სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებს შორის ლიდერობდნენ: Western Union-ი - 19.2 პროცენტით, Contact-ი - 28.0 პროცენტით, Anelik-ი - 14.4 პროცენტით, Unistream-ი - 13.0 პროცენტით, Ïæ - 5.5 პროცენტით, Money Gram-ი - 5.3 პროცენტით, Intel Express-ი - 4.7 პროცენტით. საქართველოდან ფულადი გზავნილების განხორციელებისას, პოპულარობით სარგებლობდნენ: Western Union-ი - 48.6 პროცენტით, Anelik-ი - 17.3 პროცენტით, Ïæ - 10.8 პროცენტით, Intel Express-ი - 7.1 პროცენტით, Unistream-ი - 6.4 პროცენტით. **ინტერპრესნიუსი**

ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას საგანგებო სიტუაციების ერთი სატელეფონო ნომერი ექნება

ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას საგანგებო სიტუაციების ერთი სატელეფონო ნომერი ექნება. ამის შესახებ ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარტინ სელმაიერმა განაცხადა. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელს შეეძლება ნომერზე 112 დარეკოს. "ეს ნომერი განსაკუთრებით საჭიროა ტურისტებისთვის, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობენ," - განაცხადა სელმაიერმა. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ბაქოში იმყოფება

ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ბაქოში იმყოფება. ამის შესახებ სამინისტროდან გვაცნობეს. ხეთაგური მოლაპარაკებებს აზერბაიჯანელ კოლეგებთან მართავს. თუმცა, მოლაპარაკებების თემას ენერგეტიკის სამინისტროში არ ასახელებენ. სამინისტროს ინფორმაციით, ბაქოში არ იგეგმება აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან" ხელშეკრულების გაფორმება. ამასთან, როგორც ცნობილი გახდა, წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის ხელმოწერილ იქნება კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც აზერბაიჯანული მხარისთვის რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიების გადაცემას, რეგიონებში გაზიფიცირების გეგმის დამტკიცებას და 5 წლის განმავლობაში საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების დეტალებს მოიცავს. **ინტერპრესნიუსი**

საბაჟო პუნქტებზე იანვრიდან ფიტოსანიტარული კონტროლი გამკაცრდება

საბაჟო პუნქტებზე ფიტოსანიტარული კონტროლი 2009 წლის იანვრიდან გამკაცრდება. ამის შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილემ ირაკლი სირაძემ განაცხადა. "ევროკავშირის სტანდარტების თანახმად, ქვეყანაში შემოსულ ყველა ტვირთზე მკაცრი კონტროლი ხორციელდება. იანვრიდან საქართველოშიც გამკაცრდება ფიტოსანიტარული კონტროლი. მხოლოდ სერტიფიკატი არ არის საკმარისი, ყველა ტვირთის უმკაცრესი დათვალიერებაა საჭირო," - განაცხადა სირაძემ. მისივე თქმით, ფიტოსანიტარული კონტროლის გამკაცრება საბაჟო პუნქტებზე ტვირთს მხოლოდ 10 წუთით დააყოვნებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

CMYK - 8

ანაბარი "ჩემი სეიფი"

- თანხის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა
- მაღალი საპროცენტო სარგებელი

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

CMYK - 8